ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის მონიტორინგი დასავლეთ საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში

ანგარიში N2

2020

პროექტის
პარტნიორების
შეხვედრა

ტრენინგები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის





სამოქალაქო საზოგადოების
ორგანიზაციების ფორუმის
შეხვედრები

საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის მონიტორინგი დასავლეთ საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში

ანგარიში N2

ვანი, თერჯოლა, ბაღდათი, ხონი, ამბროლაური, ცაგერი, ლანჩხუთი, ოზურგეთი

გამოცემაზე მუშაობდნენ:

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“
მეწარმე ქალთა ფონდი
იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“

პროექტის დირექტორი:
ალლა გამახარია
(კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“)

პროექტის კოორდინატორები:
თეა თორინავა
(კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“)
მერი გელაშვილი
(მეწარმე ქალთა ფონდი)
ქეთევან ცხაკაია
(იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“)

რედაქტორი - ლალი შენგელია
დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

ანგარიში დაიბეჭდა პროექტის „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“ ფარგლებში

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით.

მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ და, შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

2020

ს ა რ ჩ ე ვ ი

ადგილობრივ თვითმმართველობებში საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) განხორციელების პროგრესის შეფასება - მეორე მონიტორინგის კონსოლიდირებული ანგარიში 6

1. შესავალი 6

2. მონიტორინგის მიზანი და მეთოდოლოგია 9

3. მონიტორინგის მიგნებები - პროგრესის და არსებული ხარვეზების შეფასება 9

3.1. გამჭვირვალობა 9

3.2. ეფექტიანობა 13

3.3. ინკლუზიურობა/მონაწილეობა 16

4. დასკვნა და რეკომენდაციები 19

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის განხორციელების მეორე მონიტორინგის ანგარიში

ვანის მუნიციპალიტეტი 25

შესავალი 26

გამჭვირვალობა 27

ეფექტიანობა 29

ინკლუზიურობა 31

დასკვნა და რეკომენდაციები 32

თერჯოლის მუნიციპალიტეტი 33

შესავალი 34

გამჭვირვალობა 35

ეფექტიანობა 37

ინკლუზიურობა 39

დასკვნა და რეკომენდაციები 41

ბაღდათის მუნიციპალიტეტი 43

შესავალი 44

გამჭვირვალობა 44

ეფექტიანობა 47

ინკლუზიურობა 49

დასკვნა და რეკომენდაციები 50

ხონის მუნიციპალიტეტი 51
შესავალი 52
გამჭვირვალობა 53
ეფექტიანობა 55
ინკლუზიურობა 56
დასკვნა და რეკომენდაციები 58

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი 61
შესავალი 62
გამჭვირვალობა 63
ეფექტიანობა 64
ინკლუზიურობა 64
დასკვნა და რეკომენდაციები 65

ცაგერის მუნიციპალიტეტი 67
შესავალი 68
გამჭვირვალობა 69
ეფექტიანობა 70
ინკლუზიურობა 70
დასკვნა და რეკომენდაციები 71

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი 73
შესავალი 74
ეფექტიანობა 76
ინკლუზიურობა 78
დასკვნა და რეკომენდაციები 80

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი 83
შესავალი 84
გამჭვირვალობა 85
ეფექტიანობა 87
ინკლუზიურობა 88
დასკვნა და რეკომენდაციები 90

დანართი
მონიტორინგის მექანიზმი (კითხვარი) პროექტის
8 სამიზნე მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის
რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგისთვის 91

ადგილობრივ თვითმმართველობებში საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) განხორციელების პროგრესის შეფასება

მეორე მონიტორინგის კონსოლიდირებული ანგარიში

ეკატერინე გამახარია
ფონდი „სოხუმის“ პროგრამების განვითარების და ადვოკატირების მენეჯერი,
თბილისის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი

1. შესავალი

საჯარო მმართველობის რეფორმა (PAR) ფუნდამენტურ როლს ასრულებს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე, ხოლო მისი წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ისეთი ვალდებულების შესრულებას, როგორიც არის გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ეფექტური სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბება.

საჯარო მმართველობის რეფორმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს **ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა**, რომლის მიზანია დეცენტრალიზაციის პროცესის გაუმჯობესება და ადგილობრივ დონეზე უკეთესი მმართველობის მიღწევა. საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების 2019-2020 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმაში ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით გათვალისწინებულია ორი ძირითადი ამოცანა:

- *თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებების გაფართოება;*
- *ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება.*

ელექტრონული მმართველობის მიმართულებით რეფორმების დაჩქარება, ელექტრონული მომსახურების პლატფორმების განვითარება და მათზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს განსაკუთრებით COVID-19 ვირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში.

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) ჯეროვანი განხორციელების ხელშესაწყობად და ასევე გამჭვირვალე, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ადგილობრივი მართვის უზრუნველსაყოფად, **კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი**

„სოხუმი“, მეწარმე ქალთა ფონდთან და იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირ „სპექტრთან“ პარტნიორობით, ევროკავშირის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“.

პროექტის მიზანია დასავლეთ საქართველოს - იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის 8 მუნიციპალიტეტში[1] **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმის („ფორუმი“) შექმნის და გაძლიერების გზით,** მათი აქტიური ჩართვა ადგილობრივ თვითმმართველობებში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების მონიტორინგის პროცესში.

მონიტორინგის მიზანს წარმოადგენს ადგილებზე ელექტრონული მმართველობის პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, გამოკვეთილი ხარვეზების და გამოწვევების აღმოსაფხვრელად შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და პრობლემების გადაწყვეტისთვის აქტიური ადვოკატირების წარმოება.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია **მონიტორინგის 4 ეტაპი,** რომელთაგან პირველი ჩატარდა 2020 წლის იანვარ-თებერვალში. მონიტორინგის შედეგად მომზადდა დეტალური ანგარიში, რომელშიც ასახულია ადგილებზე რეფორმის გატარების პროცესში არსებული მიღწევები, გამოვლენილი ხარვეზები და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტის საყურადღებოდ.

პირველი მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებზე ქმედითი რეაგირების და პრობლემების გადაწყვეტის დაჩქარების მიზნით, პროექტის ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე **მნიშვნელოვანი ინტერვენცია:**

ადგილებზე ინტერ-სექტორული საკოორდინაციო მექანიზმის - „სამუშაო ჯგუფების“ შექმნა

ადგილებზე საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურულ დანაყოფებს შორის **კოორდინაციის და თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით**, ასევე მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების ანალიზის და მათზე რეაგირების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში შეიქმნა რვა ინტერ-სექტორული **„სამუშაო ჯგუფი“.** სამუშაო ჯგუფი წარმოადგენს სამიზნე მუნიციპალიტეტებში ***საჯარო მმართველობის რეფორმის ჯეროვნად განხორციელების მიზნით შექმნილ პირველ საკოორდინაციო მექანიზმს,*** რომელმაც გააერთიანა ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (მათ შორის „ფორუმის“ წევრების), მედიის და მოწყვლადი ჯგუფების (შშმ პირები, მარტოხელა ქალები, ძალადობის მსხვერპლი ქალები, დევნილები, მრავალშვილიანი ოჯახები და ა.შ.) წარმომადგენლები (10-12 ადამიანი). მისი საქმიანობა და ფუნქციები განისაზღვრა შესაბამისი დებულებით და დამტკიცდა მუნიციპალიტეტების მიერ. აღსანიშნავია, რომ პროექტის მიმდინარეობისას, ადგილობრივ დონეზე ელექტრონული მართვის სისტემების გასაუმჯობესებლად, „სამუშაო ჯგუფებმა“ შეიმუშავეს **ადგილობრივი სამოქმედო გეგმები,** რომლებიც სადღეისოდ განხილული, მიღებული და დამტკიცებულია ბაღდათის, ვანის და თერჯოლის საკრებულოების მიერ. პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, მათ მიერ შემუშავდა დეტალური **ადვოკატირების სტრატეგიები.** სამუშაო ჯგუფების აქტიურ ადვოკატირების

1 ხონის, ბაღდათის, თერჯოლის, ვანის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ცაგერის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტები.

კამპანიას და ძალისხმევას რეაგირება მოჰყვა და გადაწყდა მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი არაერთი ხარვეზი და პრობლემა, მათ შორის: ცალკეულ მუნიციპალიტეტებში გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტის ვებგვერდებზე საჯარო ინფორმაციის (ანგარიშების, დებულებების და ა.შ.) განთავსების ხარისხი; ხელმისაწვდომი გახდა საჯარო მოხელეთა ბიოგრაფია და საკონტაქტო ინფორმაცია, შეიქმნა ან/და გამარტივდა მოქალაქეთა ელექტრონული კომუნიკაცია ადგილობრივ ჩინოვნიკებთან, შეიქმნა მოქალაქეთა მხრიდან კითხვის დასმის პანელები; 2021 წლის ბიუჯეტში გამოიყო ადმინისტრაციული შენობების შესასვლელთან პანდუსების მოწყობის თანხა. სამუშაო ჯგუფების აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს მუნიციპალიტეტების ეთიკის კოდექსის და ანტიკორუფციული გეგმის შემუშავება და ა. შ.

მცირე საგრანტო პროექტები – მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებზე მიზნობრივი რეაგირების მიზნით

პროექტის ფარგლებში „ფორუმში“ გაერთიანებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა შეიმუშავეს და **წარმატებით განახორციელეს 16 მცირე საგრანტო პროექტი.** პროექტებმა ხელი შეუწყო ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერებას და განვითარებას; საჯარო მმართველობის რეფორმის შესახებ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მოსახლეობის ინფორმირებულობას; სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის ზრდას პოლიტიკურ დიალოგსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში; საჯარო მმართველობის რეფორმის, ადგილობრივი ელექტრონული მომსახურების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას და სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. განხორციელებული პროექტების ფარგლებში ჩატარდა არაერთი შეხვედრა, ტრენინგი/ვორკშოპი, მრგვალი მაგიდა და შეხვედრა თვითმმართველობის წარმომადგენელთა და მოქალაქეთა მონაწილეობით (ვანი, ბაღდათი, ამბროლაური); მოსახლეობის პრობლემებზე სწრაფი რეაგირების მიზნით ამოქმედდა „მუნიციპალური ცხელი ხაზი“ (ხონი), შეიქმნა და ამოქმედდა ონლაინ აპლიკაცია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული მენეჯერი“, რომლის საშუალებითაც მოსახლეობას შეუძლია, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია საკრებულოს ღონისძიებათა შესახებ და ასევე კითხვით მიმართოს საკრებულოს დეპუტატებს; მომზადდა ვიდეორგოლები ელექტრონული სერვისების სარგებლობისთვის, ხოლო ინტერნეტის წვდომას მოკლებული მოსახლეობისთვის გამოიცა საინფორმაციო ბროშურები (ამბროლაური, ცაგერი); დაინერგა სამოქალაქო ბიუჯეტი და 2021 წლის ბიუჯეტში დაიგეგმა შესაბამისი თანხები (თერჯოლა, ლანჩხუთი); იდენტიფიცირდა მუნიციპალიტეტის კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებები და შემუშავდა პროფესიული განვითარების გეგმები (თერჯოლა, ლანჩხუთი); მუნიციპალურ ვებგვერდებზე დანერგილია ონლაინ მიმართვის ფორმები, მათ შორის - „მიმართე მერს“, „მიმართე საკრებულოს თავმჯდომარეს“, გარკვეული მუნიციპალიტეტების ვებგვერდზე ინტეგრირდა საინფორმაციო პანელი „მოითხოვე ინფორმაცია“, რომლითაც დაინტერესებულ მოქალაქეს კითხვით შეუძლია მიმართოს თვითმმართველობის წარმომადგენლებს. ცალკეულ მუნიციპალიტეტებში ვებგვერდს დაემატა განყოფილება „დაგეგმე შენი ბიუჯეტი“ და ა.შ.

გამოწვევების საპასუხოდ განხორციელებული აქტიური მუშაობის და მიღწეული პროგრესის მიუხედავად, კვლავ გამოწვევად რჩება ადგილობრივ თვითმმართველობებში **ელექტრონული მმართველობის ჯეროვანი დანერგვა, ელექტრონული მომსახურების და საჯარო ინფორმაციის გამჭვირვალობა და ამ ინფორმაციისადმი მოსახლეობის ხელმი-**

საწვდომობა. საკმაოდ სუსტია ადგილობრივი პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების გამოყენების და მონაწილეობის ხარისხი და ანგარიშვალდებულების პრაქტიკა.

2. მონიტორინგის მიზანი და მეთოდოლოგია

წინამდებარე, რიგით **მეორე მონიტორინგის მიზანია,** პირველი მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შეფასება; ადგილობრივ თვითმმართველობაში ელექტრონული მომსახურების გამჭვირვალობის, ეფექტიანობის და ინკლუზიურობის ჭრილში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი გამოსწორების მიზნით ახალი რეკომენდაციების შემუშავება.

მონიტორინგი განხორციელდა 2020 წლის აგვისტოში საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში, კერძოდ კი: ხონის, ბაღდათის, თერჯოლის, ვანის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ცაგერისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში, „სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში“ გაერთიანებული 16 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ.

ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის ხარისხის შესწავლა მოხდა პროექტის პარტნიორების მიერ წინასწარ შემუშავებული მონიტორინგის მექანიზმის და კითხვარების საფუძველზე, რომელიც შეფასების 32 სხვადასხვა კრიტერიუმს და ინდიკატორს აერთიანებდა.[2] რეფორმის მიმდინარეობის შეფასება ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტების ოფიციალური ვებგვერდების მონიტორინგის, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზის და მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკის ადგილებზე დაკვირვების საფუძველზე. ინფორმაციის მოძიების და გადამოწმების დამატებით საშუალებებად გამოყენებულ იქნა მუნიციპალური ორგანოების წარმომადგენლებთან სატელეფონო კომუნიკაცია, პირადი შეხვედრები და ყველა ოფიციალური ონლაინ წყარო, რაც კონკრეტული საკითხის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციას შეიცავდა.

3. მონიტორინგის მიგნებები - პროგრესის და არსებული ხარვეზების შეფასება

3.1. გამჭვირვალობა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში გამჭვირვალობის ხარისხი შეფასდა შემდეგი ინდიკატორების და პარამეტრების საფუძველზე: რამდენად გამჭვირვალეა მუნიციპალიტეტში ვაკანსიების გამოცხადების პროცესი, რამდენად განთავსებულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე საკრებულოს და მერიის ორგანიზაციული სტრუქტურა და საჯარო მოხელეთა ბიოგრაფია და საკონტაქტო ინფორმაცია; ხდება თუ არა საჯარო

2 გამჭვირვალობა შეფასდა წინასწარ შერჩეული 9, ეფექტიანობა 11 და ინკლუზიურობა 12 ინდიკატორით.

ინფორმაციის, საკრებულოსა და მერიის სხდომების და შეხვედრების, ცალკეული განყოფილებების ანგარიშებისა და ოქმების, საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების, დებულებების, დამტკიცებული ბიუჯეტის ვებგვერდზე განთავსება; არის თუ არა განსაზღვრული და ხელმისაწვდომი ინფორმაცია საჯარო მოხელეთა მიერ მოქალაქეთა მიღების და ღია კონსულტაციების შესახებ; არსებობს და ხელმისაწვდომია თუ არა ადგილობრივ დონეზე ანტიკორუფციული სტრატეგია და გეგმა და ადგილობრივ საჯარო მოხელეთა ქცევის ნორმები და წესები.

წინამდებარე მონიტორინგის პროცესში შესწავლილ იქნა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან წინა მონიტორინგის დროს გამოვლენილ ხარვეზებზე რეაგირების ხარისხი და განხორციელებული ცვლილებები.

ვაკანსიის გამოცხადების საჯაროობა და ვადები

„ვაკანსიის“ აღმნიშვნელი ფანჯარა განთავსებულია ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, თუმცა გამოცხადებული ვაკანსიების განთავსების წესი და ვადები ყველგან დაცული არ არის. პირველი მონიტორინგის მსგავსად, მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე **ვაკანსიის განთავსების ვადები და წესი დაცულია** ბაღდათის, ვანისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში. ვაკანსიების შესახებ განახლებული ინფორმაცია იძებნება. ვაკანსიები ატვირთულია როგორც შესაბამისი მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, ასევე www.hr.gov,ge სამთავრობო ვებპორტალზე. დაცულია კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა ვადა: განთავსების, გადარჩევის, გასაჩივრების, გასაუბრების, კომისიის მიერ კანდიდატის წარდგენის და დანიშვნის შესახებ. ***რთულდება პროგრესის დაფიქსირება*** ამბროლაურსა და ხონში, რადგან მეორე მონიტორინგის პერიოდში, ისევე როგორც პირველის დროს, მოპოვებული ინფორმაციით, **მუნიციპალიტეტში ვაკანსიები არ გამოცხადებულა**. მიუხედავად იმისა, რომ ოზურგეთის მერიის სტრუქტურის ცხრილში ვაკანტური ადგილები ფიქსირდება, მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ვაკანსიებისთვის განკუთვნილ პანელზე ინფორმაცია არ იძებნება. ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის განახლება არ მომხდარა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, სადაც ბოლო ვაკანსია გამოცხადდა 2019 წლის ოქტომბერში. აღნიშნული მონიტორინგი ცხადყოფს, რომ იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც რეკომენდებული იყო ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის დროული განთავსება, შესამჩნევი პროგრესი არ შეინიშნება. ვაკანტური ადგილების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობისათვის ასევე იკვეთება ინფორმაციის არა მხოლოდ ვებგვერდზე, არამედ ბეჭდურ მედიაში განთავსების აუცილებლობაც, რადგან სამიზნე მუნიციპალიტეტების სხვადასხვა დასახლებაში ინტერნეტისადმი წვდომა კვლავ გამოწვევად რჩება.

ადგილობრივი ხელისუფლების თანამდებობის პირთა ბიოგრაფიების და საკონტაქტო ინფორმაციის საჯაროობა

პირველი მონიტორინგის შემდგომ ხარვეზების აღმოფხვრის მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შედეგად **შეინიშნება მკაფიო პროგრესი.** ბაღდათის, ვანის და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში, სადაც ვებგვერდებზე თავიდანვე იყო განთავსებული ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზაციული სტრუქტურა, საკონტაქტო პირების ბიოგრაფიები მოვალეობების, სატელეფონო ნომრებისა და ელექტრონული ფოსტების მითითებით,

მოხდა არსებული საკონტაქტო ინფორმაციის რევიზია და საჭიროებისამებრ მოქმედი საკონტაქტო ინფორმაციით ჩანაცვლება. აშკარა **პროგრესი შეინიშნება ოზურგეთში,** სადაც აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება წინა მონიტორინგის პროცესში **ვერ ხერხდებოდა.** დღესდღეობით ვებგვერდებზე **სრულად არის ასახული ორგანიზაციული სტრუქტურა და საკონტაქტო ინფორმაცია** საჯარო მოხელეთა შესახებ. **ხონის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ვებგვერდის აქტიური მოდერნიზაცია**, სადაც, არსებული მონაცემებით, იგეგმება ყველა იდენტიფიცირებული ხარვეზის გამოსწორება. ამ ეტაპზე ვებგვერდი სატესტო რეჟიმშია, სადაც ხერხდება მხოლოდ თანამდებობის პირთა ბიოგრაფიის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, საკონტაქტო ინფორმაციის გარეშე. ამბროლაურშიც აქტიურად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ვებგვერდის განახლება, სრულად ჩასწორდა საჯარო მოხელეთა საკონტაქტო ინფორმაცია. მიუხედავად იმისა, რომ ლანჩხუთში, მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე არსებობს საკრებულოსა და მერიის ორგანიზაციული სტრუქტურა, თანამდებობის პირთა ბიოგრაფიის, მოვალეობების სრული საკონტაქტო ინფორმაციის აღნიშვნით, წინამდებარე პროექტის დახმარებით შეიქმნა აპლიკაცია ***„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, საკრებულოს ელექტრონული მენეჯერი“*** (www.lcman.ge), რომელშიც უზრუნველყოფილია მოქალაქეთათვის საკრებულოს მუშაობის და ზოგადად ფართო სპექტრის საჯარო ინფორმაციისადმი წვდომა, დეტალურად არის მოცემული საკრებულოს წევრების, კომისიებისა და ფრაქციების საკონტაქტო ინფორმაცია.

მოქალაქეების მიღების/ღია კონსულტაციების დღეები

ცალკეული მუნიციპალიტეტების პრაქტიკაში მეორე მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა **ერთგვარი პროგრესი** და გაუმჯობესება მოქალაქეების მიღების დღეებისა და საათების განსაზღვრის და ამ ინფორმაციის საჯაროობის თვალსაზრისით, თუმცა ეს საკითხი მუნიციპალიტეტების **უმრავლესობისთვის ბოლომდე დარეგულირებული არ არის.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საკრებულო ყოველწლიურად ამტკიცებს საკრებულოს წევრების მიერ მოქალაქეთა მიღების დღეებს და აღნიშნული პრაქტიკა გრძელდება. **აშკარა პროგრესი ფიქსირდება ვანის მუნიციპალიტეტში:** წინა მონიტორინგისგან განსხვავებით, როდესაც მოქალაქეთა მიღების დღეები გაწერილი და გასაჯაროებული ჰქონდა მხოლოდ ქალაქის მერს, წარდგენილი რეკომენდაციის საპასუხოდ, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, მოქალაქეთა მიღების დღეები და საათები განისაზღვრა მერიაშიც და საკრებულოშიც. **ვითარება გაუმჯობესდა ცაგერშიც,** სადაც წინა მონიტორინგის მონაცემების თანახმად, არ არსებობდა მოქალაქეებთან თანამდებობის პირთა შეხვედრების წინასწარ განსაზღვრული გრაფიკი. სადღეისოდ არსებობს ცალკეული თანამდებობის პირთა მოქალაქეთა მიღების დღეების მკაფიოდ გაწერილი გრაფიკი, თუმცა ეს ინფორმაცია გამოკრულია მხოლოდ მათი კაბინეტების კარებზე და საინფორმაციო დაფებზე და **არ არის ასახული არც ვებგვერდზე და არც ფეისბუქზე. მსგავსი ვითარებაა ბაღდათშიც,** სადაც, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული დრო გაწერილი აქვთ ქალაქის მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს, ინფორმაცია მიღების დღეების შესახებ ვებპორტალზე არ იძებნება. მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტებში ადგილებზე **თანამდებობის პირთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მიღების კონკრეტული დღეების დაწესებით ზღუდავს მოქალაქეებს** და, შესაბამისად, მიღების დღეებს არ განსაზღვრავს. თუმცა საკრებულოს წევრთა მიერ მოქალაქეების მიღების დღეების განსაზღვრის ვალდებულება

გაწერილია საკრებულოს დებულებასა და რეგლამენტში. ამბროლაურის და ნაწილობრივ თერჯოლის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ მიმართვის შეუზღუდავი დრო. ამ ეტაპზე თერჯოლაში მიღების დღეები განსაზღვრული აქვთ მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარეს და სოფელ ღვანკითის დეპუტატს. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება **ლანჩხუთშიც**, სადაც პირველი მონიტორინგის დროს არსებული სიტუაციისგან განსხვავებით, **მოქალაქეთა მიღების დღეები გააუქმეს** საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, დეპუტატებმა და დეპარტამენტების მოადგილეებმა. იმ მუნიციპალიტეტებს, რომლებიც თვლიან, რომ მოქალაქეებს შეზღუდული არ უნდა ჰქონდეთ შეხვედრები თანამდებობის პირებთან, არ გააჩნიათ შეხვედრაზე მოქალაქეთა ჩაწერის მექანიზმები, რაც საგრძნობლად გაამარტივებდა მოქალაქეთა ნაკადის მართვას და შეამცირებდა მათი ლოდინის და რიგში დგომის დროს. ჩაწერის ონლაინ სისტემის დანერგვაზე მუშაობა დაწყებულია **მხოლოდ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში** (აღნიშნული წინადადება ინიცირებულია ამბროლაურში მოქმედი სამუშაო ჯგუფის მიერ). **ხონის მუნიციპალიტეტში** საკრებულოს მიერ მოქალაქეთა მიღების დღეები ოფიციალურად კვლავაც არ არის განსაზღვრული. მოქალაქეებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია მერთან და მის მოადგილესთან. აღსანიშნავია, რომ მოქალაქის მხრიდან გადაუდებელი პრობლემის ოპერატიულად კომუნიკაციისთვის მუნიციპალიტეტში ამოქმედდა „ცხელი ხაზი“.[3]

საჯარო დოკუმენტების გამოქვეყნება

თვალშისაცემი ***პროგრესი შეინიშნება*** საჯარო დოკუმენტების ვებგვერდზე გამოქვეყნების თვალსაზრისით. პირველი მონიტორინგის მსგავსად, წინამდებარე მონიტორინგის პროცესში ფინანსურ დოკუმენტაციას, მათ შორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს, მისი შესრულების ანგარიშებს, განხორციელებული შესყიდვების გეგმას აქვეყნებენ ხონის, ამბროლაურის, ცაგერის, ოზურგეთის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები. სიტუაცია შესამჩნევად გამოსწორდა ***ვანის, ბაღდათის და თერჯოლის*** მუნიციპალიტეტებში, სადაც მეორე მონიტორინგის დროისთვის, პირველისგან განსხვავებით, ***ვებვერდზე გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის 2020 წლის ფინანსური დოკუმენტაცია, ბიუჯეტები, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები.*** საკრებულოს სხდომების დღის წესრიგი, მიღებული ყველა ნორმატიული აქტი თუ დადგენილება, შესაბამისი სამსახურების და განყოფილებების **ანგარიშები** მეორე მონიტორინგის მომენტისთვის **ელექტრონულად ხელმისაწვდომია** ლანჩხუთის, ოზურგეთის, ბაღდათის, თერჯოლის, ვანის მუნიციპალიტეტებში. ცაგერის მუნიციპალიტეტში საკრებულოს დღის წესრიგი ხელმისაწვდომია მხოლოდ საინფორმაციო დაფაზე და არ არის ატვირთული ელექტრონული სახით ვებგვერდზე. აღსანიშნავია, რომ ცალკეულ მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ვებგვერდების განახლების და მოდერნიზაციის აქტიური პროცესი, ელექტრონული სერვისების მიწოდების გაუმჯობესების, გამარტივების და საჯარო ინფორმაციის სრულად ხელმისაწვდომობისთვის (ხონის, თერჯოლის, ამბროლაურის მუნიციპალიტეტები).

3 საქმიანობა განხორციელდა ქვეგრანტების კომპონენტით, ფონდი „სოხუმის“ პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის (PAR) მონიტორინგი ადგილობრივ თვითმმართველობებში“ ფარგლებში

თვითმმართველობის ანტიკორუფციული ზომები

ქმედითი პროგრესი არ ფიქსირდება თვითმმართველობებში ანტიკორუფციული ზომების მიღების თვალსაზრისით. მუნიციპალიტეტებისადმი წარმოდგენილი რეკომენდაციების და საკითხის ირგვლივ განხორციელებული აქტიური ადვოკატირების მიუხედავად, სამიზნე მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში, გარდა ოზურგეთისა, დღემდე არ არის მიღებული ანტიკორუფციული დებულება და გეგმები. ასევე არ არსებობს ფინანსური რეგულაციები და დებულება ეთიკური ქცევის შესახებ. პროექტის ფარგლებში შექმნილი „სამუშაო ჯგუფების" უშუალო მონაწილეობით, ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა აღნიშნული დოკუმენტების შემუშავებაზე. **ეთიკური ქცევის დებულების შემუშავება და მიღება მოხერხდა თერჯოლის მუნიციპალიტეტში.** ***ხელშესახები პროგრესი შეინიშნება ასევე ოზურგეთში,*** სადაც სამუშაო ჯგუფების აქტიური მონაწილეობით შემუშავდა და საკრებულოს სხდომაზე დამტკიცდა ***„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა".*** აღნიშნული სტრატეგიის მიღებას მოჰყვა სტრატეგიის მონიტორინგის ჩარჩოსა და შეფასების მეთოდოლოგიის შექმნა, რომელიც ასევე დამტკიცდა საკრებულოს მიერ[4]. ამ ეტაპზე **ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ჯერჯერობით პირველია,** რომელმაც შეძლო ადგილობრივ დონეზე ანტიკორუფციული დოკუმენტის მიღება. დღეის მდგომარეობით, ანტიკორუფციული ზომების მისაღებად თვითმმართველობის წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ კანონით და საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შესახებ მთავრობის დადგენილებით.

3.2. ეფექტიანობა

თვითმმართველობებში ეფექტიანობის ხარისხის შეფასება მოხდა შემდეგი ინდიკატორების და პარამეტრების საფუძველზე: რამდენად ხელმისაწვდომია მოქალაქისთვის ელექტრონული მომსახურება, აქვს თუ არა მოქალაქეს წინადადებების, საჩივრების და პეტიციების წარდგენის, შეხვედრაზე დარეგისტრირების შესაძლებლობა და როგორია წერილობით წარდგენილ მოთხოვნაზე პასუხის მიღების ინტენსივობა; არსებობს თუ არა მუნიციპალიტეტში მომსახურების შეფასების შესაბამისი მექანიზმები, ხორციელდება თუ არა მერიის სამსახურების საქმიანობის მონიტორინგი (ვადები და ფორმა); რამდენად ინტენსიურად ხორციელდება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება, ტარდება თუ არა ადგილობრივი თანამდებობის პირთა კვალიფიკაციის საჭიროებათა კვლევა და აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს ამ კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავებული და მიღებული პროფესიული განვითარების შესაბამისი გეგმა.

მოქალაქეთა მხრიდან წარდგენილ საჩივრებზე და წერილებზე რეაგირების ხარისხი

მონიტორინგის მონაცემების თანახმად, ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტის **ვებგვერდებზე არსებობს საჩივრის, პეტიციის წარდგენის და წერილების გაგზავნის-**

4 შემუშავდა USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭერით

თვის განკუთვნილი ველი. თუმცა **იკვეთება გარკვეული პრობლემები,** რომლებიც თან ახლავს აღნიშნული სერვისის გამოყენებას. მაგალითად, ამბროლაურში ვებ-პორტალის საკმაოდ მცირე მეხსიერების გამო, არსებობს გაგზავნილი ინფორმაციის დაკარგვის/წაშლის რისკი. პრაქტიკულად ყველა მუნიციპალიტეტისთვის საერთო გამოწვევას წარმოადგენს მოქალაქეთა მხრიდან აღნიშნული სერვისის გამოყენების საკმაოდ დაბალი ნიშნული, რაც ცხადყოფს მოსახლეობის ელექტრონული სერვისებისადმი ჯერ კიდევ შეზღუდულ ხელმისაწვდომობას (ინტერნეტის, ინფორმაციის ან შესაბამისი ტექნიკური შესაძლებლობების არარსებობა). შესაბამისად, მოსახლეობის ელექტრონული უნარ-ჩვევების გაძლიერების და არსებული სერვისების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის, ასევე რეგიონების ხარისხიანი ინტერნეტ სიგნალით აღჭურვის გარეშე, ელექტრონული სერვისების გამოყენების მაღალ ნიშნულამდე აყვანა გართულდება. მონიტორინგის პროცესში აღინიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან **არ ხდება მიღებული წერილების, საჩივრების გაანალიზება და ანგარიშების მომზადება** (ბაღდათი). **არ ქვეყნდება შემოსული წერილების, საჩივრებისა და პეტიციების სტატისტიკა,** რაც მოითხოვს გამართვას.

საჩივრებზე და წერილებზე რეაგირების და უკუკავშირის ვადები მუნიციპალიტეტებში, ძირითადად, განსაზღვრულია კანონით დადგენილი ვადების ფარგლებში, **10 დღის ვადით**, თუმცა საკითხის სპეციფიკიდან (სირთულის ან სიმარტივის) გამომდინარე, რეაგირება ხდება 3-დან 10 დღემდე მონაკვეთში.

მუნიციპალიტეტში გაწეული მომსახურების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები

მუნიციპალიტეტების ***უმრავლესობისთვის კვლავ გამოწვევად*** რჩება მუნიციპალური მომსახურების შეფასების და მონიტორინგის განხორციელება. **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გარდა,** პრაქტიკულად **არსად არ არის დანერგილი** თვითმმართველობის მიერ **გაწეული სერვისების შეფასების სისტემა,** არ არის განსაზღვრული მონიტორინგის ჩატარების ვადები და ანგარიშის ფორმა. მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა, რომ ***მონიტორინგი ხორციელდება მხოლოდ ოზურგეთში,*** ყოველთვიური და კვარტალური, ასევე ყოველწლიური ანგარიშების გზით, რომლისთვისაც არსებობს სპეციალური ფორმა და განსაზღვრული ვადები. დანარჩენი მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, ***შეფასების კუთხით თვითმმართველობები, ძირითადად, ეყრდნობიან აუდიტის შეფასებას***. პირველი მონიტორინგის შემდეგ განხორციელებული ადვოკატირების და სამუშაო ჯგუფების მუშაობის შედეგად, ადგილობრივ თანამდებობის პირთა მხრიდან გაცნობიერდა მოქალაქეთა მუნიციპალური სერვისებით კმაყოფილების, მათი საჭიროებების შესწავლის პრაქტიკის დანერგვის აუცილებლობა. თუმცა აღნიშნული პროცესი ***ჭიანურდება ადგილებზე შესაბამისი კვალიფიკაციის და პასუხისმგებელი პირის არარსებობის გამო.*** არსებულ გამოწვევაზე საპასუხოდ, სამუშაო ჯგუფების მიერ მიმდინარეობს შეფასებისა და მონიტორინგის შესაბამისი ფორმების შემუშავების პროცესში ჩართვა. ცალკეულ მუნიციპალიტეტში ასევე დაიგეგმა შეფასებისა და მონიტორინგის საკითხებზე ტრენინგის ჩატარება, რაც აისახა თანამდებობის პირთა პროფესიული განვითარების გეგმაში.

თვითმმართველობებში თანამდებობის პირთა პროფესიული განვითარება და კომპეტენციის ამაღლება

განხორციელებული ორივე მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ მუნიციპალური სერვისების მიწოდების ხარისხი ადგილობრივი ჩინოვნიკების მიერ საკუთარი ფუნქციების და ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება დიდწილად არის დამოკიდებული მათ შესაბამის კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმზე. მონიტორინგის შედეგებით ვლინდება, რომ ***მოქალაქეთა საჭიროებებზე და პრიორიტეტებზე მორგებული სერვისების დანერგვას აფერხებს შესაბამისი ცოდნის და კვალიფიკაციის არარსებობა ადგილებზე.*** პირველი მონიტორინგის მონაცემებით გამოიკვეთა მუნიციპალიტეტებში თანამდებობის პირთა პროფესიული განვითარების საჭიროებათა შესწავლის და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მონაცემებზე დაყრდნობით შესაბამისი გეგმის შემუშავების აუცილებლობა. მეორე მონიტორინგის პროცესში თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გეგმის თვალსაზრისით **მუნიციპალიტეტში იკვეთება გარკვეული პროგრესი**. პრაქტიკულად ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში ***შემუშავდა მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გეგმა*** (გარდა ხონის და ცაგერის მუნიციპალიტეტებისა) და გაეგზავნა საჯარო სამსახურის ბიუროს დასამტკიცებლად. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ბიუჯეტში განისაზღვრა შესაბამისი თანხა. პრაქტიკულად ყველა მუნიციპალიტეტში თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა ტრენინგში. თუმცა ასევე იკვეთება, რომ აღნიშნული ***ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება, როგორც წესი, ხდება გარე რესურსებით*** (საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების დაფინანსებით) ***და არა მუნიციპალური ფინანსებით.***

სამიზნე მუნიციპალიტეტში თანდათანობით იკვეთება თვითმმართველობებს შორის აქტიური თანამშრომლობის და ***საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მზარდი ტენდენცია.*** მართალია, დღესდღეობით **არასაკმარისია თავად თვითმმართველობების მიერ** გამოცდილების გაზიარების მიზნით **ორგანიზებული შეხვედრები,** თუმცა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ორგანიზებით მუნიციპალიტეტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ თვითმმართველობის წარმომადგენელთა გაფართოებულ შეხვედრებში, მრგვალ მაგიდებზე, ტრენინგებსა და ვორკშოპებში. საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება კი ***პოზიტიურ გავლენას ახდენს და ხელს უწყობს მუნიციპალიტეტებში სიახლეების, ახალი მომსახურების დანერგვის პროცესს.*** პოზიტიურად შეფასდა ინფორმაციის გაცვლის და კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტებში ფონდი „სოხუმის“ მიერ პერიოდულად ორგანიზებული შეხვედრები სახელმწიფო რწმუნებულის (გუბერნატორის) აპარატში, ასევე სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა ერთობლივი ტრენინგები, რომლებზეც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები იხილავენ გრძელვადიანი სერვისების დანერგვის პერსპექტივებს, სოციალური, გენდერული პროგრამების წარმატებულ პრაქტიკასა და პანდემიით გამოწვეულ პრობლემებზე რეაგირების სტრატეგიებს. მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში **თერჯოლის მუნიციპალიტეტმა გაიზიარა წყალტუბოს მონაწილეობითი/სამოქალაქო ბიუჯეტის გამოცდილება** და უკვე დაიწყო აქტიური მუშაობა ადგილზე მისი დანერგვის კუთხით.

3.3. ინკლუზიურობა/მონაწილეობა

მოქალაქეთა მონაწილეობა და ჩართულობა ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირების პროცესში თვითმმართველობის ერთგვარი ქვაკუთხედია. ღია და კარგი მმართველობის წარმატების უმნიშვნელოვანეს ინდიკატორს კი მოქალაქეებისა და ადგილობრივი თანამდებობის პირების კომუნიკაციის სიხშირე, ადგილობრივი პოლიტიკის და პროგრამების განსაზღვრის პროცესში მოქალაქეთა ფართო სპექტრის, მოწყვლადი ჯგუფების, ქალებისა და გენდერული ჯგუფების ჩართულობა და მონაწილეობა წარმოადგენს. წინამდებარე მონიტორინგის პროცესში ინკლუზიურობა შეფასდა შემდეგი ინდიკატორების საფუძველზე: რამდენად დაცულია თვითმმართველობებში ინკლუზიურობის უზრუნველყოფის სტანდარტები; რამდენად აქტიურია მოქალაქეთა მონაწილეობა ბიუჯეტის და პროგრამების შემუშავების პროცესში და არსებობს თუ არა მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველმყოფი რეგულაცია; მოქმედებს თუ არა მუნიციპალიტეტებში მონაწილეობითი, სოციალური და გენდერული ბიუჯეტები; სარგებლობენ თუ არა მოქალაქეები მონაწილეობის არსებული მექანიზმებით (პეტიციის/საჩივრების წარდგენა, წერილების გაგზავნის სახით), მოქმედებს თუ არა ადგილებზე მოქალაქეთა მრჩეველთა, გენდერული თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საბჭოები.

ინკლუზიურობის სტანდარტების დაცვა

მეორე მონიტორინგის მონაცემებით, მუნიციპალურ შენობებში შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის თვალსაზრისით **პროგრესი არ შეინიშნება**. ადმინისტრაციული **შენობების უმრავლესობა არ არის აღჭურვილი შესაბამისი პანდუსებით,** რაც უზრუნველყოფდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თვითმმართველობებში შეხვედრებში ჩართვას. ***ნაწილობრივ ადაპტირებულია*** ამბროლაურის, ლანჩხუთის, ოზურგეთის და ბაღდათის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული შენობები, რომლებშიც მოთავსებულია გარე პანდუსები, რაც იძლევა შშმ პირთა პირველ სართულზე წვდომის შესაძლებლობას. ლანჩხუთში შენობის პირველ სართულზეა განლაგებული მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის და სოციალური სამსახურები, თუმცა გამოწვევად კვლავ რჩება შშმ პირთათვის საკრებულოს სხდომებზე დასწრების, მერებთან და მათ მოადგილეებთან შეხვედრის შესაძლებლობა. პირველი სართულის ადაპტირება პირველი მონიტორინგის რეკომენდაციების საპასუხოდ იგეგმება თერჯოლის მუნიციპალიტეტში. 2021 წლის ბიუჯეტში გარე პერიმეტრზე პანდუსების მოწყობისთვის სახსრების გამოყოფაზე აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს ხონის მუნიციპალიტეტში. დანარჩენ მუნიციპალიტეტებში შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესების რეალური პერსპექტივა არ იკვეთება. შენობათა სიძველის გამო მათში რაიმე სახის რეკონსტრუქციის განხორციელება ვერ ხერხდება.

სამიზნე მუნიციპალიტეტების **უმრავლესობაში შექმნილია შშმ პირთა საბჭოები,** გარდა თერჯოლისა. ***ცაგერში არსებობს საზოგადოებრივი საბჭო,*** რომელიც სხვა დანარჩენი მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების დაცვასთან ერთად, პასუხისმგებელია შშმ პირების ინტერესების დაცვასა და მათი საჭიროებების კომუნიკაციაზე მუნიციპალური პროგრამის შემუშავების დროს. თუმცა აღნიშნული **საბჭოების შეხვედრების ოქმები ან მუშაობის ანგარიშები არ მოიპოვება.**

საინტერესოა, რომ ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ვებგვერდზე ინტეგ-

რირებულია ცალკე ფანჯარა ***„შშმ პირთა ინფრასტრუქტურის მოწყობის სერვისი“,*** თუმცა მასზე დაჭერით კონკრეტული ჯგუფის შესახებ არცერთი ინფორმაცია ასახული არ არის.

მეორე მონიტორინგის პროცესში თერჯოლის მუნიციპალიტეტში გამოვლინდა მუნიციპალიტეტის მხრიდან აუთსორსინგის (სერვისის გაყიდვის) ***საკმაოდ წარმატებული მაგალითი,*** როდესაც სპეციალიზებული და მიზნობრივი სერვისის მისაწოდებლად ადგილზე მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციას - „თერჯოლის ინვალიდთა ასოციაციას“ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გრანტის სახით გამოეყო 10 000 ლარი.

მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში **არ არსებობს მოწყვლად ჯგუფებთან** (ქალები, სოციალურად დაუცველები, იძულებით გადაადგილებული პირები, შშმ პირები (სმენის, მხედველობის, გადაადგილების პრობლემით) **ურთიერთობისთვის პასუხისმგებელი კონკრეტული პირი,** გარდა ლანჩხუთის, ოზურგეთის და ცაგერის მუნიციპალიტეტებისა. ხონის მერიაში მოქალაქეთა მიღებისთვის მოწყობილია სპეციალური საინფორმაციო-საკონსულტაციო სივრცე, სადაც მოწყვლად ჯგუფებს სათანადო კომპეტენციის მქონე სპეციალისტი ესაუბრება და უწევს დახმარებას.

მუნიციპალიტეტებში არ არსებობს **არაქართულენოვანი პირებისთვის თარჯიმნის მომსახურება.** თვითმმართველობის წარმომადგენლების მხრიდან ეს აიხსნება იმით, რომ სამოქმედო არეალში არ არიან ეთნიკური ჯგუფები. თუმცა აქვე გამოვლინდა, რომ **არ არის შესწავლილი,** თუ რამდენი არაქართულენოვანი პირი ცხოვრობს მუნიციპალიტეტში, შესაბამისად, არსებული სერვისის არქონა არ ეყრდნობა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციას.

მოქალაქეთა მონაწილეობის არსებული მექანიზმების გამოყენების ხარისხი

მოქალაქეთა მონაწილეობის თვალსაზრისით, მეორე მონიტორინგის შედეგად მუნიციპალიტეტებში გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა, რაც გამოიხატება ონლაინ წერილების რაოდენობის ზრდაში. ***პროგრესი განსაკუთრებით გამოიკვეთა ვანის მუნიციპალიტეტში,*** სადაც 2020 წლის აგვისტოს მდგომარეობით მერიაში შესულია 3128 წერილი, რაც მიუთითებს თანდათანობით ელექტრონული სისტემების გამოყენების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდაზე. **ხონში მოსახლეობის მხრიდან მომართვიანობა გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტში ამოქმედებული „ცხელი ხაზის“ შედეგად,** რომლის მეშვეობით ადგილობრივ ხელისუფლებას მარტი-აგვისტოს პერიოდში მიმართა 450 მოქალაქემ. სამწუხაროდ, დღემდე ***პრაქტიკულად უმოქმედოა და მოქალაქეებს არ გამოუყენებიათ ამბროლაურში, ბაღდათსა და ცაგერში*** ოფიციალურ ვებგვერდზე არსებული პორტალები - ***„დაუკავშირდი ხელისუფლებას“*** (ბაღდათი), ***„მოითხოვე ინფორმაცია“*** (ამბროლაური), ***„შექმენი პეტიცია“*** (ცაგერი). არ არის გამოყენებული ლანჩხუთის ვებგვერდზე არსებული საჩივრებისა და წინადადებების წარდგენის მექანიზმი (სულ მუნიციპალიტეტში წარდგენილი 2 საჩივრიდან არცერთი არ არის გაგზავნილი ელექტრონულად). ეს მიანიშნებს მოქალაქეთა პასიურობაზე ელექტრონული სერვისების გამოყენების თვალსაზრისით, რაც აიხსნება როგორც მათი არასაკმარისი ინფორმირებულობით არსებული სერვისების შესახებ, ასევე ელექტრონული სისტემებისადმი შეზღუდული წვდომით (ინტერნეტის, შესაბამისი ტექნიკის არარსებობა ან მისი გამოყენების არცოდნა).

საგრძნობი პროგრესი შეინიშნება სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვის მიმართ მუნიციპალიტეტების გამოხატული ინტერესით. მაგალითად, თუ პირველი მონიტორინგის დროს

ლანჩხუთსა და თერჯოლაში არ იყო დანერგილი სამოქალაქო ბიუჯეტი, დღეის მდგომარეობით უკვე დაგეგმილია მათი დანერგვა 2021 წლისთვის. ლანჩხუთის საკრებულოს მიერ დაგეგმილია სულ მცირე 70 000 ლარის გამოყოფა სამოქალაქო ბიუჯეტისთვის, დამტკიცებულია სამოქალაქო ბიუჯეტის დებულება, შეიქმნა შესაბამისი მართვის ვებგვერდი www.idealanchkhuti.ge და გამოცხადებულია იდეების კონკურსი. წინა წელთან შედარებით, სამოქალაქო ბიუჯეტისთვის საგრძნობლად გაიზარდა თანხა ოზურგეთში (განისაზღვრა 300 000-მდე). მიუხედავად იმისა, რომ ვანის მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი სამოქალაქო ბიუჯეტი, მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობა და ჩართულობა უზრუნველყოფილია სოფლის პროგრამების დაგეგმვის პროცესში (სოფლის პროგრამისთვის გამოიყო მუნიციპალური ბიუჯეტის 4%). ამ მიმართულებით **პროგრესი არ ფიქსირდება ხონში, ცაგერსა და ამბროლაურში,** თუმცა აღნიშნულ საკითხზე გარკვეული დიალოგი უკვე წამოწყებულია. საგულისხმოა, რომ ამბროლაურის ოფიციალურ ვებგვერდზე დამატებულია ფანჯარა ***„დაგეგმე შენი ბიუჯეტი“,*** რაც მიმართულია ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა გააქტიურებისკენ, თუმცა, სადღეისოდ, ინფორმაცია მოქალაქეთა მხრიდან აღნიშნული მექანიზმის გამოყენების შესახებ არ მოიპოვება.

მუნიციპალიტეტების თანამშრომელთა გენდერული კომპოზიცია

მუნიციპალიტეტში თანამშრომელთა **გენდერული კომპოზიცია არაერთგვაროვანია.** მონიტორინგის შედეგად მოპოვებული მონაცემებით, სამიზნე მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში დასაქმებულ ქალთა წილი საკმაოდ მაღალია - 31%-დან 78%-მდე. აქედან ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ოზურგეთის (78%), ხონის (63%), ამბროლაურის (50%) მუნიციპალიტეტებში. თუმცა **სურათი რადიკალურად იცვლება** ხელმძღვანელ თანამდებობებზე - ქალთა სტატისტიკის შეფასებისას. საილუსტრაციოდ, ლანჩხუთის საკრებულოში დასაქმებული 78% ქალიდან ხელმძღვანელი პოზიციები უკავია მხოლოდ 20%-ს. მსგავსი სურათი იკვეთება პრაქტიკულად ყველა მუნიციპალიტეტში. გამონაკლისს წარმოადგენს ხონის მუნიციპალიტეტი, სადაც ხელმძღვანელი თანამდებობები უკავია ქალთა 51%-ს. ***ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება ცაგერში,*** სადაც, მაგალითად, მერიაში დასაქმებულთაგან ქალები შეადგენენ მხოლოდ 17%-ს, ხოლო საკრებულოში - 3%-ს. მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში **არ იძებნება სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები**. გამონაკლისს წარმოადგენს ოზურგეთის ოფიციალური ვებგვერდი, სადაც გენდერული სტატისტიკა ხელმისაწვდომია, როგორც ზოგადად თანამშრომლების, ასევე ხელმძღვანელ თანამდებობაზე დასაქმებული პირების მიხედვით.

გამოცხადებული ვაკანსიების ანალიზის პროცესში არ **ფიქსირდება პირდაპირი დისკრიმინაციის ნიშნები**, თუმცა ასევე **არ არის ქალ თანამშრომელთა** მოზიდვის **წამახალისებელი** მითითებები.

მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებების ასახვა მუნიციპალურ ბიუჯეტში

პრაქტიკულად ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში შექმნილია მოქალაქეთა მრჩეველთა და გენდერული საბჭოები, თუმცა საკმაოდ ფრაგმენტული და სუსტია მათი გავლენა ადგილობრივ სოციალურ პოლიტიკაზე და პრაქტიკულად არ არსებობს ანგარიშგება გაწეულ საქმიანობაზე. უმეტეს მუნიციპალიტეტში იკვეთება გენდერული თანასწორობის

საკითხებისადმი საკმაოდ დაბალი მგრძნობელობა და დაინტერესება, რაც გამოიხატება გენდერული თანასწორობის საბჭოების წარმომადგენელთა იშვიათი შეხვედრებით და ადგილებზე გენდერული პოლიტიკის გატარების სუსტი ტემპით. ყოველივე ეს კი ნათლად აისახება მუნიციპალიტეტში **გენდერული პროგრამების და გენდერული ბიუჯეტის არარსებობაზე.** პრაქტიკულად არცერთ მუნიციპალიტეტში არ არის გენდერული ბიუჯეტი. თუმცა არიან მუნიციპალიტეტები, სადაც **არსებობს მკაფიოდ გამოკვეთილი გენდერული პროგრამები,** რომლებიც ჩაშლილია ბიუჯეტის სხვადასხვა მიმართულებაში**.** გენდერული პროგრამების[5] ინტეგრირების თვალსაზრისით გამოირჩევა ლანჩხუთის (5 000 ლარი) და ოზურგეთის (20 000 ლარი) მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები, რომელთაც გენდერული ინდექსით შესწავლის შემთხვევაში საკმაოდ მაღალი ნიშნული ექნებოდათ. ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში გამოვლინდა **გენდერული პოლიტიკის და გენდერული ბიუჯეტირების საკითხებზე არასაკმარისი ცოდნა** და ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის შესაბამისი თანამშრომლების და თანამდებობის პირების კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება.

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში სოციალური ბიუჯეტის წილი მერყეობს 5%-დან 12%-მდე, აქედან ყველაზე დიდი წილი სოციალურ პროგრამებზე გათვალისწინებულია ხონის მუნიციპალიტეტში (12%).

4. დასკვნა და რეკომენდაციები

პირველი მონიტორინგის შემდეგ გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის წარმომადგენელთა და სამუშაო ჯგუფების მიერ განხორციელებული აქტიური ადვოკატირების კამპანიის და ძალისხმევის შედეგად, ***მეორე მონიტორინგის პროცესში შეინიშნება მკაფიო პროგრესი*** თვითმმართველობებში გამჭვირვალობის, ეფექტიანობის და ინკლუზიურობის თვალსაზრისით. ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მოხდა ოფიციალური ვებგვერდების მოდერნიზაცია, დაკორექტირდა თანამდებობის პირთა საკონტაქტო ინფორმაცია, განისაზღვრა მოქალაქეების მიღების დღეები და საათები, გაუმჯობესდა მერიისა და საკრებულოს ცალკეული სამსახურების ანგარიშების, ადგილობრივი საკანონმდებლო დოკუმენტების, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების საჯაროობა, დამტკიცდა თანამშრომელთა განვითარების გეგმები, ამოქმედდა „ცხელი ხაზი“, ოფიციალურ ვებგვერდებზე ინტეგრირდა შესაბამისი ფანჯრები, რაც ამარტივებს მოქალაქეთა კომუნიკაციას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, დაინერგა სამოქალაქო ბიუჯეტი, თუმცა, ამავდროულად, კვლავ რჩება უამრავი **გამოწვევა,** რომელიც მოითხოვს ჯეროვან, აქტიურ რეაგირებას და გამოსწორებას, მათ შორისაა:

გამჭვირვალობის კუთხით:

- მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე კვლავ მიუწვდომელია მერიისა და საკრებულოს სხდომების ოქმები და ცალკეული სამსახურების ანგარიშები;
- მუნიციპალიტეტის უმრავლესობას კვლავ არ აქვს მიღებული ანტიკორუფციული გეგმები და თანამდებობის პირთა ეთიკის კოდექსი;

5 გენდერული პროგრამები - მაგალითად, ძუძუს კიბოთი დაავადებული ქალების სარეაბილიტაციო პროგრამა, ქალთა საფეხბურთო კლუბის დაფინანსება, ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთათვის განსაზღვრული მხარდაჭერის სერვისები და ა.შ.

- მერიისა და საკრებულოს თანამდებობის პირებს არ აქვთ განსაზღვრული მოქალაქეების მიღების დღეები და საათები;
- ხშირ შემთხვევაში არ მოიპოვება ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ;
- ვებგვერდზე არსებული ფანჯრები ცარიელია ან უმოქმედო, რთულდება ინფორმაციის მოძიება;
- მიუწვდომელია გენდერულად დახარისხებული სტატისტიკა.

ეფექტიანობის კუთხით:

- მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში არ არსებობს მოსახლეობის მიერ მუნიციპალური სერვისებით კმაყოფილების შეფასების პრაქტიკა;
- არ ხორციელდება მუნიციპალიტეტში მოქმედი სამსახურების საქმიანობის და მუშაობის მონიტორინგი და არ ქვეყნდება მონიტორინგის ანგარიშები;
- არ არსებობს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მწყობრი პოლიტიკა: არ ხორციელდება მუნიციპალიტეტში თანამდებობის პირთა კვალიფიკაციის ზრდის საჭიროებათა კვლევა და არ არის შემუშავებული და დამტკიცებული პროფესიული განვითარების გეგმები.

ინკლუზიურობის/მონაწილეობის კუთხით:

- დაბალია მოქალაქეთა ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტში არსებული ელექტრონული სერვისების და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით არსებული მექანიზმების შესახებ;
- ცალკეულ მუნიციპალიტეტში არ არის დაცული ინკლუზიურობის უზრუნველმყოფი სტანდარტები: მუნიციპალური შენობები არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის, არ არის ქმედითი შშმ პირთა საბჭოები და არ არის ხელმისაწვდომი მათი საქმიანობის ანგარიშები;
- საკმაოდ პასიურია გენდერული თანასწორობის და მოქალაქეთა მრჩეველთა საბჭოები;
- მუნიციპალიტეტის უმრავლესობაში არ არსებობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის ქმედითი მექანიზმი;
- საკმაოდ სუსტია მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა ინფორმირებულობა და ცოდნა გენდერული პოლიტიკის დანერგვის და გენდერული ბიუჯეტირების საკითხებზე;
- მოსახლეობისთვის კვლავ გართულებულია ინტერნეტისადმი და ელექტრონული სისტემებისადმი წვდომა, რაც აფერხებს მის ჩართულობას და მონაწილეობას. აღნიშნული ხშირ შემთხვევაში უკავშირდება სამიზნე რეგიონების ინტერნეტით არასრულ დაფარვას ან სუსტ სიგნალს (განსაკუთრებით სოფლებში), ინტერნეტის საფასურის სიძვირეს და ტექნიკურ საშუალებებზე (კომპიუტერი, სმარტფონი და ა.შ.) მოსახლეობის ხელმისაწვდომობის პრობლემას, რასაც მეტწილად განაპირობებს საკმაოდ რთული ეკონომიკური მდგომარეობა, ტექნოლოგიების გამოყენების არასაკმარისი უნარ-ჩვევები მოსახლეობაში, განსაკუთრებით ხანდაზმულ და შუა ასაკის პირთა წრისთვის.

რეკომენდაციები

აღნიშნული ხარვეზების და გამოწვევების აღმოფხვრისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების განხორციელება:

ადგილობრივ ხელისუფლებას

გამჭვირვალობა

- საჯარო მმართველობის რეფორმის და ელექტრონული სერვისების შესახებ მოსახლეობის ჯეროვანი ინფორმირებისთვის მუნიციპალიტეტის მხრიდან შესაბამისი კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და მედიასაშუალებების აქტიური ჩართულობით. მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდების მეთოდების განსაზღვრისას დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება, სამიზნე აუდიტორიის ადგილმდებარეობის, ასაკის, ელექტრონული პლატფორმის გამოყენების უნარების გათვალისწინებით;
- ელექტრონული სერვისებით სარგებლობის დეტალური მასალების საჯარო ადგილებში გავრცელების გზით (სკოლებში, აფთიაქებში, მაღაზიებში, ინსტრუქციების განთავსება მუნიციპალიტეტის ვებგვერდებსა და სოციალურ ქსელებში. ხოლო მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომლის ხელმისაწვდომობა ელექტრონული პლატფორმებისადმი გართულებულია, ინტერნეტის სუსტი დაფარვის ან შესაბამისი უნარ-ჩვევების არარსებობის მიზეზით, შესაბამისი ბეჭდური ინფორმაციის მიწოდება ადმინისტრაციულ შენობებში და ა.შ.);
- მოსახლეობის ელექტრონული სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, თვითმმართველობის მიერ ინტერნეტ პროვაიდერებთან აქტიური მოლაპარაკებების წარმოება, ინტერნეტიზაციის ან ინტერნეტის სიგნალის გაძლიერების უზრუნველყოფის მიზნით;
- მუნიციპალიტეტის ყველა სამსახურიდან გამოიყოს უფლებამოსილი პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ყველა საჯარო ინფორმაციის განთავსებაზე მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე;
- რადგანაც კლასიფიცირებული ბიუჯეტი და ფინანსური ანგარიშები, მნიშვნელოვანწილად გაუგებარია რიგითი მოქალაქისთვის, მნიშვნელოვანია ისინი გამოქვეყნდეს ინფოგრაფიკების სახითაც;
- დაჩქარდეს თვითმმართველობებში ანტიკორუფციული დებულების, ფინანსური რეგულაციების და ეთიკის კოდექსის შემუშავების და მიღების პროცესი და მოხდეს მათი ვებგვერდებზე განთავსება, ყველა დაინტერესებული პირის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

ეფექტიანობა

- თვითმმართველობებში მოქალაქეთა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებათა კვლევის და გენდერული ანალიზის პრაქტიკის დანერგვა, სქესისა და ასაკის ნიშნით დანაწევრებული სტატისტიკის წარმოება და მხოლოდ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მონაცემებზე დაყრდნობით მუნიციპალური პროგრამის შემუ-

შავება. საამისოდ მნიშვნელოვანია ადგილობრივ დონეზე შესაბამისი საჯარო მოხელეების და მუნიციპალიტეტის თანამშრომლების კომპეტენციის და უნარების გაზრდა;

- თვითმმართველობაში პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ჩატარება და მის საფუძველზე მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა და ადგილობრივ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც დეტალურად გაიწერება პროფესიული განვითარების კონკრეტული გეგმა;
- სასურველია ისეთი ონლაინ სერვისების აქტივაცია, როგორებიცაა: მშენებლობის ნებართვა, სასოფლო და არასასოფლო მიწის რეგისტრაცია, ერთჯერად დახმარებებზე და სხვა მუნიციპალურ სერვისებზე რეგისტრირება და ა.შ., რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და სერვისის მიღების გამარტივებას;
- ინტერაქტიული ელექტრონული ონლაინ პლატფორმების შექმნა, სადაც გამოქვეყნდება ანგარიშები და შესაძლებელი გახდება მოსახლეობისგან უკუკავშირის მიღება და აქტიური კომუნიკაციის წარმოება;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მომსახურების ეფექტიანობის შეფასების სტანდარტების დანერგვა არსებული სერვისების მოსახლეობაზე ზეგავლენის და ეფექტიანობის შესაფასებლად. ამისთვის შესაძლოა შეფასების ელექტრონული ფორმების დანერგვა, რათა მარტივად და მინიმალური დანახარჯებით მოხდეს მოსახლეობისგან სერვისებით კმაყოფილების შესახებ ინფორმაციის მიღება;
- მნიშვნელოვანია შემუშავდეს მერიის სამსახურების მიერ განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგის შესაბამისი ფორმები და გაიწეროს მონიტორინგის ჩატარების კონკრეტული გრაფიკი.

ინკლუზიურობა/მონაწილეობა

- შშმ პირთა ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, აუცილებელია მუნიციპალური შენობების ადაპტირება და პანდუსებით აღჭურვა;
- ადგილობრივ დონეზე პოლიტიკურ პროცესებში მოსახლეობის მონაწილეობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია მოქალაქეების დროული ინფორმირება მონაწილეობის არსებული ფორმების შესახებ. ასევე აუცილებელია, მოქალაქეებს ხელი მიუწვდებოდეთ დაგეგმილი საკრებულოს სხდომების, საჯარო მოსმენების, სოფლის კრებების და სხვა შეხვედრების დეტალებზე და განსახილველ საკითხებზე, მედიასაშუალებებით, სოციალურ ქსელებში და ვებგვერდებზე ინფორმაციის გავრცელების გზით (მინიმუმ ერთი კვირით ადრე);
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის მხრიდან მოსახლეობასთან შეხვედრების მკაცრად გაწერილი და შესრულებადი გრაფიკის შედგენა და მოსახლეობის ფართოდ ინფორმირება;

- სასურველია დასახლების საერთო კრებების რეგისტრაციის სავალდებულოობა, რაც ხარისხობრივად გაზრდის ადგილობრივ საჯარო მოხელეთა ანგარიშვალდებულებას და მოქალაქეთა მონაწილეობას;
- სასურველია, გადაიხედოს მოქალაქეთა ჩართულობის, კერძოდ კი მოქალაქეთა მრჩეველთა საბჭოს, გენდერული თანასწორობის საბჭოს და შშმ პირთა საბჭოს მოწვევის წესი. მნიშვნელოვანია აღნიშნული მექანიზმების მუშაობის ინტენსივობის ზრდა და შეხვედრების შესახებ მოქალაქეთა ფართო წრის დროული ინფორმირება;
- სასურველია, ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის კანონით გათვალისწინებულ ფორმებთან ერთად, მოქალაქეთა ჩართულობის დამატებითი ფორმების დანერგვა, მათ შორის „სამოქალაქო ბიუჯეტის“ პროგრამები;
- სასურველია, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილება ეფუძნებოდეს დასახლების საერთო კრებაზე და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოზე გამოთქმულ მოსაზრებებს, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების გატარების გზით.

ცენტრალურ ხელისუფლებას

- მუნიციპალიტეტის ავტონომიის გაძლიერება და დეცენტრალიზაციის პოლიტიკის პროაქტიული გატარება, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მეტი უფლებამოსილების მინიჭების, ფინანსური რესურსების გადაცემის, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის გზით;
- სასურველია, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან საქართველოს მასშტაბით ჩატარდეს თვითმმართველობების საჭიროებების და არსებული რესურსების კვლევა დეცენტრალიზაციის რისკების ანალიზისთვის;
- მნიშვნელოვანია ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან თვითმმართველობებისთვის საჭირო მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა ელექტრონული მმართველობის ახალი მოდულების დასანერგად;
- **კოორდინაციის გაძლიერება და ინფორმაციის გაცვლის პრაქტიკის დანერგვა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.** მნიშვნელოვანია საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა შესაბამისი თემატური სამუშაო ჯგუფების სახით, შეხვედრების გაწერილი გრაფიკით (შეხვედრების არანაკლებ კვარტალურად ორგანიზება), სადაც ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აუცილებელი ჩართულობით, ერთად იმსჯელებენ ადგილობრივ პრობლემებზე და საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების გზაზე არსებულ ბარიერებსა და გამოწვევებზე და ერთობლივად დაგეგმავენ პრობლემათა გადაჭრის სტრატეგიებს და კონკრეტულ მოქმედებებს.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს

- მნიშვნელოვანია ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაერთიანება და მათი ადამიანური და ტექნიკური რესურსების აქტიური მიმართვა მოქალაქეთა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფების მობილიზების, ინტერესების და საჭიროებების ადვოკატირების საკითხებზე;
- სასურველია მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან საჯარო მმართველობის რეფორმის შესახებ ინფორმაციის აქტიური გავრცელება არსებული ტექნიკური და ადამიანური რესურსების გამოყენებით, მოსახლეობის მიერ ელექტრონული სერვისების სარგებლობის ხელშესაწყობად შესაბამისი მოქმედებების განხორციელება (ინსტრუქტაჟი, უნარ-ჩვევების გაძლიერება, ინფორმაციის მიწოდება და ა.შ.);
- სასურველია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლის გაზრდა ადგილობრივი ხელისუფლებისთვის საკონსულტაციო და მეთოდოლოგიური დახმარების საქმეში ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორებიცაა: ადგილობრივ პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის პრინციპების და სტანდარტების დანერგვა, საჭიროებათა კვლევა და გენდერული ანალიზი, გენდერული ბიუჯეტის შემუშავება და მონაწილეობითი ბიუჯეტირება, ოჯახში ძალადობისგან დაცვის სერვისები და ა.შ.;
- **ადგილებზე სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების და განვითარების ხელშესაწყობად** ადვოკატირების განხორციელება როგორც **ნაციონალური ხელისუფლების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების საყურადღებოდ.**

ვანის მუნიციპალიტეტი

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის განხორციელების მეორე მონიტორინგის ანგარიში

➢ შესავალი

საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის რეალიზების მონიტორინგი მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტებში გამჭვირვალე, ეფექტიანი და ინკლუზიური მმართველობის განმტკიცებას.

პროექტის ფარგლებში ეს უკვე რიგით მეორე მონიტორინგია. პირველი მონიტორინგი 2020 წლის თებერვალში ჩატარდა. მოკვლეული მასალების ანალიზით გამოიკვეთა ადგილებზე ელექტრონული მმართველობის კუთხით არსებული ხარვეზები, რასაც თან ახლდა რეკომენდაციები ცალკეული მუნიციპალიტეტებისათვის. რეკომენდაციები მიზნად ისახავდა ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას და ელექტრონული მმართველობის გაძლიერებას თვითმმართველობებში, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სახელმწიფოსა და ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტიან შესრულებას.

პროექტის ფარგლებში კიდევ ორი მსგავსი მონიტორინგის განხორციელება იგეგმება. მუნიციპალიტეტებს საშუალება ეძლევათ, იმუშაონ მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ თვითმმართველობაში საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით განხორციელებას.

მონიტორინგის მიზანი

აღნიშნული მონიტორინგი მიზნად ისახავს ელექტრონული მმართველობის პრაქტიკის გაუმჯობესების პროცესში ვანის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ცვლილებების შეფასებას, რაც **ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის** კუთხით გამოვლენილი გამოწვევების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებას და შედეგებზე დაკვირვებას გულისხმობს.

მიღებული ინფორმაციები საშუალებას იძლევა, რეკომენდაციების შემუშავებიდან დღემდე მუნიციპალიტეტში ცვლილებებით მიღებული პროგრესის აღნუსხვა მოხდეს და დამაბრკოლებელი ბარიერების დასაძლევად გრძელვადიან პერსპექტივაში გაგრძელდეს მუშაობა.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის რიგით მეორე მონიტორინგი ვანის მუნიციპალიტეტში 2020 წლის პირველი აგვისტოდან 20 აგვისტოს ჩათვლით განხორციელდა. მონიტორინგს აწარმოებდა ორი ორგანიზაცია: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თანადგომა 2020“ და ა(ა)პი „მოქალაქეთა აქტიურობა ეფექტიანი მმართველობისა და სამართლიანობისათვის“.

წინამდებარე ანგარიში ასახავს ვანის მუნიციპალიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს: როგორია მუნიციპალიტეტის მზაობა გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რა მიმართულებით შეინიშნება პროგრესი, რა ცვლილებები დაინერგა და რა ტენდენციები გამოიკვეთა.

ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის ხარისხის შესწავლა მოხდა წინასწარ შემუშავებული მონიტორინგის მექანიზმის და კითხვარების საფუძველზე. რეფორმის მიმდინარეობის შეფასება ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის მონიტორინგის, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. ინფორმაციის მოძიების და გადამოწმების დამატებით საშუალებებად გამოყენებულ იქნა მუნიციპალური ორგანოების წარმომადგენლებთან სატელეფონო კომუნიკაცია, პირადი შეხვედრები და ყველა ოფიციალური ონლაინ წყარო, რომლებიც კონკრეტული საკითხის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციას შეიცავდა. ვანის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას მადლობას ვუხდით თანამშრომლობის პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

მიღებული შედეგების ანალიზი

➢ გამჭვირვალობა

მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობას სარჩულად უდევს სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელსაც არეგულირებს საქართველოს კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. აღნიშნული სამართლებრივი ჩარჩოს საზღვრებში მუნიციპალიტეტი ანგარიშვალდებულია, საკუთარ მოქალაქეებს ჰქონდეთ ინფორმაცია ყველა მიმდინარე აქტივობაზე.

ონლაინ განცხადებები ვაკანსიების შესახებ გამჭვირვალე პროცესების მთავარი მახასიათებელია. წინა მონიტორინგიდან მიღებული მასალებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა. ***პროგრესი ამ მიმართულებით ისევ გრძელდება. იძებნება ბოლო ვაკანსია: ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 23 ივლისის N20 802 ბრძანება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ. დაცულია ვაკანსიის გამოცხადების ვადებიც.***

პირველმა მონიტორინგმა გამოკვეთა, რომ მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ატვირთული იყო ორგანიზაციული სტრუქტურა საკონტაქტო პირებით, სატელეფონო ნომრების, ელექტრონული ფოსტის მითითებით და მოვალეობების აღნიშვნით.

პროგრესი ამ მიმართულებით სახეზეა: დაზუსტდა ინფორმაციული მონაცემები, განახლდა ელექტრონული მისამართები, ტელეფონის ნომრები.

პირველი მონიტორინგის შედეგად მუნიციპალიტეტის ვებგვერდის www.vani.gov.ge მიმოხილვით გამოვლინდა, რომ საჩივრების, წინადადებების ონლაინ მიღების საშუალებად მითითებულია იმ საკონტაქტო პირების სატელეფონო ნომრები, რომლებიც 24-საათიან რეჟიმში პასუხობენ ზარებს როგორც მერიიდან, ასევე საკრებულოდან. სერვისი ხელს უწყობს მოქალაქეთა თანამშრომლობას, ფართო კომუნიკაციას საჯარო სტრუქტურებთან. ***პროგრესის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პრაქტიკა დღემდე გრძელდება. თუმცა, სასურველია, მოქალაქეებს ელექტრონულ პორტალზე შესაბამის გრაფაში ჰქონდეთ საჩივრებისა და წინადადებების ანონიმუ-***

რად წარდგენის საშუალება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათი უფლებების გამოხატვის შესაძლებლობას.

პირველმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ ვებგვერდზე www.vani.gov.ge და საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე www.Matsne.gov.ge არ ხდება ბიუჯეტის 3, 6, და 9 თვის ანგარიშების გამოქვეყნება. ეს გამჭვირვალობის თვალსაზრისით მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მნიშვნელოვანი სეგმენტია, რასაც აძლიერებს სამართლებრივი ვალდებულება. თვითმმართველობას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 91-ე მუხლის მეცხრე პუნქტის მიხედვით ამის პასუხისმგებლობა გააჩნია. გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, ***პროგრესი შესამჩნევია, ვებვერდზე უკვე იძებნება მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების 6 თვის და მუნიციპალური შესყიდვების შესრულების 6 თვის ანგარიში.***

ცვლილებები შეინიშნება საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების, დადგენილებების, სხვადასხვა დეპარტამენტის/განყოფილების ანგარიშების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი რეკომენდაცია სწორედ ამ ხარვეზის გამოსწორებას გულისხმობდა. ცვლილება ამ კუთხითაც სახეზეა: ***საკრებულოს სხდომის ოქმები, განყოფილებების, საკრებულოს მიერ მიღებული 2020 წლის დადგენილებები და განკარგულებები უკვე იძებნება შესაბამის ელექტრონულ ველზე (http://vani.gov.ge/).***

მოქალაქეთა მიღების საათების არსებობა და ამ საკითხზე ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსება ორივე მხარის ინტერესების განმსაზღვრელია, რაც, თავის მხრივ, თვითმმართველობის გამჭვირვალე საქმიანობის ერთგვარ ინდიკატორს წარმოადგენს. ვანის მუნიციპალიტეტის ელექტრონული ველის მონიტორინგით გამოიკვეთა, რომ მხოლოდ ქალაქის მერთან მოქალაქეთა მიღების დღეები იყო გასაჯაროებული, რასაც მოჰყვა შესაბამისი რეკომენდაცია.

რეკომენდაციით გათვალისწინებული პროგრესი სახეზეა. გამოიცა ნორმატიული აქტები, როგორც მერიაში, ასევე საკრებულოში მოქალაქეთა მიღების დღეების განსაზღვრის შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით გამოიცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები - მერიაშიც და საკრებულოშიც თანამდებობის პირების მიღების საათების შესახებ.

მერიაში - „ვანის მუნიციპალიტეტის მერის, მერის პირველი მოადგილის და მერის მოადგილისათვის მოქალაქეთა მიღების დღეების განსაზღვრის შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 17 აგვისტოს N20 907 ბრძანება. 2020 წლის 18 აგვისტოს N27 28 ბრძანება. ინფორმაცია ატვირთულია ვებგვერდზეც.

„ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ მოქალაქეთა მიღების დღეებად განისაზღვროს: ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ყოველი კვირის ხუთშაბათი 10:00 საათიდან 16:00 საათამდე. ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისათვის ყოველი კვირის ორშაბათი 10:00 საათიდან 16:00 საათამდე. გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეებისათვის ყოველი თვის მეორე და მეოთხე პარასკევი 10:00 საათიდან 16:00 საათამდე. დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეებისათვის ყოველი თვის პირველი და მესამე პარასკევი 10:00 საათიდან 16:00 საათამდე.“

- აქვს თუ არა ვანის მუნიციპალიტეტს მონაწილეობითი ბიუჯეტი, სოციალური ბიუჯეტი, გენდერული ბიუჯეტი? - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის განმარტებით, ვანის მუნიციპალიტეტის მთლიან ბიუჯეტში მონაწილეობითი ბიუჯეტი

შეადგენს 4%-ს, იგულისხმება სოფლის პროგრამებში მოსახლეობის აქტიური ჩართვა, სოციალური ბიუჯეტი შეადგენს 10%-ს (იგულისხმება სოციალური პროგრამები), რაც შეეხება გენდერულ ბიუჯეტს, მთლიან ბიუჯეტში ნაკლებად აისახება და პროცენტული მაჩვენებლის გამოყვანა რთულია. ***პროგრესი არ ფიქსირდება. ცვლილება არ იგეგმება. გენდერული ბიუჯეტის დამკვიდრება მუნიციპალიტეტისთვის ჯერ კიდევ გამოწვევაა.***

მუნიციპალიტეტს არა აქვს მიღებული ანტიკორუფციული ზომები, არ არსებობს ანტიკორუფციული გეგმა, დებულება, ფინანსური რეგულაციები, შესაბამისი ეთიკური ქცევის შესახებ დოკუმენტები.

მონიტორინგის ბოლო შედეგებიდან დღემდე ეს ხარვეზი არ არის გამოსწორებული, ***თუმცა პროგრესი შეინიშნება, მუშაობა ამ მიმართულებით დაწყებულია. საჯარო მმართველობის რეფორმის დანერგვის მიზნით მუნიციპალიტეტში შექმნილი სამუშაო ჯგუფი მუშაობს ანტიკორუფციული გეგმის და ეთიკური ქცევის დებულების შემუშავებაზე.***

➢ ეფექტიანობა

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტიანობა ნიშნავს თვითმმართველობის მიერ გაცემულ სერვისებზე მოქალაქეების წვდომას და მოხმარებას, ჩართულობას, საჯაროობის, ანგარიშვალდებულებისა და თანამონაწილეობის პრინციპზე დაფუძნებული საქმიანობის წარმართვას.

პირველი მონიტორინგით მოკვლეული მასალებით დადასტურდა, რამდენად ეფექტიანია ხელმძღვანელი პირების კომუნიკაცია საკუთარ მოქალაქეებთან. მოქალაქეთა მიღების დღეები მხოლოდ ქალაქს მერს ჰქონდა განსაზღვრული, დღეების რაოდენობა თვის მანძილზე განისაზღვრებოდა ოთხი დღით.

გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, პროგრესი ამ მიმართულებით სახეზეა. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში მიღების საათები დაუწესდა მერის მოადგილეებს და საკრებულოს თანამდებობის პირებს. არსებობს შესაბამისი *2020 წლის 18 აგვისტოს N27 28 ბრძანება.*

მონიტორინგით მოკვლეული მასალებით ჯერ კიდევ თებერვალში დადასტურდა, რომ ორგანიზაციული სტრუქტურა, საკონტაქტო პირების, მათი სატელეფონო ნომრების, ელექტრონული ფოსტების მითითებით და განსაზღვრული მოვალეობების აღნიშვნით განთავსებული იყო ვებგვერდზე. თუმცა ვებგვერდის ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული ანალიზით გაირკვა, რომ ზოგიერთი საჯარო მოხელის მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტა არ იყო მოქმედი და განახლებას ითხოვდა, იგივე სიტუაცია იყო ბიოგრაფიულ მონაცემებთან დაკავშირებით.

პროგრესი აქაც ნათელია: მსგავსი სახის ხარვეზები გასწორებულია.

არსებული მომსახურების დროული და ხარისხიანი მიწოდება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტიანობას გულისხმობს. ვანის მუნიციპალიტეტში მოკვლეული მასალების შესაბამისად ირკვევა, რომ მოქალაქეებს საჩივრებზე, ონლაინ წერილებზე პასუხის მიღება 10 სამუშაო დღის განმავლობაში შეუძლიათ, გამონაკლისია ისეთი წერილი, რომელიც, სირთულიდან გამომდინარე, დამატებით დროს მოითხოვს.

მცირე კორექტირება მოხდა ამ სერვისშიც. პასუხის სირთულის შემთხვევაში მოქალაქეს ეგზავნება შუალედური პასუხი დაგვიანების მიზეზებზე.

მონიტორინგის შედეგებით პროგრესი შეიმჩნევა შემოსული ონლაინ წერილების რაოდენობასთან დაკავშირებით, რაც მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდაზე მიანიშნებს. მოკვლეული მასალების თანახმად, 2020 წელს საკრებულოში საჩივრის სახით მერიაში შემოსულია სულ 6 განცხადება მიწის ნაკვეთის თაობაზე. ორ საკითხზე მიმდინარეობს სასამართლო დავა. თანამდებობის პირებთან შეხვედრების დასაგეგმად, ელექტრონულად დარეგისტრირების პრაქტიკა არ ფიქსირდება. მოქალაქეები მაინც პირისპირ შეხვედრას ამჯობინებენ. რაც შეეხება ონლაინ პორტალს, მერიაში 2020 წლის 15 აგვისტოს მდგომარეობით ელექტრონულად შემოსულია 3128 წერილი.

ადმინისტრაციული, ტექნიკური და სოციალური ფუნქციების შესრულების ხარისხი პირდაპირ არის მიბმული თვითმმართველობებში დასაქმებულ მოხელეთა კვალიფიკაციაზე. ამიტომაც თვითმმართველი ორგანოების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია საჯარო მოხელეთა კომპეტენციის ამაღლება, შესაძლებლობების განვითარება.

თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტები ვალდებულნი არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა სწავლება-გადამზადებისთვის მიმართონ შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ ერთი პროცენტისა.

საგულისხმოა, რომ ამ მიმართულებით თვითმმართველობაში ჯერ კიდევ არის სამუშაო. მართალი**ა,** მუნიციპალიტეტი დაინტერესებულია საჯარო მოხელეთა გადამზადებით, არსებობს თანამშრომელთა განვითარების გეგმა, თუმცა თვითმმართველობის დაკვეთით ტრენინგი არ ჩატარებულა. მერიაში - ტრენინგი სულ დისტანციურად და გასვლითი ფორმატით გაიარა 8 საჯარო მოხელემ, საკრებულოში - 3 პირმა. ტრენინგები ჩატარდა შემდეგ თემებზე: ადმინისტრაციული სამართალი, თანამშრომლების შეფასება, გენდერული სტატისტიკის მომხმარებლის ტრენინგი, ფონდების მოძიება და ადვოკატირების სტრატეგია, საპროექტო წინადადების შემუშავება, საკადრო საქმის წარმოება. ტრენინგებში მონაწილე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების პროცენტული მაჩვენებელი მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა 10%-ია.

გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით მერიაში ყოველ კვირას ტარდება საკოორდინაციო შეხვედრები სამსახურებისა და განყოფილებების მონაწილეობით, რასაც მუნიციპალიტეტის ყველა თანამდებობის პირი ესწრება და ცვლის ინფორმაციებს, ეცნობა სხვათა გამოცდილებას. ასევე მერს კვირაში ერთხელ აქვს საქმიანი შეხვედრა ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან. აქვე ხდება გაწეული მომსახურების შედეგების შეფასება.

აღნიშნული პრაქტიკა პანდემიის რეგულაციებიდან გამომდინარე ოდნავ შეცვლილია. თუმცა პროგრესი არ არის შენელებული. აქტიურად გამოიყენება ონლაინ ფორმატი.

➢ ინკლუზიურობა

წარმოდგენილი მონიტორინგის ანგარიშით დასტურდება, რომ ყველაზე მეტი გამოწვევა ინკლუზიურობის კუთხით არსებობს. ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება აუცილებელია გრძელვადიან პერსპექტივაში, რათა მუნიციპალური მომსახურება ყველა მოწყვლადი ჯგუფისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

შშმ პირებისათვის პანდუსების მოწყობასთან დაკავშირებით ცვლილებები არ არის და არც იგეგმება, არ მოიძებნა ინფორმაცია, რომელიც ამ მიმართულებით რაიმე სახის ცვლილებას დაადასტურებდა.

უცვლელია სიტუაცია გენდერულ მაჩვენებელთან დაკავშირებით. დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი არ შეცვლილა, 31%-მდე მერყეობს. თვითმმართველობაში დასაქმებული ქალების რაოდენობის განსაზღვრისათვის რაიმე წესი შემოღებული არ არის, რასაც ადასტურებს ინტერვიუ მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის და იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების წარმომადგენელთან. ***ამ მიმართულებით პროგრესი არ შეინიშნება.***

მუნიციპალიტეტს არა აქვს თარჯიმნის მომსახურების სერვისი. სოციალურად დაუცველები, იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ყველა მოქალაქისთვის არსებული საერთო მომსახურებით სარგებლობენ. **პროგრესი არც ამ მიმართულებით შეიმჩნევა.**

საჯარო მოხელეებს აქვთ ცოდნა ინკლუზიურობის შესახებ სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“.

მუნიციპალიტეტში შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო, დადგენილება №18 27/05/2020.

აღნიშნული საბჭო ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების მოგვარებას.

არსებული პრაქტიკა არ არის რეგრესირებადი. საბჭო აქტიურად მუშაობს შშმ პირთა საჭიროებების შესწავლისა და უფლებების დასაცავად.

მუნიციპალიტეტში არ არსებობს ნორმატიული აქტი/რეგულაცია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის, ან მათთვის საჯარო მომსახურების მიწოდების შესახებ. ბოლო მონიტორინგით მიღებული მონაცემებით, რომელიც ეყრდნობა მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსთან ჩატარებულ ინტერვიუს, იგეგმება ***ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის და მათთვის საჯარო მომსახურების მიწოდების პრაქტიკის დანერგვა.***

2019 წლის 15 თებერვალს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს გავლილი აქვთ ტრენინგი გენდერულ ბიუჯეტირებაზე. თუმცა გადამზადება მცირე ნაწილმა გაიარა, რაც არასაკმარისია გენდერული ბიუჯეტირების დანერგვის თვალსაზრისით. ***ამ მიმართულე-***

ბით მუნიციპალიტეტის მზაობა არსებობს, თუმცა სერიოზული პროგრესი საბიუჯეტო პროგრამებში არ იგეგმება.

მონიტორინგით ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტში დანიშნულია საკონტაქტო პირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან, სამუშაო ჯგუფებთან ურთიერთობისთვის. აღნიშნული სამართლებრივად დასტურდება შესაბამისი ბრძანებებით. საკონტაქტო პირი საკრებულოდან არის სოფიკო ღვინიანიძე, მერიიდან - სოფიო გიორგაძე.

პირველი მონიტორინგით დადასტურდა, რომ მერიაში და საკრებულოში არის გენდერული საბჭო, შშმ პირთა საბჭო, სამუშაო ჯგუფები, რომლებიც შესაბამისი ბრძანებების საფუძველზეა შექმნილი. ***პროგრესი ამ კუთხითაც იკვეთება. ბრძანება N20 556-ის საფუძველზე შეიქმნა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანო – სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო.***

აღნიშნული საბჭოების მუშაობის ფორმატი მუნიციპალიტეტის ეფექტიანი, გამჭვირვალე და ინკლუზიური მმართველობის გარანტი უნდა გახდეს.

➢ დასკვნა და რეკომენდაციები

მონიტორინგის ანგარიშის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები ვანის მუნიციპალიტეტისათვის:

- *თვითმმართველობებში დასაქმებულ მოხელეთა კვალიფიკაციის, კომპეტენციის ამაღლების მიზნით, საჯარო მოხელეთა გეგმიდან გამომდინარე, შესაბამისი ტრენინგების დაგეგმვა;*
- *სასურველია, მუნიციპალიტეტში რომელიმე კონკრეტული პირი გადამზადდეს და მას შეუთავსდეს/დაევალოს სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფთან კომუნიკაციის წარმართვა;*
- *მიზანშეწონილია არაქართულენოვანი პირებისათვის თარჯიმნის მომსახურების დანერგვა სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის საკონტაქტო პირის დანიშვნის და შიდა პანდუსების მოწყობასთან დაკავშირებით;*
- *სასურველია შშმ პირთა ხელმისაწვდომი გარემოს შექმნის სტრატეგია, რაც ხელს შეუწყობს მათ ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში;*
- *სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, მუნიციპალურ დონეზე გენდერული პოლიტიკის გაძლიერება, მუნიციპალიტეტის საქმიანობის გაფართოება, რაც, შესაძლოა, გამოიხატოს გენდერული ბიუჯეტის დანერგვით ან მუნიციპალურ ბიუჯეტში გენდერული პროგრამების გაზრდით;*
- *მოქალაქეთა ჩართულობის, მათი საჭიროებების განსაზღვრის კუთხით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის პრაქტიკაში მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვა.*

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის განხორციელების მეორე მონიტორინგის ანგარიში



➢ შესავალი

წინამდებარე ანგარიში ასახავს თერჯოლის მუნიციპალიტეტში განხორციელებული მეორე შუალედური მონიტორინგის შედეგებს, რომელიც ჩატარდა ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების - ა(ა)იპ ბავშვთა უფლებების დაცვისა და მოქალაქეობრივი აღზრდის კავშირი „ბავშვები საქართველოს მომავალი“ და „ქალები საქართველოს მომავლისათვის“ - მიერ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ ხელმძღვანელობით. მონიტორინგი ჩატარდა პროექტის „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“ ფარგლებში.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მონიტორინგის 4 ეტაპი (2020 წლის იანვარ-თებერვალში უკვე ჩატარდა პირველი მონიტორინგი და შესაბამისი ანგარიში და რეკომენდაციები წარედგინა მუნიციპალიტეტს).

მონიტორინგის მიზანი

პირველი მონიტორინგის შემდეგ მუნიციპალიტეტში დამდგარი პროგრესის შეფასება ცალკეული ინდიკატორების მიხედვით; პოზიტიური ტენდენციების და არსებული გამოწვევების დაფიქსირება.

კვლევის მეთოდოლოგია

მონიტორინგის მეორე ეტაპის დაწყებამდე პროექტის განმახორციელებელი გუნდის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შეჯერდა მონიტორინგის არსებული ინსტრუმენტი და მონიტორინგის გეგმა იგივე მიმართულებებით: თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობა, ეფექტიანობა და ინკლუზიურობა. მოხდა არსებული პროგრესის და გამოწვევების გამოვლენა 32 ინდიკატორით.

მონიტორინგის განხორციელების მეთოდები: მუნიციპალიტეტის ოფიციალური ინტერნეტ რესურსების - ვებგვერდის და ფეისბუქგვერდის შესწავლა; მონიტორინგის საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობის, მუნიციპალიტეტების ნორმატიული აქტების და დებულებების გაანალიზება; სატელეფონო კომუნიკაცია და შეხვედრები მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან - ინფორმაციის გადამოწმებისა და შევსების მიზნით; დაკვირვება ადგილობრივი პოლიტიკური დიალოგის პროცესზე და პოლიტიკური დღის წესრიგის ცვლილებებზე.

სამუშაო დაიგეგმა პროექტის შესაბამისად, გათვალისწინებულ იქნა წინა მონიტორინგის ანგარიში და რიგი საკითხების დაზუსტებისთვის მოხდა შეთანხმება მუნიციპალიტეტის შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან.

წინაპირობები და შეზღუდვები: მონიტორინგი ჩატარდა 2020 წლის აგვისტოში. მუშაობის პროცესი იყო გამჭვირვალე და მიღწეული იყო მაღალი ცნობადობა მონიტორინგის

მიზნებზე, მეთოდებზე, ინსტრუმენტებზე. დაგეგმილი მონიტორინგის პერიოდში არ წარმოქმნილა ხელისშემშლელი ფაქტორები. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან იყო საქმიანი კომუნიკაცია და ყველა კითხვასა თუ მოთხოვნაზე დროული რეაგირება და თანამშრომლობა.

მონიტორინგის შემდგომი პერიოდი დაემთხვა კოვიდ-19-ით გამოწვეულ შეზღუდვებს და, შესაბამისად, გარკვეულ საკითხებში არსებული პოზიტიური ტენდენციების შენელება მოხდა, ან გავლენა იქონია არსებულ პროგრესზე.

მიღებული შედეგების ანალიზი

➢ გამჭვირვალობა

თერჯოლის მუნიციპალიტეტში საქმიანობის გამჭვირვალობის კუთხით არსებული პრაქტიკა, გარდა ელექტრონული კომუნიკაციისა, კვლავ მოიცავს ინფორმაციის გავრცელების და კომუნიკაციის ალტერნატიულ საშუალებებს (ადგილობრივი გაზეთი, ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული საინფორმაციო დაფები, პირადი კომუნიკაციები მუნიციპალიტეტის პერსონალთან).

ჩატარებულმა მონიტორინგმა გამოავლინა ინტენსიური სამოქალაქო დიალოგი მუნიციპალიტეტში ელექტრონული მმართველობის და, კერძოდ, ვებგვერდის უფრო ეფექტური ფუნქციონირებისთვის საჭირო ღონისძიებებზე (საკითხის ინიციატორი იყო ა(ა)იპ ბავშვთა უფლებების დაცვისა და მოქალაქეობრივი აღზრდის კავშირი „ბავშვები საქართველოს მომავალი“), რომლის შედეგად მუნიციპალიტეტში მიღებულია გადაწყვეტილება ვებგვერდის რეორგანიზაციის კუთხით საჭირო ღონისძიებებზე.

გამჭვირვალობის კომპონენტის შეფასებისთვის კვლავ იქნა გამოყენებული ვაკანსიების გამჭვირვალობის და ხელმისაწვდომობის ინდიკატორი. მიღებული ინფორმაციით, საკრებულოში ახალი ვაკანსია არ გამოცხადებულა და ის 2020 წლის ბოლოსთვის იგეგმება. რაც შეეხება მერიას: 2020 წელს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N44 655-ის საფუძველზე გამოცხადდა ღია კონკურსი 5 ვაკანტურ ადგილზე. ინფორმაცია განთავსებული იყო როგორც მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, ასევე პორტალზე https://www.hr.gov.ge. შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ვაკანსიების გამოცხადების ვადები დაცულია. პოზიციის დასაკავებლად აუცილებელი კრიტერიუმების შედგენისას ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის დისკრიმინაციას.

ინფორმაციის გამჭვირვალობაზე ირიბად მიანიშნებს ვაკანსიებზე კონკურსანტთა მაქსიმალური რაოდენობაც. სადღეისოდ 3 კანდიდატი უკვე შეირჩა; 2 ვაკანსიაზე ვერ მოხდა სასურველი კანდიდატების შერჩევა და უახლოეს მომავალში იგეგმება ახალი კონკურსის გამოცხადება. ვაკანსიის ტექსტები არ შეიცავდა დისკრიმინაციის ელემენტებს და პრეტენდენტთა შერჩევა იყო გამჭვირვალე.

წინა მონიტორინგის მასალებით, მუნიციპალიტეტის ვებგვერდს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მერიის და საკრებულოს დებულებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის, მოქალაქეებთან კომუნიკაციის, ინფორმაციის მიწოდებისა და მოპოვების უზრუნველყოფისთვის აქვს შესაბამისი დატვირთვა, თუმცა დაფიქსირდა ცალკეული ხარვეზები, მაგალითად - რიგი კონტაქტების, მოქალაქეთა მიღების საათების შესახებ არასრული ინფორმაცია.

ჩატარებულმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ ვებგვერდზე განახლდა მონაცემთა ბაზა: მერიის ორგანიზაციული სტრუქტურა საკონტაქტო პირებით, მათი სატელეფონო ნომრების, ელექტრონული ფოსტის მითითებით და განსაზღვრული მოვალეობების აღნიშვნით.

წინა მონიტორინგის პერიოდში ვებგვერდზე არ იყო ატვირთული 6 და 9 თვის ანგარიშები. ამჟამად ეს დოკუმენტები უკვე განთავსებულია და დაინტერესებულ მოქალაქეს შეუძლია გაეცნოს ველში - „სიახლეები“.[1] თუმცა უფრო მიზანშეწონილი იქნება, ანგარიშებისთვის იყოს ცალკე სივრცე, რათა მათი მოძიება არ იყოს რთული.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტში დაიგეგმა არსებული ვებგვერდის სტრუქტურული ცვლილებები. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ვებგვერდის გამარტივებისა და უკეთესი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

მონიტორინგის მოცემულ ეტაპზე გამოიკვეთა მოცემული ელექტრონული პლატფორმის მართვისთვის ადმინისტრაციული და ადამიანური რესურსების უფრო რაციონალური გამოყოფის აუცილებლობა, კერძოდ, სადღეისოდ პასუხისმგებელი პირის მიერ გაჟღერებული იყო მისი უფლებამოსილებების დელეგირების საჭიროება, რადგან არაეფექტურად მიაჩნია მისი შეთავსება სხვა სამსახურებრივ მოვალეობებთან.

ამჯერად მუნიციპალიტეტის ვებგვერდი მოიცავს უფრო მეტ საჯარო ინფორმაციას, ვიდრე წინა მონიტორინგის პირობებში. საინფორმაციო ნიუსების სახით ველში „სიახლეები“ http://www.terjola.gov.ge/ge/news/all/4 განთავსებულია საკრებულოს სხდომაზე განხილული საკითხები, სხვადასხვა დადგენილება, ნორმატიული აქტები, ანგარიშები (ბოლო ინფორმაცია ატვირთულია 2020 წლის 12 აგვისტოს). მონიტორინგის შედეგებით, სისტემური სიახლეები ვადების სრული დაცვით იტვირთება.

წინა მონიტორინგის შემდეგ მოქალაქეთა მიღების საათების განსაზღვრის და ვებგვერდზე მითითების კუთხით განხორციელებულია გარკვეული ცვლილებები. მონიტორინგის რეკომენდაციების შემდეგ მიღების დღეები დაამატა ერთმა დეპუტატმა.

მოქალაქეთა მიღების საათების შესახებ ინფორმაცია ვებგვერდზე გამოქვეყნებული აქვს მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარეს და სოფელ ღვანკითის დეპუტატს. მუნიციპალიტეტის საკრებულოში იყო აქტიური პოლიტიკური დიალოგი საკითხის გარშემო, თუმცა პასუხისმგებელ პირთა გარკვეული ნაწილი ისევ მიიჩნევს, რომ მათ არ უნდა შეზღუდონ მოქალაქეები და შეხვედრებისთვის დატოვონ განუსაზღვრელი დრო, რაც გარკვეულწილად ეწინააღმდეგება საკრებულოს რეგლამენტს, რომელიც განსაზღვრავს საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ მოქალაქეებთან შეხვედრების გრაფიკის ვალდებულებას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ბიუჯეტის სოციალური დატვირთვის კუთხით რეგრესი არ არის. სოციალური ბიუჯეტი შეადგენს საერთო ბიუჯეტის 5,7%-ს. მიუხედავად კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგების გავლენით ადგილობრივი ბიუჯეტის სეკვესტრისა, სოციალური პროგრამების განხორციელების კუთხით შეფერხება არ ყოფილა *(ბიუჯეტში ბოლო ცვლილება ფიქსირდება 2020 წლის 3 ივლისით, დადგენილება N10).*

მონიტორინგით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტში არის სერიოზული გარღვევა მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის კუთხით. შესამჩნევია საკითხის მიმართ ცნობიერებისა და დამოკიდებულების მკვეთრად პოზიტიური ცვლილება, რაც გამოვლინდა

1 http://terjola.gov.ge/ge/news/all/4?page=1

შეთანხმებაში - 2021 წლის ბიუჯეტში მოხდეს სამოქალაქო ბიუჯეტირებისთვის გარკვეული თანხის გამოყოფა. საკითხის პოზიტიური პერსპექტივა დიდწილად არის განპირობებული ა(ა)იპი „ბავშვთა უფლებების დაცვისა და მოქალაქეობრივი აღზრდის კავშირი ,,ბავშვები საქართველოს მომავალის" პროექტით „მონაწილეობითი ბიუჯეტი - გზა დემოკრატიისაკენ''[2], რომლის შედეგად მოხდა მუნიციპალიტეტში აქტიური სათემო ჯგუფების, თვითმმართველობის პერსონალის სწავლებისა და დიალოგის ხელშეწყობა სამოქალაქო ბიუჯეტირების საკითხზე.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზეც არ არის ანტიკორუფციული გეგმა, დებულება, ფინანსური რეგულაციები. მონიტორინგით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტში არის პოლიტიკური მზაობა აღნიშნული საკითხის გადაჭრისთვის. გაცნობიერებულია, რომ საკითხი ითხოვს ღრმა ცოდნას, გამოცდილებას და სპეციალურ სწავლებებს, ამიტომ თემა შეტანილია მუნიციპალიტეტის ტრენინგ-გეგმაში და საარჩევნო პერიოდის დასრულების შემდეგ ამ საკითხის მოგვარებისთვის მუშაობა დაიწყება.

➢ ეფექტიანობა

ადგილობრივი მომსახურების ეფექტიანობის კუთხით მნიშვნელოვანია, რამდენად აქვთ მოქალაქეებს საშუალება, იქონიონ კომუნიკაცია სხვადასხვა მუნიციპალურ სამსახურთან. მონიტორინგის მოცემულ ეტაპზე მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს წინა მონიტორინგის შემდეგ ადგილზე მიღებული ჰყავს 110 მოქალაქე (შემოსული განცხადებების რაოდენობაა 496). არსებული მონაცემებით, მოქალაქეებთან კომუნიკაცია შედარებით გააქტიურებულია.

საკრებულოში შედარებით შემცირდა მოქალაქეთა მიღება კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში და საკრებულოს თავმჯდომარეს მიღებული ჰყავს მხოლოდ 9 მოქალაქე. საკრებულოს სხვა პასუხისმგებელ პირებთან მოქალაქეთა მიღების აღრიცხვა არ ხდება.

მონიტორინგის მოცემულ ეტაპზე ვებგვერდზე პეტიცია/საჩივარი არ დაფიქსირებულა. მნიშვნელოვან პროგრესს წარმოადგენს ცნობა, რომ 2020 წლის ნოემბრიდან იგეგმება სპეციალური სისტემის ამუშავება პროგრამულად, სადაც მოქალაქეს საშუალება ექნება, ნებისმიერი განცხადება სახლიდან გამოაგზავნოს (ელექტრონული ფოსტის გარეშე). დასანერგი სისტემის სწავლების ტრენინგი საკრებულოში უკვე ჩატარდა და ამჟამად მერიაში მიმდინარეობს[3].

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ დებულება ეთიკური ქცევის შესახებ მიღებულია და თვალსაჩინოდ არის გამოკრული საინფორმაციო დაფაზე.

წინა მონიტორინგის მიგნებებში გამოიკვეთა მუნიციპალიტეტის პერსონალში თანამშრომელთა განვითარების გეგმის საჭიროება. მუნიციპალიტეტში არსებობს აღნიშნული მიმართულებით ცვლილებებისათვის მზაობა: მოცემული პერიოდისთვის შემუშავებულია ტრენინგ-საჭიროებათა გეგმა, სასწავლო ღონისძიებები გაწერილია ბიუჯეტის შესაბამისად. გეგმა წარდგენილია 31 მარტს, საჯარო სამსახურის ბიუროში. ანუ - შეიძლება ითქვას, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტში ამჟამად არსებობს თანამშრომელთა გან-

2 საქმიანობა განხორციელდა ქვეგრანტების კომპონენტით, ფონდი „სოხუმის" პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის (PAR) მონიტორინგი ადგილობრივ თვითმმართველობებში" ფარგლებში.

3 მოცემული ინფორმაცია ეხება 2020 წლის 20 აგვისტომდე პერიოდს.

ვითარების რელევანტური ხედვა. ტრენინგ-გეგმა შეთანხებულია საჯარო სამსახურის ბიუროსთან და გათვლილია ბიუჯეტის 2%-ზე.

ტრენინგ-გეგმის მიხედვით, 2020 წელს ჩატარდა 4 ტრენინგი შემდეგ თემებზე: „მუნიციპალიტეტის ქონებასთან დაკავშირებული საკითხები"; „ბუღალტრული აღრიცხვა/ანგარიშგება"; „საჯარო სამსახურის შესახებ კანონის სიახლეები და ადმინისტრაციული სამართალი"; „ადგილობრივი თვითმმართველობის როლი ოჯახის გაძლიერებასა და ძალადობის პრევენციის საკითხებში". ტრენინგებს დაესწრო მერიის 10 თანამშრომელი.

საკრებულოში ტრენინგი გაიარა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა (თემა - „საჯარო სამსახურის შესახებ კანონის სიახლეები და ადმინისტრაციული სამართალი"). საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ორგანიზებული ონლაინ ტრენინგი თემაზე „შეფასების მოდული" გაიარა საკრებულოს HR-მა.

გეგმის გარეშე პროექტის „მონაწილეობითი ბიუჯეტი - გზა დემოკრატიისაკენ" ფარგლებში ჩატარდა 4 სასწავლო ღონისძიება: ტრენინგი თემაზე „მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობის განხორციელებაში; მონაწილეობითი ბიუჯეტირების არსი, სპეციფიკა"; სიმულაციური თამაში: „აირჩიე და განახორციელე"; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამოცდილების გაზიარება, თემა - „მოქალაქეთა ჩართულობა ბიუჯეტირების პროცესსა და გადაწყვეტილების მიღებაში"; მრგვალი მაგიდა თემაზე: „ელექტრონული სერვისების როლი სამოქალაქო ბიუჯეტირებაში".

ჯამში, აღნიშნული პროექტის ფარგლებში სწავლების ეტაპები გაიარა მერიის 37-მა და საკრებულოს 28 თანამშრომელმა. მთლიანობაში, 2020 წელს (იანვარ-აგვისტოს მონაცემებით) ტრენინგ კურსები გაიარა მერიის თანამშრომელთა 30%-მა და საკრებულოს თანამშრომელთა 66%-მა.

ინფორმაციის გაცვლის, ანგარიშგებისთვის მუნიციპალიტეტში, ტრადიციულად, გამოიყენება საქმიანი შეხვედრა-თათბირები მერიის სამსახურების სხვადასხვა ჯგუფთან.

მონიტორინგით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტში არის საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისთვის ახალი ინსტრუმენტების ან ტექნიკის დანერგვის ტენდენცია. მაგალითად - საკმაო წარმატებით დაინერგა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, როგორც სამსახურებრივი დოკუმენტებისა და დავალებების მართვის ეფექტური ინსტრუმენტი. როგორც შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ინტერვიუში გამოჩნდა, თანდათანობით ინერგება ელექტრონული სისტემით მომსახურების სხვა ახალი მეთოდიც. მუნიციპალიტეტის სამსახურები უკვე ხელმძღვანელობენ პროგრამა eDocument-ით. მასზე განთავსებულია ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია. საქმისწარმოების პროცესების ელექტრონიზაციის სისტემამ უზრუნველყო ქაღალდის დოკუმენტის ელექტრონულით ჩანაცვლება, დავალებებზე სწრაფი წვდომა, დავალების შესრულების კონტროლი, ორგანიზაციული პროცესების მუდმივი მონიტორინგი. თითოეულ მუშაკს აქვს საკუთარი ელექტრონული ბაზა, სადაც ინახავენ დაარქივებულ მასალას და საჭიროების შემთხვევაში იყენებენ. ეს მუნიციპალიტეტის პერსონალს საქმისწარმოების პროცესების მარტივად და ეფექტიანად მართვის საშუალებას აძლევს.

მონიტორინგის პერიოდში ელექტრონული მოდულების დანერგვის კუთხით მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში ჩატარდა ტრენინგები და მოხდა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.

წინა მონიტორინგით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტში ხდება თანამშრომელთა შეფასება სპეციალური სისტემით, რომლის შედეგებით ხდება საუკეთესო თანამშრომლების გამოვლენა (ეს არ ეხება ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალს). საკრებულოში 2020 წელს შეფასება ჯერ არ მომხდარა. მიზეზად დასახელდა პანდემიით გამოწვეული შეფერხებები. რაც შეეხება მერიას, ივნისის ბოლოს განხორციელდა თანამშრომელთა შუალედური შეფასება.

ცალკე გამოკვეთილად მერიის სამსახურების მონიტორინგის სისტემა არ არის. ისევე, როგორც წინა მონიტორინგზე, გამოჩნდა, რომ, ძირითადად, ეყრდნობიან სახელმწიფო და ადგილობრივი აუდიტის მასალებს. ამ მხრივ პროგრესი არ ფიქსირდება.

მიუხედავად საჭიროების აღიარებისა და აღნიშნული მიმართულებით ცვლილებებისთვის დეკლარირებული მზაობისა, ჯერჯერობით არ შეცვლილა არსებული სურათი თანამშრომელთა განვითარების გეგმის შემუშავების კუთხით.

რაც შეეხება ბენეფიციართა მომსახურების შეფასების ფორმებს, რომლის ვალდებულება არის საკრებულოს რეგლამენტით, მუნიციპალიტეტში ჯერაც არ არის შემუშავებული, მიუხედავად იმისა, რომ არის პოზიტიური ტენდენცია, მოხდეს მოქალაქეებისთვის მიწოდებული მომსახურების და მათი კმაყოფილების შესწავლა და სისტემატური კომუნიკაციით ხდება მათი საჭიროებების გამოვლენა, შესაბამისი რეაგირება.

მუნიციპალიტეტში შეინიშნება პოზიტიური დინამიკა სხვა მუნიციპალიტეტების წარმატებული პრაქტიკის გაცნობის კუთხით: კერძოდ, მოხდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამოცდილების გაზიარება სამოქალაქო ბიუჯეტირების საკითხში, რისთვისაც საკითხზე პასუხისმგებელი პირი შეხვდა როგორც აქტიურ სამოქალაქო სექტორს, ასევე - თვითმმართველობის სხვადასხვა შტოს. საკითხის ინიციატორი იყო ა(ა)იპ ბავშვთა უფლებების დაცვისა და მოქალაქეობრივი აღზრდის კავშირი - „ბავშვები საქართველოს მომავალი“.

➢ ინკლუზიურობა

მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით მონიტორინგის მოცემულ ეტაპზე გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტში დაიწყო დიალოგი შშმ პირთა საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის, სათემო სერვისებზე წვდომის გაუმჯობესების ღონისძიებებზე. წინა მონიტორინგით გამოვლენილი ხარვეზის (ადმინისტრაციულ შენობებში შიდა პანდუსების არარსებობა) საპასუხოდ გამოიკვეთა: შენობა ძველი პროექტითაა აშენებული, ამიტომ შიდა პანდუსი ვერ გაკეთდება, მაგრამ მიდის საუბარი პირველ სართულზე სათანადო ტექნიკური ინფრასტრუქტურით გამართული საკომუნიკაციო სივრცის მოწყობაზე.

წინა მონიტორინგის შემდეგ 2020 წელს საკრებულოში დასაქმებული ქალების პროცენტულ მაჩვენებელში ცვლილება არ არის. რაც შეეხება მერიას: დასაქმებულ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი წინა მონიტორინგის შემდეგ შემცირებულია და შეადგენს 30%-ს. წინა მონიტორინგის შედეგებით, 148 საჯარო მოხელიდან ქალი იყო 47 (32%).

მუნიციპალიტეტში არ შეცვლილა სიტუაცია სპეციალური ნორმატიული აქტის მიღების კუთხით, რაც ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი

ჯგუფების ჩართვის ან მათთვის საჯარო მომსახურების მიწოდების რეგულირებას მოახდენდა, მაგრამ შეინიშნება პოლიტიკური მზაობა მოქალაქეებთან, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებთან თანამშრომლობის და დიალოგის კუთხით და ხდება ყველა მსგავსი ინიციატივის წახალისება. მაგალითად, (ა)იპი „ქალები საქართველოს მომავლისათვის" მიერ განხორციელებული პროექტი „გზა ცვლილებებისაკენ", რომლის ფარგლებში გაკეთდა კვლევა ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური დახმარების სოციალური პროგრამის ეფექტიანობის შესახებ, მუნიციპალიტეტში მიღებული იყო ცნობად და მოხდა შესაბამისი რეაგირება მიღებულ ინფორმაციაზე, რამაც მოიტანა თანმდევი ეფექტიც - გარკვეულწილად შეუწყო ხელი ბენეფიციართა ჩართულობას.

მონიტორინგით დაფიქსირდა, რომ მუნიციპალიტეტში ხდება გენდერული და, ზოგადად, სოციალური ჩართულობის კუთხით პასუხისმგებლობის გაცნობიერება და ამის ნიშანია მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტიური პროცესები ადგილობრივი დაგეგმვის, სამოქალაქო დაკვეთის გაცნობის და რეაგირების კუთხით (მოცემულ საკითხს დიდწილად შეუწყო ხელი პროექტმა „გზა დემოკრატიისკენ"). თვალსაჩინოა თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასა და ადგილობრივ მმართველობით ორგანოებს შორის.

მონიტორინგის პირველი ეტაპის შემდეგ დაფიქსირდა პროგრესი სამოქალაქო საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესების კუთხით, რაც გამოიხატა იმაში, რომ მერიაში გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ურთიერთობისთვის.

მონიტორინგის მოცემულ ეტაპზე არ დაფიქსირებულა არსებითი ცვლილებები ადგილობრივი ინსტიტუციური მექანიზმების საქმიანობის კუთხით: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო 12 წევრით უცვლელად აგრძელებს საქმიანობას; გენდერული თანასწორობის საბჭოს (19 წევრით) აქვს მცდელობა, ადგილობრივ დღის წესრიგში დააყენოს გენდერული პოლიტიკის ხელშეწყობის ინიციატივები. საბჭოს მორიგი სხდომა ივლისში ჩატარდა.

მონიტორინგის პერიოდში თერჯოლის მუნიციპალიტეტში საქმიანობას შეუდგა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიქმნა პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის (PAR) მონიტორინგი" ფარგლებში. მისი მიზანია ღონისძიებების ინიცირება საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებული იმპლემენტაციისთვის. სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა ჩატარებული მონიტორინგის და საჭიროებათა კვლევის შედეგების საფუძველზე სამუშაო გეგმის შედგენა და პრეზენტაცია ადგილობრივ დონეზე. ელექტრონული სერვისების გაუმჯობესების, სოციალური პაკეტების სრულყოფის საკითხის პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენების კუთხით მულტისექტორულმა სამუშაო ჯგუფმა უკვე მიაღწია ხელშესახებ შედეგებს.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა მუნიციპალიტეტში არსებული საინტერესო პრაქტიკა ეგრეთ წოდებული აუთსორსინგის (სერვისების გაყიდვის) მიმართულებით. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია „თერჯოლის ინვალიდთა ასოციაცია" ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება 10 000 ლარით. მუნიციპალიტეტში თვალსაჩინოა თვითმმართველობის მზაობა თანადაფინანსების და სხვადასხვა ინიციატივის რეალიზებისთვის ადამიანური რესურსის გამოყოფის თვალსაზრისით.

➢ დასკვნა და რეკომენდაციები

ფონდი „სოხუმის“ ხელმძღვანელობით თერჯოლის მუნიციპალიტეტში სამიზნე ორგანიზაციების მიერ ჩატარებული მონიტორინგით გამოვლინდა საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების კუთხით არსებული პროგრესი.

წინა მონიტორინგის რეკომენდაციები ეხებოდა არსებული ინსტიტუციური მექანიზმების ქმედითობის გაზრდას ნორმატიული აქტების, ბიუჯეტის პროექტის განხილვის და რეკომენდაციების შემუშავების, პრიორიტეტების მიხედვით საჯარო შეხვედრების ჩატარების კუთხით; მოქალაქეთა ჩართულობის ღონისძიებების ხელშეწყობას; თანამშრომელთა განვითარების სტრატეგიის შემუშავებას და ტრენინგ-გეგმის შედგენას; კვლევისა და მონიტორინგის მეთოდების კუთხით პერსონალის გადამზადებას; ვებგვერდის მოდერნიზაციას ხელმისაწვდომობის და ელექტრონული სერვისების მიწოდების გაუმჯობესების კუთხით.

შეიძლება ითქვას, რომ მუნიციპალიტეტში შესამჩნევია დინამიკა იმ მიმართულებით, რასაც ეხება მონიტორინგის რიგი რეკომენდაციები. კერძოდ:

მოცემული ეტაპისთვის - მუნიციპალიტეტში ჩატარდა სერიოზული მუშაობა და ხელშეწყობილია მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა ღონისძიება; ამაღლდა მონაწილეობითი ბიუჯეტის შესახებ ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, აღნიშნული საკითხი ნაწილობრივ მოგვარდა პროექტის „მონაწილეობითი ბიუჯეტი - გზა დემოკრატიისაკენ“ ფარგლებში და ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა 2021 წლის ბიუჯეტში შესაბამისი თანხის ასახვის მიმართულებით.

შედგენილია და საჯარო სამსახურის ბიუროსთან შეთანხმებულია პერსონალის განვითარების ტრენინგ-გეგმა და მიღებულია პოლიტიკური გადაწყვეტილება 2021 წლის ბიუჯეტში შესაბამისი თანხის გათვალისწინების თაობაზე.

ელექტრონული მომსახურების გაუმჯობესების, კერძოდ, ვებგვერდის ქმედითობის ხელშეწყობის მიმართულებით გამართული სამოქალაქო დიალოგის შედეგად დაისახა მოცემული ელექტრონული პლატფორმის მოდერნიზაციის მკაფიო ღონისძიებები მისი ხელმისაწვდომობის, ელექტრონული სერვისების მიწოდების გაუმჯობესების კუთხით. მიმდინარეობს მუშაობა ახალი ელექტრონული სისტემის დანერგვასა და ვებგვერდის დიზაინის გაუმჯობესებაზე. სათანადო თანხა გათვალისწინებულია ბიუჯეტში.

მუნიციპალიტეტში არსებობს საჭიროებების კვლევებზე დაყრდნობით სოციალური პაკეტების შექმნის ან არსებული პროგრამების სრულყოფის პრაქტიკა, მაგრამ ჯერ კიდევ სუსტია სათანადო მეთოდოლოგიის და ინსტრუმენტების გამოყენების მასშტაბები და მონიტორინგის და მომსახურების შეფასების სისტემური დანერგვა, რაც გათვალისწინებულია ადგილობრივი პოლიტიკური დოკუმენტებით.

მისასალმებელია მოქალაქეებისთვის, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის, სერვისების მისაწოდებლად პროვაიდერ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რაც გრძელვადიანი, კვალიფიციური, საჭიროებებზე მორგებული სერვისების განვითარებას უწყობს ხელს.

მონიტორინგის მოცემული ეტაპისთვის საჯარო სამსახურის რეფორმის ადგილობრივი იმპლემენტაციის ხელშეწყობის კუთხით შესაძლებელი ხდება შემდეგი **რეკომენდაციების შეთავაზება:**

- საქმიანობის გამჭვირვალობისთვის –

მნიშვნელოვანია გაგრძელდეს პოზიტიური დინამიკა მუნიციპალიტეტში ელექტრონული მომსახურების გაუმჯობესების კუთხით, მათ შორის -

საჭიროა საქმისწარმოების პროცესების ელექტრონიზაციის სისტემის ახალი მოდულების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციული პროცესების მუდმივ მონიტორინგს, იძლევა საქმისწარმოების პროცესების მარტივი და ეფექტიანი მართვის საშუალებას.

ვებგვერდის ფუნქციონირების სრულყოფისთვის, გამოვლენილი საჭიროებების საპასუხოდ, სასურველია მოხდეს სათანადო ფინანსური, ადმინისტრაციული რესურსების გამოყოფა და მონიტორინგის სისტემის დანერგვა. ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტების დაცვის, მომხმარებელთან ინტერაქტიული კომუნიკაციის სისტემის გამართვის უზრუნველყოფა.

მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მოხდეს ანტიკორუფციული გეგმის, დებულების, ფინანსური რეგულაციების შემუშავება, რასაც ითვალისწინებს თვითმმართველობისთვის კანონით განსაზღვრული ვალდებულებები საქმიანობის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების მიმართულებით.

- მომსახურების ეფექტიანობის გაუმჯობესებისთვის –

მნიშვნელოვანია თერჯოლის მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის კუთხით აღებული კურსისა და სამოქალაქო ჯგუფებთან კონსტრუქციული თანამშრომლობის პოზიტიური პერსპექტივის რეალიზება, რაც განაპირობებს მოქალაქეთა მონაწილეობის/ჩართულობის თანამედროვე სტანდარტებს, ეფექტიან და მოქალაქეთა საჭიროებებზე ორიენტირებულ მართვას, დასაბამს მისცემს ადგილობრივ სოციალურ დღის წესრიგში ახალი და აქტუალური თემების, ახალი სამოქალაქო ლიდერების მობილიზებას.

სასურველია მუნიციპალიტეტმა განავრცოს სერვისების მიწოდებისას პროვაიდერი ორგანიზაციების გამოყენების კუთხით არსებული წარმატებული პრაქტიკა, რაც მუნიციპალიტეტის მომსახურების ეფექტიანობის და რესურსების დაზოგვის თვალსაზრისით საუკეთესო შედეგებს იძლევა. საინტერესო იქნება არსებული გამოცდილების შესწავლა და განზოგადება სხვა მიმართულებების გაძლიერებისთვის.

- მეტი მონაწილეობის და ინკლუზიური პროცესებისთვის –

მნიშვნელოვანია ადგილობრივი ინსტიტუციური მექანიზმების (მერის მრჩეველთა საბჭო, გენდერული თანასწორობის საბჭო) გაძლიერება ადგილობრივ სოციალურ პოლიტიკაზე მეტი გავლენისა და ეფექტიანი მომსახურების პროცესში ჩართვისთვის. გენდერული ექსპერტიზის, გენდერული მონიტორინგის უნარების განვითარება; გრძელვადიანი სერვისების ინიციატივების შემუშავება.

საჭიროა გაგრძელდეს ადგილობრივი დიალოგი შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს და ადმინისტრაციულ შენობებში სპეციალური სივრცის შექმნაზე მათთვის შესაბამისი მომსახურების მისაწოდებლად.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის განხორციელების მეორე მონიტორინგის ანგარიში

➢ შესავალი

ელექტრონული მმართველობის მაღალი ხარისხი უზრუნველყოფს მოსახლეობასა და თვითმმართველობას შორის გამჭვირვალე, ეფექტიან და ინკლუზიურ მმართველობას. რომელიც საჯარო მმართველობის რეფორმით არის განსაზღვრული.

აღნიშნული ანგარიში ასახავს 2020 წლის 1 აგვისტოდან 20 აგვისტოს ჩათვლით ქალაქ ბაღდათის მუნიციპალიტეტში ჩატარებული საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის რეალიზების მონიტორინგის შედეგებს, *რომელსაც აწარმოებდა „სამოქალაქო სპექტრი თანასწორობა“ და „თანასწორობა ახლა“.*

პროექტის მიხედვით, პირველი მონიტორინგი 2020 წლის იანვარ-თებერვალში განხორციელდა. შედეგების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რეკომენდაციები, რომლებიც მუნიციპალიტეტებს გადაეცათ არსებული ხარვეზების აღმოფხვრის და სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით.

მონიტორინგის მიზანი

აღნიშნული მონიტორინგი მიზნად ისახავს პირველი მონიტორინგიდან ბოლო მონიტორინგამდე დროის მონაკვეთში ბაღდათის მუნიციპალიტეტში ელექტრონული მმართველობის კუთხით განხორციელებულ ცვლილებებზე დაკვირვებას და მიღწეული შედეგების შეფასებას.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

ინფორმაციის შესაგროვებლად შესწავლილ იქნა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ელექტრონული გვერდები, ფეისბუქგვერდები. ინფორმაციები გადამოწმდა უფლებამოსილ პირებთან. პროცესი წარიმართა პრობლემების გარეშე და დათქმულ ვადებში. რაიმე სახის წინააღმდეგობები საჯარო მოხელეებთან გასაუბრების პროცესში არ დაფიქსირებულა. ფონდი „სოხუმი“ მადლობას უხდის ბაღდათის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას გაწეული დახმარებისათვის.

მიღებული შედეგების ანალიზი

➢ გამჭვირვალობა

გამჭვირვალობა მმართველობით სისტემაში მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მახასიათებელია, რომლის ერთ-ერთი ინდიკატორი ელექტრონულ ვებგვერდზე ასახული ინფორმაციებია.

მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული განცხადებები ვაკანსიების შესახებ ეფუძნება საქართველოს მთავრობის დადგენილებას საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ. პირველი მონიტორინგის შედეგებით, მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე დაცული იყო ვაკანსიის გამოცხადების ვადები, გადარჩევის, გასაუბრების ეტაპები. სამი თვის განმავლობაში მიმდინარე პროცესები შესაბამისად ასახული იყო ვებგვერდზე.

მსგავსი ტენდენციები დღემდე შენარჩუნებულია, რაც ბოლო მონიტორინგით მიღებული მონაცემებით დასტურდება. ონლაინ ვაკანსიების ხელმისაწვდომობის პრობლემა მუნიციპალიტეტის ელექტრონულ პორტალზე არ ჩანს, ვაკანსიები განთავსებულია როგორც hr.gov.ge-ზე, ასევე ვებგვერდზე. მონიტორინგის შუალედში ელექტრონულ ფოსტაზე იძებნება სამი ერთეულის მიერ გაგზავნილი მოთხოვნა ვაკანსიების განთავსების შესახებ, თანხმობის მიღებიდან სამ დღეში საჯარო სამსახურის ბიუროსთან შეთანხმებულია დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რის შემდეგაც ვაკანსიები ატვირთულია და გამოქვეყნებულია განსაზღვრულ დროში. დაცულია კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა ვადა: განთავსების, გადარჩევის, გასაჩივრების, გასაუბრების, კომისიის მიერ კანდიდატის წარდგენის და დანიშვნის შესახებ. ყველა პროცედურა სრულდება ვაკანსიის გამოცხადებიდან 3 თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის ვებგვერდი http://www.baghdati.gov.ge/ აგებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად. პირველი მონიტორინგით მიღებული მონაცემებით დასტურდება, რომ მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ორგანიზაციული სტრუქტურა საკონტაქტო პირებით, მათი სატელეფონო ნომრების, ელექტრონული ფოსტის მითითებით და განსაზღვრული მოვალეობების აღნიშვნით.

აღნიშნული მონიტორინგის საფუძველზე მოკვლეული მასალებით დასტურდება, რომ პროგრესი შენარჩუნებულია. მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე გამჭვირვალობისთვის საჭირო სტანდარტები დღემდე დაცული და შენარჩუნებულია. ტელეფონის ნომრების დამატება სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენელთა ბიოგრაფიულ ველში ხაზს უსვამს გამჭვირვალობას და კიდევ უფრო ზრდის მოქალაქეთა ხელმისაწვდომობას, დაუკავშირდეს კონკრეტული სტრუქტურის ხელმძღვანელს მისთვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად.

პირველი მონიტორინგით მიღებული მასალებით დასტურდება, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე არსებობს ველი - „დაუკავშირდი ხელისუფლებას“. ამავე გვერდზე აღნიშნულია ცხელი ხაზის ნომერი 595 90 90 05, რომელიც 24 საათის განმავლობაში მუშაობს. გამოიკვეთა, რომ მონიტორინგებს შორის შუალედში არ ყოფილა დაფიქსირებული სატელეფონო ზარი. **პროგრესის მისაღებად მნიშვნელოვანია „ცხელი ხაზის გააქტიურების“ სერვისის გაპიარება და მოქალაქეებისათვის მისი მნიშვნელობის დასაბუთება.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, მოქალაქეებს აქვთ კომუნიკაციის შესაძლებლობა ნებისმიერი სამსახურის წარმომადგენლებთან ელექტრონული ფოსტის დახმარებით. მაგრამ მუნიციპალიტეტში არ არსებობს მონიტორინგის ჩატარების პრაქტიკა, მოქალაქეთა მიერ რამდენად აქტიურად გამოიყენება კომუნიკაციის საშუალებად ელექტრონული ფოსტები, რამდენი წერილია შემოსული და რა შინაარსის. ამ ფორმატით მონიტორინგი საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტებს, განსაზღვრონ მოქალაქეთა მიერ ელექტრონული სივრცის ათვისების მაჩვენებელი და მისი გააქტიურების მექანიზმები.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოქალაქეებისთვის ონლაინ რეჟიმში საჩივრის ან წინადადების წარდგენის მექანიზმის არსებობა. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ვებგვერდის მონიტორინგიდან იკვეთება, რომ ელექტრონული ფორმით საიტიდან წერილის, საჩივრის მიწერის საშუალება შესაძლებელია (http://baghdati.gov.ge/ge/contact); ასევე ვებგვერდზე მიბმულია საიტი - https://

mkhileba.gov.ge/. **პროგრესია იმ კუთხით, რომ შეუზღუდავად მუშაობს აღნიშნული ველები.** თუმცა დღემდე არ გაანალიზებულა წარდგენილი საჩივრები და წერილები. მუნიციპალიტეტში არ არსებობს კონკრეტული პასუხისმგებელი პირი, რომელიც შემოსული საჩივრების მონიტორინგს განახორციელებს და, შესაბამისად, არ არის გაანალიზებული არსებული სერვისის ეფექტიანობა და ხარისხი.

ანგარიშგება საკუთარ მოქალაქეებთან ღია და გამჭვირვალე მმართველობის ერთ-ერთი მახასიათებელია. პირველი მონიტორინგით მოკვლეული მასალებით გამოჩნდა, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე იტვირთება დამტკიცებული ბიუჯეტი, რასაც თან ერთვის ბიუჯეტის შესრულების ერთწლიანი ანგარიში. თუმცა რა ხდებოდა და როგორ სრულდებოდა მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო აქტივობები 3, 6, 9 თვის შუალედში, ანგარიშები არ იყო ატვირთული.

მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით შეიმჩნევა პროგრესი ანგარიშების ატვირთვის თვალსაზრისით. კერძოდ, ვებგვერდზე უკვე იძებნება სხვადასხვა სამსახურის, მათ შორის საფინანსო სამსახურის 3, 6 თვის ანგარიშები. აიტვირთა სხვადასხვა სამსახურის შუალედური ანგარიშები, ასევე იძებნება ნორმატიული აქტები - (http://baghdati.gov.ge/ge/documents).

- რამდენად მარტივია მოქალაქეებისთვის შეხვედრა პირველ პირებთან, განსაზღვრულია თუ არა მოქალაქეთა მიღების ოფიციალური დღეები. პირველმა მონიტორინგმა გამოკვეთა ამ კუთხით არსებული ხარვეზები. მართალია, მოქალაქეთა მიღების საათები ოფიციალურად განსაზღვრელი აქვს როგორც მერს, ასევე საკრებულოს თავმჯდომარეს - კვირაში 2 დღე, 3 საათი, ონლაინ პორტალზე ეს ინფორმაცია არ იძებნება. **პროგრესი ამ კუთხით არ ფიქსირდება და ხარვეზი გასწორებას ითხოვს, რადგან მუნიციპალიტეტს აქვს პასუხისმგებლობა, საკუთარ მოქალაქეს ჰქონდეს კონკრეტული ინფორმაცია, დროის რა მონაკვეთში შეძლებს ის ხელმძღვანელ პირთან დაკავშირებას. ინფორმაცია უნდა იყოს განახლებადი, თუ ხდება ცვლილება მოქალაქეთა მიღების დღეებთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტში შექმნილი სამუშაო ჯგუფები გეგმავენ, იმუშაონ ამ მიმართულებით არსებული ხარვეზის გამოსწორებაზე.**

გამჭვირვალობის ნიშნული განისაზღვრება მოქალაქეთა ჩართულობით ბიუჯეტის ფორმირების პროცესში. ბაღდათის მუნიციპალიტეტს არა აქვს მონაწილეობითი ბიუჯეტი და შესაბამისია მოქალაქეთა ჩართულობის მაჩვენებელიც. არა აქვს ცალკე გენდერული ბიუჯეტი, გენდერული ბიუჯეტის პროცენტული იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, რადგან გენდერული პროგრამები ჩაშლილია სხვადასხვა ქვეპროგრამაში. მუნიციპალიტეტის საერთო ბიუჯეტიდან სოციალური ბიუჯეტების პროცენტი 7.4%-ია. პანდემიის პერიოდში პროცენტული მაჩვენებელი მერყეობდა, ვინაიდან სოციალური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა.

პროგრესი ამ მიმართულებით არ ფიქსირდება: თუ კონკრეტულ პირებთან კომუნიკაციით მოკვლეული მასალებით ვიმსჯელებთ, მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვის მცდელობა განიხილება უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში.

მუნიციპალიტეტს არა აქვს მიღებული ანტიკორუფციული ზომები, არ გააჩნია ანტიკორუფციული გეგმა, დებულება, ფინანსური რეგულაციები, არ არსებობს ეთიკური ქცევის დებულება. შესაბამისად, არ არსებობს ამ სახის ინფორმაცია ვებგვერდზე: ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, ანგარიშვალდებულ პირებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ანტიკორუფციული მექანიზმის სახით მუნიციპალიტეტი ხელმძღვანელობს ინტე-

რესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონით, ასევე ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შესახებ მთავრობის დადგენილებით. პირველი მონიტორინგის შემდეგ მუნიციპალიტეტს რეკომენდაციის სახით მიეთითა, ემუშავა ანტიკორუფციული გეგმის მიღებაზე.

პროგრესის თვალსაზრისით ცვლილებები შეიმჩნევა: საჯარო თვითმმართველობაში ელექტრონული მომსახურების გაუმჯობესების კუთხით მუნიციპალიტეტში შექმნილია სამუშაო ჯგუფები, რომლებიც უკვე მუშაობენ ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად. უახლოეს პერიოდში იგეგმება ადგილობრივი ანტიკორუფციული და ეთიკური ქცევის დებულებების შემუშავება. დაგეგმილია, საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გაიტანონ სამუშაო გეგმა, რომელიც თავის თავში მოიცავს ანტიკორუფციული ბაზის დახვეწას.

ამ მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები ხელს შეუწყობს მოქალაქეთა უფლებების დაცვას და პროცესების გამჭვირვალობას თვითმმართველობებში.

➢ ეფექტიანობა

თვითმმართველობის ეფექტიანი მუშაობა საკუთარ მოქალაქეებთან თანამშრომლობის მაღალი ხარისხის პირდაპირპროპორციულია. მოქალაქეთა ჩართულობას, სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებას, თანამშრომლობის მაღალ ხარისხს მნიშვნელოვნად აბალანსებს ელექტრონული პორტალის სრულყოფილი, გამართული მუშაობა.

ჯერ კიდევ წლის დასაწყისში ბაღდათის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის, ფეისბუქგვერდის მონიტორინგით მიღებული ინფორმაციები არ იძლევა მუნიციპალიტეტის არაეფექტიანი მუშაობის მიმართ პრეტენზიების საფუძველს. თუმცა ხარვეზების გასწორების აუცილებლობა მაინც იკვეთება. არსებული მოცემულობით, მოქალაქეებთან შეხვედრისთვის ოფიციალურად განკუთვნილია კვირაში ორი დღე. გარდა ოფიციალური დღეებისა, საჭიროების შემთხვევაში ორივე ორგანოსთან ფაქტობრივად შეხვედრები ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში, სამართლებრივი დოკუმენტის გარეშე. აღნიშნული მომსახურების ეფექტიანობის ხარისხის განსაზღვრა ცოტა რთულია, ვინაიდან თვითმმართველობას არა აქვს შესწავლილი, რამდენად საკმარისია მოქალაქეებისთვის ოფიციალურად გამოცხადებული კვირის ორი დღე, განსაკუთრებით რომელ დღეებშია მაღალი მომართვიანობა, რომელ სტრუქტურასთან უფრო მეტი ვიზიტია დაფიქსირებული. **პროგრესი ამ კუთხით არ შეინიშნება, თუმცა ამ საკითხის ანალიზი მნიშვნელოვნად გაამარტივებდა აღნიშნული სერვისის ეფექტიანობის ხარისხის განსაზღვრას.**

იგივე სიტუაციაა მოქალაქეთა მიერ თვითმმართველობაში გაგზავნილ საჩივრებზე პასუხის მიღებასთან დაკავშირებით. პასუხის მიღების დღეების რაოდენობა შეესაბამება კოდექსით დადგენილ ვადებს, რაც განსაზღვრულია 10 სამუშაო დღით. პირველმა მონიტორინგმა გამოკვეთა, რომ გვერდზე არ იძებნება ანგარიში შემოსული წერილების, საჩივრების, პეტიციების შესახებ. აღნიშნული პრაქტიკა თვითმმართველობაში არ არსებობს.

პროგრესის თვალსაზრისით პოზიტიური ტენდენციები შეინიშნება. მუნიციპალიტეტში აქტიურად მუშაობს ფონდი „სოხუმის“ მიერ საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის ადგილზე იმპლემენტაციის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც არიან. სამუშაო

ჯგუფი ინიცირებას უკეთებს საკითხს, რომ გაკეთდეს მოქალაქეთა მიერ ონლაინ შემოსული საჩივრების ანალიზი და შედეგები ელექტრონულ პორტალზე აისახოს.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტიანობას ძირითად შემთხვევაში საჯარო მოხელეთა პროფესიონალიზმი, მათი მაღალი კვალიფიკაცია განსაზღვრავს. მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ დღემდე სერიოზულ გამოწვევად რჩება საჯარო მოხელეთა გადამზადების საკითხი.

- აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს თანამშრომელთა განვითარების გეგმა? - ამ მიმართულებით მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე დასტურდება, რომ მუნიციპალიტეტს აქვს ბრძანება 41 549-ით დამტკიცებული თანამშრომელთა განვითარების გეგმა, რის საფუძველზეც 12 საჯარო მოხელე გადამზადდა.

პროგრესი ამ მიმართულებით კარგად ჩანს. მოკვლევის შედეგად დგინდება, რომ ტრენინგებში მონაწილე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს საჯარო მოხელეთა საერთო როდენობის 12%-ს. საკრებულოს და მერიის თანამშრომლები მივლინებული იყვნენ ტრენინგებზე, რომლებიც ჩატარდა შემდეგ თემებზე: საზოგადოებასთან ურთიერთობა, იურიდიული საკითხები, მოხელის შეფასების შესახებ შეფასების დანერგვა.

გამოწვევად რჩება ის საკითხი, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის რესურსით ტრენინგების ორგანიზება არ მომხდარა.

მონიტორინგით ვლინდება, რომ ტრენინგებიდან მიღებული ინფორმაციების და გამოცდილების გაზიარება სისტემატურად ხდება სხვადასხვა სამსახურსა და განყოფილებას შორის, რაც ხელს უწყობს საჯარო მოხელეთა პროფესიულ განვითარებას და საქმიანობის ხარისხიან წარმართვას. თუმცა ვებგვერდზე არ იტვირთება ანგარიშები ინფორმაციის გაცვლის კუთხით ჩატარებულ აქტივობებზე.

რეკომენდაცია მუნიციპალიტეტის მისამართით მომსახურების შეფასებისთვის საჭირო ფორმების აუცილებლობის შესახებ ჯერ კიდევ თებერვალში ჩატარებული მონიტორინგის შემდეგ გამოიკვეთა, როცა მოკვლეულმა ინფორმაციებმა ცხადყო, რომ შეფასების კუთხით თვითმმართველობა, ძირითადად, აუდიტის შეფასებას ეყრდნობა. **მისასალმებელია, რომ აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე პროგრესი უკვე დაწყებულია,** ბოლო მონიტორინგით მიღებული მასალებით, კონკრეტულ პირებთან კომუნიკაციით დასტურდება, რომ მუნიციპალიტეტში შექმნილი სამუშაო ჯგუფის ინიცირებით მუშაობა მიდის შეფასების მექანიზმის შექმნაზე. აღნიშნულ საკითხზე დაიწყო კონსულტაციები მუნიციპალიტეტში.

თვითმმართველობის ეფექტიანი საქმიანობა სხვათა გამოცდილების გაზიარებას და საუკეთესო პრაქტიკის ადგილზე დანერგვის მცდელობასაც გულისხმობს. მსგავსი ტენდენციები ბაღდათის მუნიციპალიტეტში თვალშისაცემია. გუბერნიაში იმართება ყოველთვიური შეხვედრები, სადაც მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. თუმცა ასეთი შეხვედრების შესახებ ვებგვერდზე ოფიციალური დოკუმენტი, ანგარიში არ არსებობს.

მონიტორინგი ადასტურებს, რომ წინა წლების პოზიტიური პრაქტიკა შენარჩუნებულია და საკრებულოზე სისტემატურად ხდება საკრებულოს კვარტალური, წლიური სამუშაო გეგმის დამტკიცება. საკრებულოს მორიგი სხდომის განრიგი გაწერილია საკრებულოს რეგლამენტით - https://matsne.gov.ge/ka/document/view/2417270

მუნიციპალიტეტში ეფექტიანობის საზომად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მონიტორინგის სისტემის არსებობა, დაწესებულია თუ არა მერიის სამსახურების საქმიანობის მონიტორინგის ჩატარების ვადები და ფორმა? - დასტურდება, რომ მუნიციპალიტეტის

აუდიტის სამსახურს აქვს სამსახურების პერიოდული მონიტორინგის უფლებამოსილება. აღნიშნული გაწერილია ასევე შესაბამისი კანონმდებლობით. აუდიტის სამსახურის დებულება - https://matsne.gov.ge/ka/document/view/4006551?publication=1

➢ ინკლუზიურობა

ინკლუზიურობის საკითხის პრიორიტეტულობა მუნიციპალიტეტისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული ადაპტირებული გარემოს არარსებობა შშმ პირთა უფლებრივ დარღვევებზე მიუთითებს. ამ კუთხით არსებული გამოწვევები თვალსაჩინო და ყველასთვის ნაცნობია, რადგან ბაღდათის შენობის შესასვლელთან მოწყობილი გარე პანდუსები ნაწილობრივად აკმაყოფილებს ამ პრობლემას.

ამ მიმართულებით ცვლილებები არ შეინიშნება, რადგან შენობის შიდა პერიმეტრის ადაპტირება ინკლუზიური პირებისთვის მასშტაბური პროექტია და, შესაბამისად, ამის მზადყოფნა ამ ეტაპზე არ არსებობს.

დისკრიმინაციული ელემენტების შემცველი განცხადებების არსებობა თვითმმართველობის ელექტრონულ ვებგვერდზე არ დაფიქსირებულა **და ეს ტენდენციები დღემდე შენარჩუნებულია** hr.gov.ge, თუმცა იგივეს ვერ ვიტყოდით თვითმმართველობაში გენდერული მიმართულებით არსებულ სურათზე. დასაქმებული ქალების რაოდენობა 37%-ია. ხელმძღვანელ თანამდებობებზე აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო მცირეა - 9%-ს შეადგენს. ამ კუთხით გაცემული რეკომენდაციების პასუხად, **მუნიციპალიტეტი ცდილობს, გამოცხადებული ვაკანსიების ხელმისაწვდომობა ორივე სქესისთვის თანაბარი იყოს. განცხადების წარმდგენი პირების შეზღუდვას, მისი სქესის სტატუსის ან რაიმე სხვა ნიშნით ადგილი არ ჰქონია.**

მუნიციპალიტეტში დღემდე არ არსებობს არაქართულენოვანი პირებისთვის თარჯიმნის მომსახურება, სხვა ეთნიკური ჯგუფების არარსებობის გამო მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ამ სერვისის საჭიროების არარსებობაზე მიუთითებენ. **ცვლილებები ამ კუთხით შეინიშნება**. ამ მიმართულებით სამუშაოა, რადგან ინკლუზიურობის თვალსაზრისით არ არის შესწავლილი, რამდენი არაქართულენოვანი პირი ცხოვრობს მუნიციპალიტეტში და საჭიროებების განსაზღვრა არ ეყრდნობა რაიმე სახის მოკვლევას.

ასევე არ შეინიშნება ცვლილებები სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფთან საკონტაქტო პირის არარსებობასთან დაკავშირებით. მსგავსი საშტატო ერთეული არ არსებობს, ამ საქმეს ითავსებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი.

თითოეული ამ სფეროს წარმომადგენელი მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში.

რამდენად კომპეტენტურები არიან თვითმმართველობაში დასაქმებული პირები ინკლუზიურობის საკითხში, აქვთ თუ არა მუნიციპალიტეტში (მერიაში, საკრებულოში) ცოდნა ინკლუზიურობის შესახებ სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონმდებლობის შესახებ? იციან თუ არა საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ; კანონდებლობა შრომის უფლებების შესახებ; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია - მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ჩატარებულ ინტერვიუზე დაყრდნობით დასტურდება, რომ მუნიციპალიტეტში აქვთ ინფორმაცია ჩამოთვლილი საკითხების შესახებ და მათი მუშაობა აღნიშნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით ხორციელდება.

- არსებობს თუ არა ადგილებზე გენდერული ბიუჯეტირება/ცოდნა მისი ფუნქციონირების შესახებ? - მონიტორინგიდან ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტში გენდერულ ბიუჯეტირებაზე კომპეტენტური ცოდნა არ არსებობს. ინფორმაცია ეყრდნობა საბიუჯეტო დაგეგმვის, ანალიზის და კონტროლის განყოფილების უფროსთან ჩატარებულ ინტერვიუს. ეს საკითხი დღემდე გადაუჭრელია, **თუმცა პროგრესი არსებობს, მუნიციპალიტეტში არსებობს მზაობა, მოიზიდონ ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და მიიღონ შესაბამისი ცოდნა გენდერულ ბიუჯეტირებაზე, გენდერული პროგრამების დანერგვაზე.**

➢ დასკვნა და რეკომენდაციები

მონიტორინგის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები ბაღდათის მუნიციპალიტეტისათვის

- მიზანშეწონილია მომსახურების შეფასების მექანიზმის შექმნა, შეფასებისთვის საჭირო ფორმების შემუშავება და დამტკიცება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურის მუშაობის ეფექტიან წარმართვას;
- პირველ პირებთან მოქალაქეთა მიღების ოფიციალური დღეების დებულებით განსაზღვრა და ინფორმაციის განთავსება ვებგვერდზე;
- რეკომენდებულია მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვა. ეს პრაქტიკა გამართლებულია სხვა მუნიციპალიტეტებში, ხელს უწყობს მოქალაქეთა ჩართულობას და სამოქალაქო სექტორის გააქტიურებას;
- ვინაიდან მუნიციპალიტეტში გენდერული ბიუჯეტი არ არსებობს, მნიშვნელოვანია კომპეტენციის გაზრდა გენდერულ ბიუჯეტირებაზე, რაც სპეციალიზებული ტრენინგებით არის შესაძლებელი. ამ საკითხზე მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება ხელს შეუწყობს გენდერული ბიუჯეტის პარამეტრების გაზრდას;
- მიზანშეწონილია ანტიკორუფციული ბაზის დახვეწა, ადგილობრივი ანტიკორუფციული და ეთიკური ქცევის დებულებების შემუშავება;
- არაქართულენოვანი პირებისთვის თარჯიმნის მომსახურების დანერგვა ან რომელიმე კონკრეტული პირის მომზადება ამ კუთხით;
- კვალიფიკაციის და კომპეტენციის ამაღლების მიზნით, მუნიციპალიტეტის 1%-იანი ასიგნების ათვისება და თანამშრომელთა გადამზადება, განვითარების გეგმის შესაბამისად;
- მოწყვლადი ჯგუფებისთვის შენობის ადაპტირება და ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად შესაბამისი პროექტის შექმნა;
- საშტატო ერთეულის გამოყოფა ან რომელიმე კონკრეტული პირის მომზადება სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფთან კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად.

ხონის მუნიციპალიტეტი

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის განხორციელების მეორე მონიტორინგის ანგარიში

➢ შესავალი

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ხონის მუნიციპალიტეტში განხორციელებული მეორე შუალედური მონიტორინგის შედეგები. მონიტორინგი ჩატარდა ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ ხელმძღვანელობით, პროექტის „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“ ფარგლებში. მონიტორინგის საველე სამუშაოები განხორციელდა ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების - დევნილთა საინიციატივო ჯგუფის და ხონის განათლებისა და განვითარების ცენტრი „ედელვაისის“ - მიერ.

პროექტის ფარგლებში, 2020 წლის იანვარსა და თებერვალში ჩატარდა პირველი მონიტორინგი და მომზადდა შესაბამისი ანგარიში და რეკომენდაციები, რომლებიც წარედგინა ხონის მუნიციპალიტეტს.

მონიტორინგის მიზანი

პირველი მონიტორინგის შემდეგ მუნიციპალიტეტში დამდგარი პროგრესის შეფასება ცალკეული ინდიკატორების მიხედვით; პოზიტიური ტენდენციების და არსებული გამოწვევების დაფიქსირება.

კვლევის მეთოდოლოგია

მონიტორინგის მეორე ეტაპისთვის დაწყებამდე პროექტის გუნდის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შეიქმნა მონიტორინგის ინსტრუმენტი და მონიტორინგის გეგმა. მონიტორინგი განხორციელდა იმავე მიმართულებებით: გამჭვირვალობა, ეფექტიანობა და ინკლუზიურობა. არსებული პროგრესის და გამოწვევების გამოვლენა მოხდა 32 ინდიკატორით.

მონიტორინგის განხორციელების მეთოდები: მონიტორინგის საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობის, მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტების და დებულებების ანალიზი; მუნიციპალიტეტის ოფიციალური ინტერნეტ რესურსების - ვებგვერდის და ფეისბუქგვერდის შესწავლა; ინფორმაციის გადამოწმება და დაზუსტება მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან პირადი შეხვედრებით ან სატელეფონო კომუნიკაციით; ადგილობრივი პოლიტიკური დღის წესრიგის და სამოქალაქო დიალოგის ანალიზი.

წინაპირობები და შეზღუდვები: მონიტორინგის პერიოდში არ წარმოქმნილა ხელისშემშლელი ფაქტორები. საველე სამუშაოები ჩატარდა 2020 წლის აგვისტოში. მონიტორინგის მთელი პროცესი იყო გამჭვირვალე და მიღწეული იყო მაღალი ცნობადობა საქმიანობის მიზნებზე, მეთოდებზე, ინსტრუმენტებზე. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისგან იყო მზაობა თანამშრომლობისთვის და ადგილი ჰქონდა ყველა კითხვასა თუ მოთხოვნაზე დროულ რეაგირებას.

მონიტორინგის შემდგომი პერიოდი დაემთხვა კოვიდ-19-ით გამოწვეულ შეზღუდვებს, რამაც რიგ საკითხებში გავლენა იქონია არსებული პროგრესის შედეგებზე.

მიღებული შედეგების ანალიზი

➢ გამჭვირვალობა

მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობას დიდწილად განსაზღვრავს, რამდენად ხელმისაწვდომია საჯარო ინფორმაცია და რამდენად ადვილია კომუნიკაცია მუნიციპალიტეტთან მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

ხონის მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის ერთ-ერთ ინდიკატორს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში ვაკანსიის გამოცხადების, მათ შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხი, ვაკანსიის პირობები. მოპოვებული ინფორმაციით, მონიტორინგის მოცემულ ეტაპზე ვაკანსიები არ ყოფილა.

მოცემული მონიტორინგით გამოიკვეთა პოზიტიური ტენდენციები მოქალაქეებისთვის სხვადასხვა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით, რაც დაკავშირებულია ვებგვერდის რეორგანიზაციასთან. ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის ინფორმაციით, ვებგვერდის მოდერნიზაციის შემდეგ ყველა არსებული ხარვეზი, რომელიც წინა მონიტორინგის დროს იქნა დაფიქსირებული, გასწორდება. მოცემული პერიოდისთვის ვებგვერდი მუშაობს სატესტო რეჟიმში.[1] კერძოდ, ეს ეხება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატთა და სხვა საკონტაქტო პირების მონაცემებს; ბიუჯეტის, ფინანსური ანგარიშებისა და შესყიდვების გეგმების, თანამდებობის პირების ბიოგრაფიების ხელმისაწვდომობას, მერიის პერიოდულ ანგარიშებს და ა.შ.

ასევე მიდის მუშაობა მოცემულ პლატფორმაზე ონლაინ რეჟიმში საჩივრის ან წინადადების წარდგენის, კომენტარებისა და რეკომენდაციების ელექტრონულად მიწოდების მოქნილი ფორმის შექმნაზე. ვებგვერდის თანამედროვე სტანდარტებით გამართვა შესაძლებელი გახდა ფონდი „სოხუმის“ მიერ მხარდაჭერილი მინიპროექტის საშუალებით, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია „დევნილთა საინიციატივო ჯგუფის“ მიერ.

მონიტორინგით გამოვლინდა, რომ მერიასა და საკრებულოში მოქალაქეების მიღების/ღია კონსულტაციებისთვის განსაზღვრული დროის და პირობების კორექტირება მოხდა კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით: შექმნილი რეალობის გამო, მერიაში მოქალაქეთა გადაადგილება შეზღუდულია, დაცულია ქვეყანაში მოქმედი წესები, თუმცა, გადაუდებელი საჭიროებებიდან გამომდინარე, მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ მიღების დღეებით. მათ აქვთ კომუნიკაცია როგორც მუნიციპალიტეტის მერთან, ისე მერის მოადგილეებთან. მუნიციპალიტეტში ტრადიციულად მიდის აღრიცხვა, დგება ნუსხა (დოკუმენტი), სადაც შეხვედრის მსურველ მოქალაქეთა მონაცემებია მოყვანილი.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მოქალაქეთა მიღების დღეები ოფიციალურად კვლავაც არ არის განსაზღვრული. მონიტორინგის მასალებით, საკრებულოს წევრების პოზიციაა, რომ ისინი შეუზღუდავად ახდენენ მოქალაქეთა მიღებას, რაც არ-

1 ვებგვერდი ხელმისაწვდომია - http://khoni.gov.ge/

სებითად, საკრებულოს რეგლამენტის დარღვევაა[2]: *მუხლი 140. საკრებულოს წევრის შეხვედრები ამომრჩევლებთან.*

მონიტორინგით გამოვლინდა, რომ პანდემიის პირობებში ადმინისტრაცია, ძირითადად, დისტანციურად მუშაობდა. სამთავრობო რეგულაციის თანახმად, ამოქმედდა საგანგებო „ცხელი ხაზი“ (ტელ: 595509024). ხონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შეკითხვებს თითქმის 24-საათიან რეჟიმში პასუხობდნენ. მარტი-აგვისტოს პერიოდში მოქალაქეებიდან 450 შემოსული ზარი დაფიქსირდა.

მონიტორინგის საწყის ეტაპზე მუნიციპალიტეტში არ იყო ოფიციალური „ცხელი ხაზი“ და არსებული სერვისების თაობაზე ამომწურავი ინფორმაციის მიღება ტელეფონით ნაკლებად იყო ხელმისაწვდომი. ამ დროისთვის უკვე ამოქმედდა ადგილობრივი „ცხელი ხაზი“. მოცემული მიმართულებით ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად თანამშრომლობდა განათლებისა და განვითარების ცენტრ „ედელვაისთან“, რომელმაც უზრუნველყო „ცხელი ხაზის“ ტექნიკური და ადმინისტრაციული რესურსების მომზადების პროცესი, თანამშრომელთა გადამზადება[3].

უნდა ითქვას, რომ „ცხელი ხაზის“ ფუნქციონირების დაწყებიდანვე მისი ცნობადობა მაღალია. განხორციელებული იყო რამდენიმე სატელეფონო ზარი საზღვარგარეთიდან, რომლითაც მოქალაქეებმა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმული მშობლების საჭიროებების თაობაზე მიმართეს მუნიციპალიტეტს და მიიღეს შესაბამისი მომსახურება. მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის და მოსახურების გაუმჯობესების კუთხით მოცემული სერვისი საკმაოდ ეფექტიანი გამოდგა.

თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობის, ასევე ეფექტიანობის კუთხით კვლავ გამოწვევად რჩება საკითხი, რომ მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი მონაწილეობითი ბიუჯეტირება და საკითხის გარშემო პოლიტიკური დიალოგი ჯერ არ დაწყებულა, მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობაში იყო საკითხის ირგვლივ პერიოდული დიალოგი და ისმის არგუმენტები, თუ რატომ არის სერვისი მნიშვნელოვანი ადგილობრივი პროცესების გამჭვირვალობისთვის.

ასევე, მიუხედავად რიგი მიზნობრივი პროგრამისა, არ არის ცალკე აღებული გენდერული ბიუჯეტი, რომელშიც ერთდროულად მოხდება გენდერული პოლიტიკისთვის საჭირო ღონისძიებების და საჭირო ხარჯების აღწერა და კონკრეტული პასუხისმგებლობის განსაზღვრა მის რეზულტატებზე.

მონიტორინგის პირველ ეტაპზე დაფიქსირებული იყო სოციალური ბიუჯეტის წილობრივი მაჩვენებელი საერთო ბიუჯეტთან მიმართებით, რაც, სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, საკმაოდ მაღალია - 12%. მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა, რომ კოვიდ-19 პანდემიის პირობებში მუნიციპალიტეტების ბიუჯეტმა, მათ შორის სოცი-

2 https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2397171?publication=0 ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულება (რეგლამენტი)

3 საქმიანობა განხორციელდა სუბგრანტების კომპონენტით, ფონდი „სოხუმის“ პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის (PAR) მონიტორინგი ადგილობრივ თვითმმართველობებში“ ფარგლებში

ალურმა ბიუჯეტმა, განიცადა ცვლილებები. მიუხედავად ამისა, ცვლილება არ შეხებია სოციალურ პროგრამებს.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ანტიკორუფციული ზომების კუთხით (ანტიკორუფციული გეგმები, ანტიკორუფციული დებულება, ფინანსური რეგულაციები, დებულება ეთიკური ქცევის შესახებ) მუნიციპალიტეტში პოზიტიური ცვლილებები არ მომხდარა და პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგებით, უახლოეს მომავალში არც იგეგმება. საკითხების რეგულირება ხდება ქვეყანაში არსებული ანტიკორუფციული ზომებითა და კანონმდებლობით, ფინანსური რეგულაციებით.

➢ ეფექტიანობა

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტიანობის გამოსავლენად გამოყენებული იყო სხვადასხვა ინდიკატორი, რომლითაც შესაძლებელი გახდა წინა მონიტორინგის შედეგების შემდეგ დამდგარი პროგრესის ან ნეგატიური ტენდენციების გამოვლენა.

ხონის მუნიციპალიტეტში წინა მონიტორინგით გამოვლინდა პოზიტიური დინამიკა მოქალაქეებთან კომუნიკაციის კუთხით ადგილობრივი ხელისუფლების ორივე შტოს მხრიდან (განსაკუთრებით ეს ეხება აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას). მერიაში მოქალაქეთა მიღების დღეები არ შემცირებულა მოცემულ პერიოდშიც, თუმცა პანდემიის პირობებში შეიზღუდა მოქალაქეთა გადაადგილება საჯარო დაწესებულებებში. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, მოქალაქეებს კვირაში ორი დღის განმავლობაში იღებს როგორც მერი, ისე - მერის მოადგილეები. რაც შეეხება საკრებულოს, აქ მიღების დღეები ოფიციალურად კვლავაც არ არის განსაზღვრული. პანდემიის პირობებში კი აპარატი, ძირითადად, გადასული იყო მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე.

მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა საჩივრების წარდგენის, მათზე პასუხის მიღების წესის, ვადების კუთხით ცვლილებები არ გამოვლენილა, თუმცა არის მოლოდინი, რომ ვებგვერდის მოდერნიზება გაამარტივებს არა მხოლოდ საჯარო ინფორმაციაზე წვდომას, არამედ ასევე საჩივრების წარდგენისა და პასუხის მიღების პროცედურებს და მოცულობას.

მოდერნიზებულ ვებგვერდზე განთავსებული იქნება პეტიციის ონლაინ ფანჯარა, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას მისცემს, უფრო აქტიურად ჩაერთონ ადგილობრივი მართვის საკითხებში და ადგილობრივ პოლიტიკურ დღის წესრიგში დააყენონ მოქალაქეებისთვის საჭირბოროტო საკითხები.

ხონის მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული „მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების“ სტრატეგიულ დოკუმენტში პრიორიტეტულ საკითხთა შორის მითითებულია თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება. სამოქმედო გეგმით, 2020-2021 წელს მოხდება თანამშრომელთა გადამზადება საჭიროებების მიხედვით. მოცემულ ეტაპზე მიდის დიალოგი საკითხის ბიუჯეტში გათვალისწინების თაობაზე.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ პანდემიის პირობებში თანამშრომელთა გადამზადება და სხვადასხვა სახის ტრენინგებში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა, წინა ეტაპისგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად შემცირდა. ამ მხრივ ვითარება გაუარესებუ-

ლია. გამონაკლისს წარმოადგენს ფონდი „სოხუმის“ მიერ ორგანიზებული ტრენინგ-ფორუმი „ოჯახის მხარდაჭერის ადგილობრივი სტრატეგია“ და ტრენინგ-სწავლებები „ცხელი ხაზისა“ და ვებგვერდის ადმინისტრირების საკითხებზე.

მონიტორინგის მოცემულ ეტაპზე ხონის მუნიციპალიტეტში არ ყოფილა გამოყენებული რაიმე სახის ახალი ინსტრუმენტი ან ტექნიკა საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისთვის, თუ არ ჩავთვლით ონლაინ რეჟიმში ინფორმაციის გაცვლის და კოორდინაციის შედარებით მოქნილ სისტემას, რომელიც კოვიდ-პანდემიის პირობებში იქნა დანერგილი.

მონიტორინგის მასალებით, ხონის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც პირველ ეტაპზე, წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით ხორციელდება შიდა აუდიტის შეფასება და კონტროლი.

მიუხედავად იმისა, რომ ხონის მუნიციპალიტეტს ფორმალურად აქვს დანერგილი ხარისხის მართვის კარგად აპრობირებული მექანიზმი და „კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის დოკუმენტში“ მონიტორინგისა და შეფასების ფორმები ცალსახად არის გაწერილი, ისევე, როგორც პირველ ეტაპზე, პრაქტიკაში არ განხორციელებულა და არსებული ვითარება მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

მუნიციპალიტეტში საჭიროებათა იდენტიფიცირების პრაქტიკის მიმართულებით გარკვეული გავლენა იქონია კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდმა, როცა ხონში აქტიურად მიმდინარეობდა მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გამოვლენა და მათზე რეაგირების ღონისძიებები. მიუხედავად იმისა, რომ პროცესი მკაფიოდ სტრუქტურირებული არ იყო, მას ჰქონდა საკმაოდ პოზიტიური შედეგები და აჩვენა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული რესურსი საჭიროებათა შესწავლისა და ანალიზის მიმართულებით.

ვითარება არსებითად არ გაუმჯობესებულა მუნიციპალიტეტებს შორის საუკეთესო პრაქტიკის/გამოცდილების გაზიარების მიმართულებით. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში პანდემიასთან დაკავშირებით გამკაცრებული იყო უსაფრთხოების ნორმები, რაც შემოღებულ რეგულაციებს უკავშირდებოდა. მიუხედავად ამისა, მოპოვებული მასალებით, გამოცდილების გაზიარების კუთხით პოზიტიურად იქნა შეფასებული ფონდი „სოხუმის“ მიერ ორგანიზებული შეხვედრა 11 მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელზეც მოხდა გამოცდილების გაზიარება გრძელვადიანი სერვისების დანერგვის პერსპექტივებზე; სოციალური, გენდერული პროგრამების წარმატებულ პრაქტიკასა და მუნიციპალიტეტებში არსებულ, მათ შორის პანდემიის შედეგებით არსებულ გამოწვევებზე.

➢ ინკლუზიურობა

მოქმედი კანონმდებლობა (საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ) თვითმმართველობას ავალებს შშმ პირების საჭიროებაზე მორგებული კონკრეტული საკითხების დაკმაყოფილებას (კანონის მე-9 და მე-11 მუხლები). ხონის მუნიციპალიტეტის სოციალურ პროგრამაში შშმ პირთა სხვადასხვა

კატეგორიის სოციალური დაცვისა და დახმარებისთვის განსაზღვრულია 68 000 ლარი. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში დაინერგა გრძელვადიანი სოციალური პროგრამები შშმ პირებისთვის, რომელთაც საფუძვლად დაედო ბენეფიციარების ჩართულობით საჭიროებების კვლევა.

ხონის მუნიციპალიტეტში 2015 წლიდან მოქმედებს შშმ პირთა საბჭო. საბჭოს დებულებაში 2020 წელს შევიდა ცვლილებები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მის ქმედუნარიანობას. მონიტორინგის პირველ ეტაპზე, გარდა მოცემული მექანიზმისა, დანახული იყო ხონის მუნიციპალიტეტში არსებული სხვა ინსტიტუციური მექანიზმების - სოციალურ საკითხებში მრჩეველთა საბჭოს, გენდერული თანასწორობის საბჭოს გაძლიერების საჭიროება, ანგარიშგების პრაქტიკის აუცილებლობა. მონიტორინგის მოცემულ ეტაპზე ამ კუთხით შესამჩნევი პროგრესი არ შეინიშნება.

მონიტორინგის შედეგებით, შშმ პირთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის გამართვის, კერძოდ, პანდუსების მოწყობის კუთხით სურათი არსებითად უცვლელია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებულია დიალოგი და საკითხი შეტანილია მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმაში. არსებობს შეთანხმება, რომ 2021 წლის ხონის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება ადმინისტრაციულ შენობებზე პანდუსების მოწყობა.

მონიტორინგით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს მიერ ხდება გენდერული სტატისტიკის, მონაცემთა ბაზის პერიოდული განახლება. მონიტორინგის შედეგად რაიმე სახის ცვლილებები არ დაფიქსირებულა.

წინა მონიტორინგმა ცხადყო, რომ მუნიციპალიტეტში ოფიციალურად არ არის თარჯიმნის მომსახურება და მოცემული სერვისის საჭიროება, მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების შეფასებით, არ არსებობს. მონიტორინგის აღნიშნულ ეტაპზე საკითხის მიმართ დამოკიდებულება არ შეცვლილა.

ხონის მუნიციპალიტეტში, მონიტორინგის პირველი ეტაპის ინფორმაციით, არის პოზიტიური გარემო მოწყვლად ჯგუფებთან ურთიერთობისთვის. მერიაში მოქალაქეთა მიღებისთვის მოწყობილია სპეციალური საინფორმაციო-საკონსულტაციო სივრცე, სადაც მოწყვლად ჯგუფებს სათანადო კომპეტენციის მქონე სპეციალისტი ესაუბრება და უწევს სათანადო დახმარებას. მონიტორინგის მოცემული ეტაპის მასალებით, პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პერიოდში ეს კომუნიკაცია ელექტრონული და სატელეფონო რესურსებით შეიცვალა და მოქალაქეებს არ ჰქონიათ შეფერხება მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის და სერვისების მიღების კუთხით.

მონიტორინგმა გამოავლინა, რომ მიუხედავად „გამჭვირვალობის დოკუმენტით“ აღებული ვალდებულებისა, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოწყვლადი ჯგუფების ჩართვას გულისხმობს (2020-2021 წლების სამოქმედო გეგმაში ამ კუთხით კონკრეტული აქტივობებიცაა განსაზღვრული), მუნიციპალიტეტისთვის ამას უფრო ფორმალური სახე აქვს და მისი პრაქტიკაში განხორციელება ჯერ არ დაწყებულა.

ასევე უმნიშვნელოა პროგრესი გენდერული ბიუჯეტის დანერგვის მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს გარკვეული ცოდნა და აქტიური ადგილობრივი პოლიტიკური დიალოგი ბიუჯეტის გენდერული ასპექტებით აგებისთვის, გენდერული ბიუჯეტირება პრაქტიკაში სრულფასოვნად არ ხორციელდება.

➢ დასკვნა და რეკომენდაციები

ფონდი „სოხუმის“ ხელმძღვანელობით ხონის მუნიციპალიტეტში სამიზნე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ ჩატარებული მონიტორინგით გამოვლინდა მიღწეული პროგრესი საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების კუთხით.

მიღებული შედეგებით, მონიტორინგში ასახულ პერიოდში (2020 წლის მარტი-აგვისტო) ხონის მუნიციპალიტეტში შეინიშნება გარკვეული წინსვლა თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობის, ეფექტიანობის, ინკლუზიურობის უზრუნველყოფის კუთხით.

პირველ რიგში, ეს ეხება სამიზნე ორგანიზაციების - დევნილთა საინიციატივო ჯგუფისა და „ედელვაისის“ მიერ შეთავაზებული პროექტების (ვებგვერდის მოდერნიზება; „ცხელი ხაზის“ სერვისის გამართვა) წარმატებით განხორციელებას, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტში მოცემული სერვისები დანერგვის დასკვნით სტადიაშია. მუნიციპალიტეტის უმთავრეს ელექტრონულ პლატფორმაზე წინა მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები სწორდება ვებგვერდის დებულების, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციების თაობაზე აღებული ვალდებულებების შესაბამისად. ხდება ონლაინ პეტიციის, მოქალაქეებთან ონლაინ კონსულტაციის სერვისის დანერგვა და არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. რეკომენდაცია, რომელიც ამ მიმართულებით ჰქონდა მუნიციპალიტეტს, შესრულებულია ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით. მათივე დახმარებით შესრულდა რეკომენდაცია ხონის მუნიციპალიტეტში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე და „ცხელი ხაზის“ ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირების კვალიფიკაციის ამაღლების, მათი მომზადება-გადამზადების საკითხების სტანდარტიზაციის მიმართულებით.

სხვა რეკომენდაცია ეხებოდა შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფის საკითხებს. მუნიციპალიტეტში მოხდა თემის პოლიტიკური გააქტიურება და აღნიშნული საკითხი შეტანილ იქნა 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმაში. ამჟამად მიდის დიალოგი საჭირო დაფინანსების მოცულობაზე.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტიანობას კვლავაც კითხვის ქვეშ აყენებს საკითხი, რომ ჯერაც არ არის დაწყებული მუშაობა ანტიკორუფციულ გეგმაზე, ფინანსური ხარჯვის წესზე, ეთიკის კოდექსზე. მისასალმებელია პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ტენდენციები, თუმცა არ არსებობს მწყობრი სტრატეგია საჭირო მიმართულებებზე და საკვალიფიკაციო თემებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჭიროებათა გამოვლენის და პროგრამების ეფექტის შეფასების პრაქტიკის დახვეწა, რაც ახალი და შედარებით გრძელვადიანი საბიუჯეტო პროგრამების საფუძველი უნდა გახდეს.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შშმ პირთა, სოციალურ საკითხებში მრჩეველთა, გენდერული თანასწორობის საბჭოები, რომელთაც აქვთ თავიანთი მკაფიოდ განსაზღვრული ინტერვენციის სფეროები. მიუხედავად ამისა, ადგილობრივ სოციალურ პოლიტიკაზე მათი გავლენა ფრაგმენტულია და სუსტია მათი ანგარიშგება გაწეულ საქმიანობაზე.

მერიასა და საკრებულოში არ დაფიქსირებულა პროგრესი თარჯიმნის მომსახურების უზრუნველყოფის კუთხით, რაც არაქართულენოვან პირთა მომსახურების საჭიროების

შემთხვევაში გარკვეულ დისკომფორტს შექმნის. მონიტორინგის რეკომენდაცია - განისაზღვროს საჯარო მოხელე ან ხელშეკრულებით აყვანილი პირი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, უცხოენოვან მოქალაქეს თარჯიმნის მომსახურებას გაუწევს, არ იქნა გათვალისწინებული.

აქტუალური რჩება რეკომენდაცია მერის წარმომადგენლების ჩართულობით მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად მოწყვლადი პირების და ოჯახების შეფასების და მათთვის მუნიციპალიტეტში დანერგილი სერვისების, პროგრამებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე.

ასევე არ დაუკარგავს აქტუალურობა მერიის თანამშრომელთა შეფასებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხების გამოვლენის რეკომენდაციას. გამოიკვეთა ხედვები, რომ უნდა შეიქმნას მერიის თანამშრომელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და მოკვლევის საფუძველზე უნდა დადგინდეს საჭირო ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ნუსხა.

მონიტორინგის მიგნებების საფუძველზე შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის გაუმჯობესებისთვის –

- საჭიროა, განხორციელდეს სასტარტო რეჟიმში არსებული ვებგვერდის სრულფასოვანი ფუნქციონირების სტანდარტების დაცვის სისტემატური მონიტორინგი და ანგარიშგება;
- აუცილებელია, მოხდეს საკრებულოში მოქალაქეთა მიღების პროცედურებისა და დროის ოფიციალური განსაზღვრა;
- მნიშვნელოვანია, დაიწყოს ადგილობრივი დიალოგი მონაწილეობითი ბიუჯეტირების, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის ინსტრუმენტის თაობაზე და მომზადდეს საფუძველი მისი შემდგომი იმპლემენტაციისთვის;
- ადგილობრივი პროცესების გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფთან დიალოგისთვის აქტიურად იქნას გამოყენებული ადგილობრივი ინსტიტუციური მექანიზმები: შშმ პირთა, გენდერული თანასწორობის, სოციალურ საკითხებში მრჩეველთა საბჭოები.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად –

- სასურველია, მოხდეს თანამშრომელთა განვითარების კონკრეტული გეგმის შედგენა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებისთვის 2021 წლის ბიუჯეტში თანხის გათვალისწინება. აუცილებელია მომზადდეს თემების ჩამონათვალი, რომელ საკითხებშიც საჭიროა კვალიფიკაციის და უნარების ამაღლება, რათა მოხდეს უფრო მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება მოქალაქეებისთვის;

- უნდა დაიწყოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კონკრეტული საქმიანობების განხორციელება; შეიქმნას მომსახურების ეფექტის შემსწავლელი დოკუმენტის ფორმები და დაინერგოს საქმიანობის შეფასება;
- მნიშვნელოვანია, მოხდეს ადაპტირება ონლაინ ტრენინგების სისტემაზე, რათა პანდემიის საფრთხის მიუხედავად, მოხერხდეს კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების შეუფერხებელი გატარება;
- მნიშვნელოვანია, ფორსმაჟორულ სიტუაციებში ელექტრონული მომსახურების რესურსების უფრო ეფექტური გამოყენება მოქალაქეთა საჭიროებებზე რეაგირებისთვის.

მუნიციპალიტეტში ადგილობრივი პროცესების ინკლუზიურობის, მოქალაქეთა მონაწილეობის გაუმჯობესებისთვის –

- ძალიან მნიშვნელოვანია, განმტკიცდეს მუნიციპალიტეტში არსებული საბჭოების (შშმ პირთა, გენდერული თანასწორობის, სოციალურ საკითხებში მრჩეველთა) ლეგიტიმაცია და ქმედუნარიანობა, როგორც მოქალაქეების ადგილობრივ პროცესებში აქტიური მონაწილეობის მექანიზმისა; დაინერგოს მათი მხრიდან მუნიციპალიტეტის წინაშე ანგარიშგების სისტემა;
- აუცილებელია, 2021 წლის ბიუჯეტისთვის განისაზღვროს რესურსები შშმ პირთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის გამართვისთვის;
- სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს მუნიციპალიტეტში „გამჭვირვალობის დოკუმენტით“ აღებული ვალდებულების და 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, რომელშიც გაწერილია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის ღონისძიებები.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის განხორციელების მეორე მონიტორინგის ანგარიში

➢ შესავალი

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ მიხედვით, საქართველომ აიღო ვალდებულება, ქვეყანაში ჩამოაყალიბოს გამჭვირვალე, ეფექტიანი და ინკლუზიური საჯარო მმართველობა. რეფორმის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს წარმოადგენს თვითმმართველობის რეფორმა. მოცემულ შესასრულებელ ვალდებულებათა შორის ერთ-ერთია ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების გამართვა, ხელმისაწვდომობის ხარისხის გაუმჯობესება მოსახლეობისთვის.

მონიტორინგის მიზანი

სწორედ ამ მიზნებს ემსახურება პროექტი „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“, რომლის ფარგლებშიც ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ჩატარდა პირველადი მონიტორინგი (2020 წლის იანვარ-თებერვალში). პირველადი მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები და შემუშავებული რეკომენდაციები ეცნობათ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, შემდგომი რეაგირებისთვის.

რიგით მეორე მონიტორინგის მიზანია პირველადი მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზებისა და რეკომენდაციების შესრულების პროგრესი და დადებითი ტენდენციების შემუშავება, ასევე არსებული დასაძლევი გამოწვევების იდენტიფიცირება სამი ძირითადი კომპონენტის ჭრილში: გამჭვირვალობა, ეფექტიანობა და ინკლუზიურობა.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მეორე შუალედური მონიტორინგი (აგვისტოში) განახორციელეს ადგილობრივი პარტნიორი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური ჰაბი - „აფხაზინტერკონტი“ და „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრი“ - წარმომადგენლებმა მეწარმე ქალთა ფონდის კურატორობით.

კვლევის მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია - მონიტორები წინასწარ შემუშავებული სპეციალური კითხვარით ხელმძღვანელობდნენ, რომელიც მოიცავდა 32 ინდიკატორს. ინფორმაციის შესაგროვებლად შესწავლილ იქნა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ელექტრონული და ფეისბუქგვერდები. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოხდა სატელეფონო და პირდაპირი კომუნიკაციები სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლებთან - როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო სისტემაში.

გაწეული თანამშრომლობისთვის მადლობას ვუხდით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებს.

მონიტორინგის შეფასების ინსტრუმენტი და ელემენტი ისევ უცვლელია: გამჭვირვალობა, ეფექტიანობა, ინკლუზიურობა.

მონიტორინგის პროცესი განხორციელდა აგვისტოში. პროცესი ჩატარდა მიუკერძოებლად, გამჭვირვალედ და შედეგიანად, წარმოჩინდა არასამთავრობო და სამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობის დადებითი მახასიათებლები. პირველადი მონიტო-

რინგის პროცესში გამოვლენილ გარკვეულ ხარვეზებზე მეორე მონიტორინგის დროს უკვე პროგრესი შეინიშნება გარკვეული მიმართულებით, თუმცა გამოწვევები ჯერ კიდევ დასაძლევია გამჭვირვალობის, ეფექტიანობისა და ინკლუზიურობის სრულყოფილების თვალსაზრისით. მონიტორინგის პროცესში დგინდება, რომ გამოწვევების სრულყოფილად დაძლევისა და უფრო წარმატებული შედეგის მიღწევისთვის კოვიდ-19-ით გამოწვეული პრობლემები და რეგულაციები შემაფერხებელი აღმოჩნდა.

მიღებული შედეგების ანალიზი

➢ გამჭვირვალობა

კანონმდებლობით, თვითმმართველობას გააჩნია გამჭვირვალობის ვალდებულება: მუნიციპალურ საზღვრებში მოსახლეობის ინფორმირებულობა, ინფორმაციის გავრცელება. აღნიშნული კომპონენტის შეფასება მოხდა მუნიციპალიტეტის ელექტრონულ რესურსებზე დაკვირვებით, კანონმდებლობის შესწავლით და შიდარეგულაციების ანალიზით. **კითხვაზე - ხელმისაწვდომია თუ არა ონლაინ განცხადებები ვაკანსიების შესახებ?** ირკვევა, რომ ამ კითხვაზე პასუხი ვერც მეორე მონიტორინგის პროცესში შეფასდა, მათი დაკვირვებით, არც ამ დროის მონაცემებით არ იყო აქტიური ვაკანსიები, შესაბამისად, შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ მუნიციპალიტეტში აღნიშული დროის მონაკვეთში ვაკანსიები არ გამოცხადებულა. თუმცა ირკვევა, რომ ყველა ვაკანსია თავსდება როგორც ambrolauri.gov.ge, ასევე https://www.hr.gov.ge/, https://jobs.ge/-ზე, რაც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული სუბიექტისთვის.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ჩატარებული მეორე მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტში სერიოზული სამუშაოები ტარდება ვებგვერდის მოდერნიზების კუთხით, ჩასწორდა ინფორმაცია ყველა საჯარო პირის შესახებ.

„რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური ჰაბი - „აფხაზინტერკონტის“ მცირე გრანტის ფარგლებში პროექტით „ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე თვითმმართველობა-ინფორმირებული მოსახლეობის“ ფარგლებში მომზადდა ბუკლეტი და ვიდეორგოლი, რომელშიც დატანილია ყველა საჯარო მოხელის საკონტაქტო ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობს მათთვის ინფორმაციის მიწოდებას, ვისაც წვდომა არ აქვს ინტერნეტზე და, შესაბამისად, არც ელექტრონული სერვისების შესახებ ფლობს ინფორმაციას. ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებაა ვებგვერდზე. შეიქმნა ჩაშენებული პანელი, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, ელექტრონულად მიმართოს ადგილობრივ თვითმმართველობას. მონიტორინგით გამოვლინდა, რომ მიმდინარე წელს მიღების და კონსულტაციების დღეები არ არსებობს გაწერილად. მოქალაქეს ნებისმიერ დღეს შეუძლია შეხვდეს მერს, საკრებულოს თავმჯდომარეს, დეპუტატს და ყველა თანამდებობის პირს კონსულტაციების მისაღებად. აღნიშნულის შესახებ მოქალაქეებს აქვთ ინფორმაცია. იმისათვის, რომ მოქალაქის ლოდინის დრო შემცირდეს, მერია მუშაობს ონლაინ ჩაწერის შექმნაზე, რაც „სამუშაო ჯგუფის“ მუშაობის შედეგად იქნა ინიცირებული.

„რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრის“ პარტნიორობით **„ფინანსთა ასოციაციასთან“** – **„ამბროლაურში მცხოვრებ მოქალაქეთა ჩართულობა საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელებაში" -** ადგილობრივი თვითმმართველობის ვებგვერდს დაემატა განყოფილება **„დაგეგმე შენი ბიუჯეტი“.** აღნიშნული სერვისის ხილვა-

დობის გაზრდის მიზნით მომზადდა ორი გრაფიკული ვიდეორგოლი, რომელიც განთავსდა სათემო რადიო „ამბროლაურის ხმის“ ვებ და ფეისბუქგვერდებზე. ამჟამად შემოსულია 24 განაცხადი და ელექტრონულად მიმდინარეობს ხმის მიცემა, რაც იძლევა იმის პრეცედენტს, რომ მოსახლეობის მიერ პრიორიტეტად მიჩნეული საკითხი თვითმმართველობის ბიუჯეტში იქნას გათვალისწინებული. მონიტორინგის შედეგებით, პროგრესი ჯერ კიდევ ვერ შეინიშნება სოციალური ბიუჯეტისა და გენდერული ბიუჯეტის ფორმირების პროცესში. ასევე ჯერ კიდევ არ შეცვლილა მდგომარეობა ანტიკორუფციული გეგმების, ანტიკორუფციული დებულების, ფინანსური რეგულაციებისა და ეთიკის ქცევის შესახებ.

➢ ეფექტიანობა

ეფექტიანობა თვითმმართველობის საქმიანობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებაა. მეორე მონიტორინგის დროს აუცილებელია იმის გარკვევა, თუ რამდენად ეფექტიანია მუნიციპალიტეტის საქმიანობა, შეიცვალა თუ არა მდგომარეობა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში. სურათი კი ასეთია: მიღების დღეები არ არსებობს გაწერილად, მოქალაქეს ნებისმიერ დღეს შეუძლია, შეხვდეს მერს, საკრებულოს თავმჯდომარეს, დეპუტატს და ყველა თანამდებობის პირს. აღნიშნულის შესახებ მოქალაქეებს აქვთ ინფორმაცია. თუმცა „სამუშაო ჯგუფის“ მუშაობის შედეგად მუნიციპალიტეტში ხდება აღნიშნული საკითხის დარეგულირება. მერია მუშაობს ონლაინ ელექტრონული სერვისის შექმნაზე, რომელიც შეთანხმებული იქნება დროში. მონიტორინგმა აჩვენა, რომ შემოსულ საჩივარზე პასუხის გაცემა ხდება კანონის შესაბამისად 10 დღის ვადაში. მიმდინარე წელს მერიაში 7 ადმინისტრაციული საჩივარია შესული. ძირითადად, საჩივრები ეხება მიწის ნაკვეთის დამტკიცებისა და წყალთან დაკავშირებულ პრობლემებს. ელექტრონული სერვისების მომსახურების: წერილის წარდგენა, პეტიციები, საჩივრები, შეხვედრაზე დარეგისტრირება, პასუხის მიღება. მონიტორინგით დგინდება, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გვერდზე ხელმისაწვდომია ყველა ამ სახის სერვისი, თუმცა ვებგვერდის მეხსიერების სიმცირის გამო ინფორმაციები ზოგჯერ იშლება. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ვებგვერდის მეორე მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა ორი ტიპის ხელმისაწვდომი ღილაკი მოსახლეობისთვის: „დაგეგმე შენი ბიუჯეტი“ და „მოითხოვე ინფორმაცია“, რომლებიც ამბროლაურში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის ფარგლებში არის შემუშავებული. ასევე მიმდინარეობს მუშაობა ელექტრონულად ჩაწერის მექანიზმზე. მუნიციპალიტეტს გააჩნია თანამშრომელთა განვითარების გეგმა, თუმცა ქვეყანაში შექმნილი პანდემიის გავრცელების შეზღუდვის რეგულაციებიდან გამომდინარე, იყენებდნენ ონლაინ პლატფორმას. საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისთვის მერიის თათბირზე 15-20 წუთის განმავლობაში მიმდინარეობს პრეზენტაცია, რომლის დროსაც ხდება გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება სხვადასხვა სამსახურს შორის. ცოდნის გაზიარებისთვის იყენებენ სატელეფონო და ელექტრონული ინფორმაციის გაზიარების მექანიზმებსაც. კვლავ დასაძლევ გამოწვევად რჩება მუნიციპალური მომსახურების შეფასების საჭირო ფორმების არარსებობა.

➢ ინკლუზიურობა

მონიტორინგის ეს ნაწილი მოიცავს ინფორმაციას, თუ რამდენად არის დაცული მუნიციპალიტეტში ინკლუზიურობის საკითხი, რამდენად არის ეს თემა პრიორიტეტული, არის თუ არა პანდუსები მერიის/საკრებულოს შენობებში, როგორია ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული ქალების და თანამდებობებზე მყოფი ქალების პროცენტული მაჩვენებელი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტს, სხვა მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით, შენობაზე პანდუსი გააჩნია, შენობა ადაპტირებულია შშმ პირების მიღების თვალსაზრისით. არის თუ არა დისკრიმინაციული მუნიციპალიტეტის განცხადებები ვაკანსიის შესახებ, ამ ინდიკატორის შეფასება ვერ მოხდა ვერც პირველ და ვერც მეორე მონიტორინგზე, რადგან ვაკანსიები არ ფიქსირდებოდა აქტიურ მდგომარეობაში. დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი 50%-ს შეადგენს. თარჯიმნის სპეციალური შტატი არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის არ არსებობს, თუმცა მონიტორინგის პროცესში აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლები ფლობენ უცხო ენას და შეუძლიათ აღნიშნული მომსახურების გაწევა. შტატის არარსებობა, მათი აღნიშვნით, გამოწვეულია იმით, რომ რეგიონში დასახლებულია ქართულენოვანი მოსახლეობა. მოწყვლად ჯგუფებთან ურთიერთობისთვის კონკრეტული შტატი არ არსებობს, თუმცა მონიტორინგით ირკვევა, რომ ადმინისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელი იღებს ამ პირებს და ამისამართებს შესაბამის სამსახურებთან.

როგორც მონიტორინგის დროს დაფიქსირდა, შშმ პირებისთვის მოქმედებს მხოლოდ ერთი პროგრამა, ერთჯერადად წელიწადში 300 ლარის დახმარება. „რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრმა“ მიმართა მერიის შესაბამის სამსახურს სსმ პირებისთვის სპეციალური პროგრამის შემუშავების მიზნით, ამბროლაურის დღის ცენტრში. ჯერჯერობით ამ საკითხზე დადებითი პასუხი არ არის, სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, მერია ვალდებულია, იზრუნოს შშმ და სსმ პირებზე.

მონიტორინგის შედეგად ვლინდება, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არანაირი გამოცდილება არ აქვთ გენდერული ბიუჯეტის მომზადების კუთხით. გამოითქვა სურვილი, ცოდნის ამაღლების მიზნით დაიგეგმოს ტრენინგები. სამოქალაქო ორგანიზაციებთან საკონტაქტო პირის ფუნქციას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები ითავსებენ: მერიაში - ნინო რუსიშვილი და მარიკა დვალი, საკრებულოში - სოფიო ხიდურელი.

➢ დასკვნა და რეკომენდაციები

მიღწევები: მეწარმე ქალთა ფონდის ხელმძღვანელობით მეორე მონიტორინგი ჩაატარეს „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური ჰაბი - „აფხაზინტერკონტის“ და „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრის“ წარმომადგენლებმა. მეორე მონიტორინგის შედეგებით ვლინდება, რომ პირველი მონიტორინგის დროს გამოკვეთილ ხარვეზებში საჯარო მმართველობის განხორციელების გამჭვირვალობის, ეფექტიანობის და ინკლუზიურობის თვალსაზრისით არის წინგადადგმული პროგრესული ნაბიჯები, თუმცა რჩება დასაძლევი გამოწვევებიც. მიმდინარეობს ვებგვერდის მოდერნიზაცია სრულფასოვანი ელექტრონული სერვისების დანერგვის თვალსაზრისით, შესწორდა მერიისა და საკრებულოს სამსახურების უფლებამოსილი პირების საკონტაქტო ინფორმაციები, ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ მომზადდა ელექტრონული სერვისების სარგებლობისთვის ვიდეორგოლი. მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, ვისაც არ აქვს წვდომა ინტერნეტთან, დაიბეჭდა საინფორმაციო ბროშურები. ვებგვერდზე ჩაშენდა პანელი - „მოითხოვე ინფორმაცია“ - რომლის საშუალებითაც ნებისმიერ დაინტერესებულ მოქალაქეს შეუძლია, ელექტრონულად მიმართოს თვითმმართველობას. მიმდინარეობს მუშაობა მიღების საათების მიხედვით დროის გაწერაზე, მუნიციპალიტეტის ვებგვერდს დაემატა განყოფილება „დაგეგმე შენი ბიუჯეტი.“

დასაძლევი გამოწვევები: მონიტორინგის პროცესით გამოვლენილია, რომ ბიუჯეტი არის ზოგადი, მერიას არ გააჩნია სოციალური, გენდერული და მონაწილეობითი ბიუჯეტი, არ არსებობს ონლაინ რეჟიმში საჩივრის ან წინადადების გამოქვეყნების მექანიზმი, არ არსებობს ფინანსური რეგულაციები და დებულება ეთიკის ქცევის შესახებ, ანტიკორუფციული გეგმა-დებულება.

რეკომენდაციები:

მუნიციპალიტეტის საქმიანობის **გამჭვირვალობის, ეფექტიანობისა და ინკლუზიურობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭიროა:**

გამჭვირვალობა

1. ვებგვერდზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს საჯარო მოხელეების, თანამდებობის პირების მიერ მოქალაქეთა მიღების კონკრეტული დღეებისა და საათების განთავსება;
2. ვებგვერდზე მუნიციპალიტეტის ანტიკორუფციული გეგმის და ანტიკორუფციული დებულების შემუშავება-განთავსება;
3. ელექტრონული მომსახურების გაუმჯობესება და მოქალაქეთა მხრიდან უკუკავშირის დამყარება.

ეფექტიანობა

1. მუნიციპალური მომსახურების შეფასებისთვის საჭირო ფორმების შემუშავება;
2. ვებგვერდზე ახალი ველის გახსნა - საჯარო მოხელეებთან უშუალო კომუნიკაციის და კონსულტაციის მისაღებად;
3. კომპეტენციის გაზრდა გენდერული ბიუჯეტირების შესახებ და გენდერული ბიუჯეტის ცალკე გაწერა;
4. მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვა, მოქალაქეთა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობის ხელშეწყობა;
5. ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება შეხვედრების, ტრენინგების და მათ შედეგად მიღებული გამოცდილების შესახებ;
6. თემების განსაზღვრა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

ინკლუზიურობა

1. საჯარო მოხელეების სრულფასოვანი ინფორმირება ინკლუზიურობის შესახებ სახელმწიფო კანონმდებლობის თაობაზე;
2. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის ხელშეწყობა;
3. საბჭოების შესახებ სრულფასოვანი ინფორმაციების განთავსება ვებგვერდზე, რამდენი საბჭოა, ვინ არიან მასში შემავალი პირები და წარმოჩინდეს მათი ანგარიშგების უკუკავშირი.

ცაგერის მუნიციპალიტეტი

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის განხორციელების მეორე მონიტორინგის ანგარიში

➢ შესავალი

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ მიხედვით, საქართველომ აიღო ვალდებულება, ქვეყანაში ჩამოაყალიბოს გამჭვირვალე, ეფექტიანი და ინკლუზიური საჯარო მმართველობა. რეფორმის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს წარმოადგენს თვითმმართველობის რეფორმა. მოცემულ შესასრულებელ ვალდებულებათა შორის ერთ-ერთია ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების გამართვა, ხელმისაწვდომობის ხარისხის გაუმჯობესება მოსახლეობისთვის.

მონიტორინგის მიზანი

სწორედ ამ მიზნებს ემსახურება პროექტი: „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“, რომლის ფარგლებშიც ცაგერის მუნიციპალიტეტში ჩატარდა პირველადი მონიტორინგი (2020 წლის იანვარ-თებერვალში) პირველადი მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები და შემუშავებული რეკომენდაციები ეცნობათ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, შემდგომი რეაგირებისთვის.

რიგით მეორე მონიტორინგის მიზანია პირველადი მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზებისა და რეკომენდაციების შესრულების პროგრესი და დადებითი ტენდენციების შემუშავება, ასევე არსებული დასაძლევი გამოწვევების იდენტიფიცირება სამი ძირითადი კომპონენტის ჭრილში: გამჭვირვალობა, ეფექტიანობა და ინკლუზიურობა.

ცაგერის მუნიციპალიტეტში მეორე შუალედური მონიტორინგი (აგვისტოში) განახორციელეს ადგილობრივმა პარტნიორმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა - „ცაგერის ქალთა უფლებებისა და თანასწორობის ცენტრი“ და „აქტიური მოქალაქე - ანგარიშვალდებული ხელისუფლება“ - მეწარმე ქალთა ფონდის კურატორობით.

კვლევის მეთოდოლოგია

მონიტორები წინასწარ შემუშავებული სპეციალური კითხვარით ხელმძღვანელობდნენ. კითხვარი მოიცავდა 32 ინდიკატორს. ინფორმაციის შესაგროვებლად შესწავლილ იქნა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ელექტრონული და ფეისბუქგვერდები. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოხდა სატელეფონო და პირდაპირი კომუნიკაციები სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლებთან - როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო სისტემაში.

გაწეული თანამშრომლობისთვის მადლობას ვუხდით ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებს.

მონიტორინგის შეფასების ინსტრუმენტი და ელემენტი ისევ უცვლელია: გამჭვირვალობა, ეფექტიანობა, ინკლუზიურობა.

მონიტორინგი განხორციელდა აგვისტოში. პროცესი წარიმართა მიუკერძოებლად, გამჭვირვალედ და შედეგიანად, წარმოჩინდა არასამთავრობო და სამთავრობო სექტორებს შორის თანამშრომლობის დადებითი მახასიათებლები. პირველადი მონიტორინგის პრო-

ცესში გამოვლენილ გარკვეულ ხარვეზებზე მეორე მონიტორინგის დროს უკვე პროგრესი შეინიშნება გარკვეული მიმართულებით, თუმცა გამოწვევები ჯერ კიდევ დასაძლევია გამჭვირვალობის, ეფექტიანობისა და ინკლუზიურობის სრულყოფილების თვალსაზრისით. მონიტორინგის პროცესში დგინდება, რომ გამოწვევების სრულყოფილად დაძლევაში და უფრო წარმატებულ შედეგზე გასვლაში კოვიდ-19-ით გამოწვეული პრობლემები და რეგულაციები შემაფერხებელი აღმოჩნდა.

მიღებული შედეგების ანალიზი

➢ გამჭვირვალობა

გამჭვირვალობის კომპონენტში, საჯარო მმართველობის აღსრულების სისრულეში მოსაყვანად ცაგერის მუნიციპალიტეტში რიგით პირველი მონიტორინგის ჩატარების პროცესში არ იყო განსაზღვრული მერიისა და საკრებულოს თანამდებობის პირთა მიღებისა და კონსულტაციების დღეები და საათები, რითაც ნაკლები იყო მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ეფექტი. მეორე მონიტორინგის ეტაპზე აღნიშნული პრობლემა ნაწილობრივ გამოსწორდა და უმეტეს შემთხვევაში კაბინეტებზე, საინფორმაციო დაფებზე გამოიკრა მიღების დრო და საათები, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ელექტრონულ სერვისებში - ვებგვერდსა და ფეისბუქგვერდზე ინფორმაცია არ არის ასახული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა და ცაგერის მუნიციპალიტეტში, მერიაში, პირველ სართულზე მოქალაქეთა მომსახურების ბიურო გაიხსნა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ განხორციელებული პროგრამის „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ ფარგლებში.

მუნიციპალური ვებგვერდის მონიტორინგის პროცესით ირკვევა, რომ მოქალაქეებისთვის გაჩნდა ახალი შესაძლებლობა, ინფორმაციის გამოთხოვის თვალსაზრისით - ვებგვერდს დაემატა ფანჯარა „მოითხოვე ინფორმაცია“, ამოქმედდა ინფორმაციის მიღების თანამედროვე სისტემა, რომლის მიზანია მოქალაქეთა, ფერმერთა, მეწარმეთა დროული ინფორმირებულობა, ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბება და აღნიშნულ ჯგუფებზე შეტყობინების დაგზავნის სისტემა. იგი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას და შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა სუბიექტმა.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესი წარმოადგენს კარგი მმართველობის განხორციელების ერთ-ერთ წარმატებულ მოდელს, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიას, იწვევს საჯარო სექტორის მოდერნიზაციას, ზრდის საზოგადოების წინაშე ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს ანგარიშვალდებულებას და არის ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის დემოკრატიული დიალოგისა და გადაწყვეტილების მიღების ეფექტიანი პროცესი. იგი წარმოადგენს მონაწილეობითი დემოკრატიის ერთ-ერთ მოდელს, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობა იღებს გადაწყვეტილებას, თუ რისთვის უნდა გამოყოს მუნიციპალური და სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრები და შემდგომ შეამოწმოს გამოყოფილი რესურსების გამოყენების ეფექტურობა. საჯარო ბიუჯეტირების პროცესისადმი ამგვარი მიდგომა საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, იდენტიფიცირება მოახდინონ, განიხილონ და დაადგინონ საჯარო ხარჯებით დასაფინანსებელი პროექტების პრიორიტეტულობა. მონიტორინგის პროცესიდან ირკვევა, რომ აღნიშნულის მისაღწევად ცაგერის მუნიციპალიტეტში დაწყებულია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, მიმდინარეობს როგორც ტექნიკური, ასევე შინაარსობრივი მუშაობა,

გადიან სწავლებებს და ქოუჩინგებს. მონიტორინგით ცნობილი ხდება, რომ 2021 წელს ცაგერის მუნიციპალიტეტს აღნიშნულ თემებზე კარგად გაწერილი ბიუჯეტი ექნება. ამ პროცესში აქტიურად არის ჩაბმული ფონდი „გრეტა“, რომელიც საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელებთან, მერებთან და გენდერულ საბჭოს წევრებთან ერთად აწარმოებს მზადების პროცესს შეხვედრებითა და ტრენინგებით.

ისევ დასაძლევ გამოწვევად რჩება მუნიციპალიტეტში ანტიკორუფციული დებულების, გეგმების, ფინანსური და ეთიკის ქცევის დებულების არარსებობა.

➢ ეფექტიანობა

ეფექტიანობა თვითმმართველობის საქმიანობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებაა საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების მიმართულებით. მეორე მონიტორინგის დროს ირკვევა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მომსახურების ბიურო გაიხსნა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ განხორციელებული პროგრამის „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ მხარდაჭერით. საკრებულოს თანამდებობის პირებმა შეხვედრებისთვის განსაზღვრეს 3 დღე, თუმცა ელექტრონულ სერვისებზე არ მოიძებნა ინფორმაცია ამის შესახებ. მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე მთავარ ფანჯარაზე დატანილია თვალსაჩინოდ „შექმენი პეტიცია“ ანგარიში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილება რაოდენობრივად რეგისტრაციაზე არ მოიძებნა. ჯერ კიდევ არ არის დოკუმენტი თანამშრომელთა განვითარების გეგმის შესახებ. ბოლო წლის განმავლობაში ჩატარებულია 12 ტრენინგი საჯარო მმართველობის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა თემაზე. ორგანიზაციის „აქტიური მოქალაქე - ანგარიშვალდებული ხელისუფლება“ მიერ ცაგერის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს ქვეგრანტების ფარგლებში ჩაუტარდათ ტრენინგი საჯარო მმართველობის რეფორმის საკითხებზე. კოვიდ-19-ის პანდემიის საშიშროებიდან გამომდინარე, შეხვედრების რაოდენობა და გაცვლითი პროგრამით დაგეგმილი ტრენინგების რაოდენობა გასულ წელთან შედარებით შემცირებულია. თუმცა აღსანიშნავია, რომ Zoom-ის ფორმატით ონლაინ ტრენინგები მაინც ტარდება. დასაძლევი გამოწვევაა მერიის სამსახურების საქმიანობის მონიტორინგის ჩატარების ვადები და ფორმის არარსებობა.

➢ ინკლუზიურობა

მონიტორინგის 1-ლ ეტაპზე ინკლუზიურობის მიმართულებით იყო მნიშვნელოვანი ხარვეზები, თუმცა მე-2 ეტაპზეც არ გატარებულა ძირეული ცვლილებები პანდუსებისა და შშმ პირებისთვის სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. ჩვენი რეკომენდაცია არის, რომ მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს ანტიდისკრიმინაციული პრინციპით შექმნილი სამოქმედო გეგმა. შშმ პირთათვის ასევე უნდა შეიქმნას საჭირო ადაპტირებული სათანადო გარემო შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართვის უზრუნველყოფით.

ჩვენ მიერ განხორციელებული პროექტების მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ მათი უმეტესობა საერთოდ არ არის ინფორმირებული ელექტრონული სერვისების არსებობასა და ხელმისაწვდომობაზე. ჩვენი რეკომენდაციაა, მუნიციპალიტეტმა ქმედითი მექა-

ნიზმები შეიმუშაოს მოქალაქეთა ჩართულობის გასააქტიურებლად ინფორმირებულობის კუთხით.

არაფექტურია მერიის მიერ დანიშნული სამოქალაქო საზოგადოებასთან მუშაობის პირის საქმიანობა, ელექტრონულად არანაირი ინფორმაცია არ იძებნება არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების მიმართვიანობასა და აქტივობებზე. ჩვენი რეკომენდაციაა, გამარტივდეს კომუნიკაცია და ხელმისაწვდომი გახდეს ინფორმაცია ამ მიმართულებით.

ეს არის, ძირითადად, ის ინფორმაცია, რომელიც მეორე ეტაპის მონიტორინგის მანძილზე გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ სამუშაო ჯგუფები, რომლებიც აქტიურად ჩაერთენ ამ პროცესში, ეფექტურად მუშაობენ პროგრესის მისაღებად. მასში სხვა წევრებთან ერთად უშუალოდ ჩართულები არიან ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამდებობის პირები, ქვეყანაში გავრცელებულმა პანდემიამ და ცაგერის რისკ ზონად გამოცხადებამ შეაფერხა პროცესი უკეთესი შედეგების მიღების თვალსაზრისით.

ცვლილებები ხილვადია უკეთესობისკენ, თუმცა წინ კიდევ რჩება გამოწვევები და ხარვეზი საჯარო მმართველობის რეფორმის სრულყოფილი განვითარებისთვის.

➢ დასკვნა და რეკომენდაციები

მიღწევები: მეწარმე ქალთა ფონდის ხელმძღვანელობით მეორე მონიტორინგი ჩაატარეს ორი ორგანიზაციის - „ცაგერის ქალთა უფლებებისა და თანასწორობის ცენტრი“ და „აქტიური მოქალაქე - ანგარიშვალდებული ხელისუფლება“ - წარმომადგენლებმა. მეორე მონიტორინგის შედეგებით ვლინდება, რომ პირველი მონიტორინგის დროს გამოკვეთილ ხარვეზებში საჯარო მმართველობის განხორციელების გამჭვირვალობის, ეფექტიანობის და ინკლუზიურობის თვალსაზრისით არის წინგადადგმული პროგრესული ნაბიჯები, თუმცა რჩება დასაძლევი გამოწვევებიც, რომლებზე მუშაობასაც ცაგერის მუნიციპალიტეტი აქტიურად აგრძელებს „სამუშაო ჯგუფთან“ თანამშრომლობით. მონიტორინგის ჯგუფისთვის საკმაოდ კომფორტულია მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებთან ინტერვიუებისა და მონიტორინგის განხორციელება, რადგან ისინი მზად არიან, გაითვალისწინონ სასარგებლო და კანონმდებლობის შესაბამისი რეკომენდაციები. რაც შეეხება ცვლილებებს, აცხადებენ, რომ მზად არიან, რეკომენდაციები გაითვალისწინონ და ასახონ შესაბამისი ნორმატიული აქტებით, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ შექმნილი ეპიდვითარება ხელს უშლის მუნიციპალიტეტის გამართულ საქმიანობას.

დასაძლევი გამოწვევები: მონიტორინგის პროცესით გამოვლენილია, რომ ბიუჯეტი არის ზოგადი, მერიას არ გააჩნია სოციალური, გენდერული და მონაწილეობითი ბიუჯეტი, არ არსებობს ონლაინ რეჟიმში საჩივრის ან წინადადების გამოქვეყნების მექანიზმი, არ არსებობს ფინანსური რეგულაციები, დებულება ეთიკის ქცევის შესახებ, ანტიკორუფციული გეგმა-დებულება.

რეკომენდაციები:

ცაგერის მუნიციპალიტეტის საქმიანობის **გამჭვირვალობის, ეფექტიანობისა და ინკლუზიურობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭიროა:**

გამჭვირვალობა

1. ვებგვერდზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს საჯარო მოხელეების, თანამდებობის პირების მიერ მოქალაქეთა მიღების კონკრეტული დღეებისა და საათების განთავსება;
2. მუნიციპალიტეტის ანტიკორუფციული გეგმის და ანტიკორუფციული დებულების შემუშავება და ვებგვერდზე განთავსება;
3. ელექტრონული მომსახურების გაუმჯობესება და მოქალაქეთა მხრიდან უკუკავშირის დამყარება.

ეფექტიანობა

1. მუნიციპალური მომსახურების შეფასებისთვის საჭირო ფორმების შემუშავება;
2. კომპეტენციის გაზრდა გენდერული ბიუჯეტირების შესახებ და გენდერული ბიუჯეტის ცალკე გაწერა;
3. მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვა, მოქალაქეთა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობის ხელშეწყობა;
4. ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება შეხვედრების, ტრენინგების და მათ შედეგად მიღებული გამოცდილების შესახებ;
5. თემების განსაზღვრა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

ინკლუზიურობა

1. საჯარო მოხელეების სრულფასოვანი ინფორმირება ინკლუზიურობის შესახებ სახელმწიფო კანონმდებლობის თაობაზე;
2. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის ხელშეწყობა;
3. ცაგერის მუნიციპალიტეტის შენობის ადაპტირება შშმ პირების საჭიროებების გათვალისწინებით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის განხორციელების მეორე მონიტორინგის ანგარიში

➢ შესავალი

ელექტრონული მმართველობის სისტემების დანერგვას რეგიონებში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებს მოშორებულ ლოკაციებში, სასოფლო დასახლებებში მნიშვნელოვნად აფერხებს ინტერნეტის მიწოდების არარსებობა ან/და ხარისხის დაბალი მაჩვენებელი, ინტერნეტ მომსახურების მაღალი საფასური, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ტექნიკურ საშუალებებზე (კომპიუტერი, სმარტფონი და ა.შ.) შეზღუდული ხელმისაწვდომობა და ტექნოლოგიების მოხმარების სუსტი უნარ-ჩვევები. რეფორმის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების და, ზოგადად, მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა და ჩართულობა მონიტორინგის განხორციელების პროცესში დამატებით წინაღობას ქმნის საჯარო მმართველობის რეფორმის წარმატებით გატარებისათვის. შესაბამისად, რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, მისი აქტიური ჩართულობით პოლიტიკური დიალოგის წამოწყება და რეფორმის მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესში მონაწილეობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს.

მონიტორინგის მიზანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების მონიტორინგი უკვე მეორედ ტარდება. ზოგადად, მონიტორინგის მიზანია ადგილობრივი ხელისუფლების ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის ხარისხის შესწავლა, ადგილებზე ელექტრონული მმართველობის პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციასა და მიგნებებზე დაყრდნობით, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და შეთავაზება. კონკრეტულად, მეორე მონიტორინგის მიზანია: პირველი მონიტორინგის შედეგად მიღებული დასკვნების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების ხარისხის, მიმდინარე პროგრესის გამოვლენა და ახალი დასკვნების შემუშავება, შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი რგოლებისათვის.

კვლევის მეთოდოლოგია

მეორე მონიტორინგი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2020 წლის 5–13 აგვისტოს პერიოდში განხორციელდა. რეფორმის მიმდინარეობა შეფასდა მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდისა და პროექტის ფარგლებში შექმნილი აპლიკაციის www.lcman.ge მონიტორინგის, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზისა და მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკის ადგილებზე დაკვირვების საფუძველზე. ინფორმაციის მოძიებისა და გადამოწმების დამატებით საშუალებებად გამოყენებულ იქნა მუნიციპალური ორგანოების წარმომადგენლებთან სატელეფონო კომუნიკაცია, პირადი შეხვედრები და ოფიციალური ონლაინ წყაროები, რომლებიც კონკრეტული საკითხის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციას შეიცავდა.

მიღებული შედეგების ანალიზი

მონიტორინგის ინდიკატორები განხილული იყო სამი ძირითადი ელემენტის თანახმად: გამჭვირვალობა, ეფექტიანობა, ინკლუზიურობა.

➢ გამჭვირვალობა

მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებელს წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე არის სპეციალური აპლიკაცია, რომლითაც შესაძლებელია ინფორმაციის გამოთხოვა როგორც საკრებულოდან, ისევე მერიიდან, მაგრამ, მიუხედავად საძიებო სისტემაში არსებული მინიშნებისა „საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გასაჩივრების წესი“, შესაბამისი ჩანაწერი მუნიციპალიტეტის ვებპლატფორმაზე არ მოიპოვება არც მეორე მონიტორინგის პერიოდში.

საინტერესოა განყოფილება „განცხადებები ვაკანსიების შესახებ“. ონლაინ განცხადებების განყოფილება ვაკანსიების თაობაზე ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, თუმცა იქ იძებნება ერთადერთი განცხადება, დათარიღებული 2019 წლის 29 ოქტომბრით. არსებული სიტუაცია ვერ პასუხობს დადგენილ წესს, რომლის მიხედვით ინფორმაცია მუნიციპალიტეტში გამოცხადებული კონკურსის წესით შესავსები ვაკანტური თანამდებობების შესახებ ქვეყნდება კონკურსის გამოცხადებიდან მომდევნო სამუშაო დღეს. მიუხედავად რეკომენდაციისა, ახალი ვაკანსიები არ გამოქვეყნებულა არც პირველი მონიტორინგის შემდეგ. რადგან ჯერ კიდევ პრობლემურია სასოფლო დასახლებებში ინტერნეტის არსებობა და კომპიუტერული ტექნოლოგია, მნიშვნელოვანია, როგორც საკრებულოს, ასევე მერიის ვაკანსიები გამოცხადდეს ადგილობრივი ბეჭდვითი მედიითაც (4 გაზეთი).

მუნიციპალიტეტში არსებობს ონლაინ რეჟიმში საჩივრის ან წინადადების წარდგენის მექანიზმი. მოპოვებული ინფორმაციით, წარდგენილი იყო ორი საჩივარი, თუმცა ვებგვერდზე ისინი არ არის განთავსებული.

მუნიციპალიტეტში ხდება შემოსული კითხვების რეესტრის წარმოება, სადაც მოცემულია კითხვის შემოსვლის დრო, კითხვის შინაარსი, ადრესატი, საჯარო დაწესებულების დასახელება. ამავდროულად, თითოეული კითხვის შემთხვევაში აღნიშნულია, როდის გაიცა პასუხი. დაკვირვებით გამოვლინდა, რომ შემოსულ წერილებზე პასუხის გაცემის საშუალო ვადაა 4-5 დღე.

მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ონლაინ ფინანსური ანგარიშები: დამტკიცებული ბიუჯეტი, ბიუჯეტის შესრულების 3, 6, 9 თვის ანგარიშები, წლიური ანგარიში, შესყიდვის გეგმა და ანგარიში.

მუნიციპალიტეტის ვებგვერდი მოიცავს ამომწურავ საჯარო ინფორმაციას შემდეგი მიმართულებითაც: თანამდებობის პირების ბიოგრაფიები; საკრებულო/მერიის სხდომების დღის წესრიგი; საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები; საკრებულოს დადგენილებები; სხვადასხვა დეპარტამენტის/განყოფილების ანგარიშები. საკრებულოსგან განსხვავებით, თითქმის არანაირი ანგარიში არ მოიპოვება მერიის საქმიანობაზე.

მეორე მონიტორინგით გამოვლინდა, რომ მოქალაქეების მიღების/ღია კონსულტაციების დღეები განსაზღვრული აქვთ: მერს, მერის მოადგილეს. განსხვავებით პირველი მონიტორინგისაგან, საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, დეპუტატებს, დეპარტამენტების მოადგილეებს მიღების დღე უკვე არ აქვთ განსაზღვრული და მოქალაქეს შეუძლია, დაუყოვნებლივ მივიდეს მათთან.

პირველი მონიტორინგის შემდეგ, საქართველოს სასოფლო დარბაზის პროექტის ფარგლებში ამუშავდა ახალი აპლიკაცია www.lcman.ge, სადაც საჯაროდ განთავსებულია საკრებულოს წევრების, კომისიებისა და ფრაქციების, ასევე აპარატის სრული საკონტაქტო ინფორმაცია.

➢ ეფექტიანობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პირველი მონიტორინგის დროს არ იყო დანერგილი სამოქალაქო ბიუჯეტირება. თუმცა მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობდა და, შესაბამისად, მეორე მონიტორინგის დროს სამოქალაქო ბიუჯეტირება უკვე ამუშავებულია. საკრებულოს მიერ დამტკიცებულია მონაწილეობითი ბიუჯეტირების დებულება, შეიქმნა მონაწილეობითი ბიუჯეტირების მართვის ვებგვერდი www.idealanchkhui.ge. გამოცხადებულია იდეების კონკურსი, რომელიც დასრულდება 2020 წლის 21 აგვისტოს, რის შემდგომაც შესაძლებელი გახდება ხმის მიცემის პროცესის ორგანიზება და მონაწილეობითი წესით გამარჯვებული იდეების გამოვლენა.

მეორე მონიტორინგამდე მონაწილეობითი ბიუჯეტირების თემაზე ლანჩხუთში ჩატარდა ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებისა და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებისათვის. ტრენინგი მიზნად ისახავდა მოქალაქეთა მონაწილეობით ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის მოდელებისა და ფორმების სწავლებას. მასმედიით და სოციალური ქსელებით ინტენსიურად ქვეყნდება ინფორმაცია საპროექტო იდეების მიღების თაობაზე.

საფინანსო სამსახურიდან მიღებული ინფორმაციით, მონაწილეობითი ბიუჯეტისთვის 2021 წელს გამოიყოფა სულ მცირე 70 000 ლარი. რაც შეეხება სოციალურ ბიუჯეტს, იგი შეადგენს ბიუჯეტის 5%-ს. მათივე ცნობით, მუნიციპალიტეტს აქვს გამოყოფილი გენდერული ხარჯები. ის შეადგენს 5000 ლარს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ლანჩხუთის ბიუჯეტში არის მკაფიოდ გამოკვეთილი გენდერული პროგრამები, რომლებიც ჩაშლილია სხვა მიმართულებებში და ბიუჯეტის გენდერული ინდექსით შესწავლის შემთხვევაში მათ საკმაოდ მაღალი ნიშნული ექნებათ. მაგალითად, ძუძუს კიბოთი დაავადებული ქალების სარეაბილიტაციო პროგრამა, ქალთა საფეხბურთო კლუბის დაფინანსება.

მონიტორინგის პროცესში მერიისგან და საკრებულოს წევრებისგან მოპოვებული ინფორმაციით, არც მეორე მონიტორინგის მიმდინარეობისას მუნიციპალიტეტში არ არის მიღებული ანტიკორუფციული ზომები. ვებგვერდზე არ იძებნება ანტიკორუფციული გეგმები, ანტიკორუფციული დებულება, ფინანსური რეგულაციები, დებულება ეთიკური ქცევის შესახებ.

მონიტორინგის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუ მერის მოადგილესთან, მომსახურების ცენტრის სპეციალისტთან, საკრებულოს აპარატის უფროსთან. მიღებული ინფორმაციით, განსაზღვრულია თვის მანძილზე შეხვედრებისთვის გამოყოფილი დღეების რაოდენობა მერიასა და საკრებულოში: მერთან, მერის მოადგილესთან, მერთან - 4, მერის მოადგილესთან - 12 დღე. მეორე მონიტორინგის დროს საკრებულოს თავმჯდომარესთან, თავმჯდომარის მოადგილესთან, დეპუტატთან, სამსახურის უფროსებთან უკვე მთელი თვის მანძილზე - შეუზღუდავად.

მოპოვებული ინფორმაციით, საჩივრებზე პასუხის მიღებისთვის დღეების საშუალო რაოდენობა განსაზღვრულია 10 დღით. გასულ წელს დაფიქსირდა 2 საჩივარი. პასუხს საშუალოდ დასჭირდა 7 დღემდე ვადა. საგულისხმოა, რომ ვებგვერდზე არის შესაბამისი გრაფა, მაგრამ არანაირი ინფორმაცია არ იძებნება.

„საჩივრების“ განყოფილების გარდა, მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ფიქსირდება სხვა ელექტრონული მომსახურებაც: წერილების წარდგენა, პეტიციები. ვებგვერდზე განთავსებულია ერთი პეტიცია „გურული მხედრების სახელობის მოედანი ლანჩხუთში“ . მეორე მონიტორინგის დროს ამ პეტიციის მოთხოვნა უკვე შესრულებული იყო. მოედანს დაერქვა გურული მხედრების სახელი.

ცალკე აღნიშვნა სჭირდება საქართველოს სასოფლო დარბაზის მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან პირველი მონიტორინგის შემდეგ პერიოდში შექმნილ აპლიკაციას „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ელექტრონული მენეჯერი“, რომლის საშუალებითაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს შეუძლიათ: წინასწარ მიიღონ ინფორმაცია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისა და ნებისმიერი სხვა ღონისძიების შესახებ; წერილი მისწერონ საკრებულოს წევრს და მიიღონ პასუხი; მოძებნონ და გაეცნონ საკრებულოს სხდომისა და სხვა ნებისმიერი, უკვე ჩატარებული ღონისძიების დოკუმენტაციას; თვალი შეავლონ საკრებულოს წევრების აქტიურობისა და პასუხისმგებლობის სტატისტიკას; მოიძიონ საკრებულოს წევრების, კომისიებისა და ფრაქციების, აპარატის საკონტაქტო ინფორმაცია.

პირველი მონიტორინგის შემდეგ ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრის პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის შემუშავდა საჯარო მოხელეთა გადამზადების საშუალოვადიანი სტრატეგია, რომელსაც უახლოეს სხდომაზე დაამტკიცებს საკრებულო.

ლანჩხუთის HR განყოფილების უფროსთან ინტერვიუს თანახმად, მუნიციპალიტეტში გააზრებულია ამ საკითხის მნიშვნელობა. დეპუტატებისთვის, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლებისთვის ჩატარებული ტრენინგები გაიარა საკრებულოს წევრების 100%-მა, საკრებულოს აპარატის 70%-მა, მერიის სამსახურების წარმომადგენელთა 45%-მა. ტრენინგები გაიმართა ისეთ თემებზე, როგორებიცაა: პროგრამული ბიუჯეტირება, საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია, ადგილობრივი თვითმმართველობა და ადგილობრივი განვითარების ჯგუფები. ბოლო ტრენინგები ჩაატარა ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრმა. მათ შორის, საკრებულოს წევრებისთვის ჩატარდა შიდა ტურიზმის განვითარების, ხოლო წევრებისა და აპარატისთვის www.lcman.ge აპლიკაციის მართვის ტრენინგი.

თვითმმართველობებთან საუკეთესო პრაქტიკის/გამოცდილების გაზიარების მიზნით, გასული წლის მანძილზე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა სხვა ადგილობრივ თვითმმართველობებთან მხოლოდ რამდენიმე შეხვედრის გახსენება შეძლეს, რომლებიც, ძირითადად, ორგანიზებული იყო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

მონიტორინგის თანახმად, მუნიციპალიტეტში არსებობს სხდომების ჩატარების წლიური, კვარტალური გეგმა. სხდომები ტარდება რეგლამენტის შესაბამისად. ვებგვერდზე და www.lcman.ge-ზე განთავსებულია ანონსები დაგეგმილი სხდომების თაობაზე და დევს ოქმები. გარდა ამისა, www.lcman.ge-ზე რეგისტრირებულ მომხმარებელს ელექტრონულ ფოსტაზე წინასწარ მისდის ინფორმაცია ჩასატარებელი აქტივობების თაობაზე.

აპლიკაციას www.lcman.ge აქვს ინტრანეტის ფუნქცია. შესაბამისად, მისი მეშვეობით საკრებულოს ყველა წევრსა და აპარატს შეუძლია ერთმანეთთან ელექტრონული კომუნიკაცია.

მონიტორინგის მასალებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დადგენილია მერიის სამსახურების საქმიანობის შესწავლის ვადები და ფორმა.

მერიის შიდა აუდიტის სამსახური უფლებამოსილია: მერიის სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ჩაატაროს სისტემური, შესაბამისობის, ეფექტიანობის, ფინანსური და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება გაირკვეს, თუ რამდენად შეესაბამება მათი საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად ხდება დაფინანსების გამოყენება, რამდენად სრულყოფილად არის დანერგილი მართვის და კონტროლის მექანიზმები და სხვა.

➢ ინკლუზიურობა

ლანჩხუთის ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი HR განყოფილების უფროსთან, საკრებულოს აპარატის უფროსთან ინტერვიუს თანახმად, საკმაოდ მაღალია: მერიაში - 54%, საკრებულოში - 78%. პირველი მონიტორინგის შემდეგ მდგომარეობა არ შეცვლილა.

ხელმძღვანელ თანამდებობებზე (მერი, მერის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარე, მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე) ქალთაგან მხოლოდ მერის ერთი მოადგილე და საკრებულოს ერთი კომისიის თავმჯდომარე, ერთი ფრაქციის თავმჯდომარე და აპარატის უფროსი არიან.

მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი და მათ თავისუფლად იციან სახელმწიფო ენა.

მუნიციპალიტეტში არის საკონტაქტო პირი მოწყვლად ჯგუფებთან ურთიერთობისთვის (ქალები, სოციალურად დაუცველები, იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (სმენის, მხედველობის, გადაადგილების პრობლემით). საკრებულოში ამ საკითხებს კურირებს გენდერული საბჭოს თავმჯდომარე, მერიაში - სოციალური სამსახურის სპეციალისტი.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მხოლოდ პირველ სართულზე, შესასვლელში არის მოწყობილი პანდუსები. პირველ სართულზეა განლაგებული მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი და სოციალური სამსახური, სადაც უმრავლეს შემთხვევებში უწევთ მისვლა ვიზიტორებს. თუმცა საკრებულოს სხდომებზე დასწრება და მერთან/მოადგილეებთან ვიზიტი იზღუდება, რადგან საკრებულოს სხდომა მესამე სართულზე ტარდება და მესამე სართულზევეა მერის მისაღები. გამომდინარე იქიდან, რომ შენობა აგებულია 40 წლის წინ, მისი გადაკეთება პრობლემებთან არის დაკავშირებული.

არსებობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის დადგენილება (№24) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ. ამ კუთხით, მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე მოცემული ბოლო ინფორმაცია მხოლოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომის დღის წესრიგია (30 იანვარი 2020 წელი). თუმცა ვებგვერდზე სათანადო დებულება, ინფორმაცია თავად ამ საბჭოს, მისი წევრების შესახებ ხელმისაწვდომი არ არის. არც პირველი მონიტორინგის შემდეგ ჩატარებულა სხდომა. იკვეთება, რომ აღნიშნული საბჭო სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში შეიქმნა და პროექტის დასრულების შემდეგ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, მუნიციპალიტეტმა ამ მხრივ საქმიანობა შეაჩერა.

მუნიციპალიტეტში არ მოქმედებს ნორმატიული აქტი/რეგულაცია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის ან მათთვის საჯარო მომსახურების მიწოდების შესახებ. მსგავსი რეგულაცია მუნიციპალიტეტში არ არის და არც სამომავლოდაა დაგეგმილი.

ვებგვერდზე არის განყოფილება „შშმ პირთა ინფრასტრუქტურის მოწყობის სერვისი“, „ბავშვებისა და მოხუცებისათვის სპეციალური ინფრასტრუქტურის მოწყობის სერვისი“, სადაც საძიებო სიტყვის შესაბამისი ჩანაწერი არ მოიპოვება. ზოგადად, ეს ეხება ამ განყოფილების ბევრ სხვა სერვისსაც. საქმე იმაშია, რომ მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი შექმნილია კონკრეტული შაბლონის მიხედვით, სადაც ფიქსირდება ეს განყოფილება, პრაქტიკაში კი ის არ არსებობს.

მონიტორინგით დადგინდა, რომ მერიაში და საკრებულოში არის სხვადასხვა საბჭო: მრჩეველთა საბჭო, გენდერული საბჭო. ვებგვერდზე მოცემულია ინფორმაცია გენდერული თანასწორობის საბჭოზე, კერძოდ, იძებნება წევრების სია, სამსახურებრივი პოზიცია, მაგრამ არ არის მითითებული საკონტაქტო ინფორმაცია.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის 4 დასახლებას აქვს საერთო კრებები და ჰყავს რჩეულები, ამ ადამიანებთან მერიის კომუნიკაცია აშკარად საჭიროებს გაუმჯობესებას, რადგან ის ფორმალურ სახესაც კი არ ატარებს.

ადგილობრივ თვითმმართველობაში, კერძოდ, მერიაში არ არის საკონტაქტო პირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან/სამუშაო ჯგუფებთან ურთიერთობისთვის. საკრებულოში ამ საკითხს კურირებს აპარატის უფროსი.

ვებგვერდის შესაბამის გრაფაში არ იძებნება ინფორმაცია არც ერთი პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის შესახებ.

საკრებულოს მიერ პერიოდულად იქმნება სამუშაო ჯგუფები. მაგალითად, გასულ წელს იყო შექმნილი სამუშაო ჯგუფი სოფელ გრიგოლეთის სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით. ამ ჯგუფმა მოამზადა და საკრებულომ პირველი მონიტორინგის შემდეგ დაამტკიცა გრიგოლეთის განვითარების საშუალოვადიანი სტრატეგიული გეგმა.

➢ დასკვნა და რეკომენდაციები

- უმნიშვნელოვანესია, მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს კომუნიკაციის სტრატეგია, რათა მოსახლეობა სრულად იყოს ინფორმირებული საჯარო მმართველობის რეფორმის შესახებ. კომუნიკაციის სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია უნდა გახდეს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება მუნიციპალური სერვისების ელექტრონულად მიწოდების ეფექტურობის აღქმაში. სტრატეგიის შემუშავების პროცესში მუნიციპალიტეტმა უნდა ჩართოს არასამთავრობო სექტორი და მედიასაშუალებები, როგორც დაინტერესებული მხარეები;
- რადგან მოსახლეობა თვლის, რომ უმთავრესად ინფორმაციას იღებს არასამთავრობო სექტორისგან, კონკრეტული პროექტების მეშვეობით უნდა გაძლიერდეს მისი, როგორც კომუნიკატორის როლი ამ პროცესში, რომელსაც მეტი გამჭვირვალობის მისაღწევად დააფინანსებს ადგილობრივი ბიუჯეტი;
- ინფორმაციის გავრცელების ძირითად წყაროებს მუნიციპალიტეტის მიერ უნდა დაემატოს ბეჭდვითი მედია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსახლეობის ინფორმირებაში;
- მუნიციპალიტეტის მიერ შესაძლებელი უნდა გახდეს ისეთი ონლაინ სერვისების აქტივაცია, როგორებიცაა: მშენებლობის ნებართვა, სასოფლო და არასასოფლო მიწის რეგისტრაცია, ერთჯერად დახმარებებზე და სხვა მუნიციპალურ სერვისებზე რეგისტრირება, რაც არა მარტო გამჭვირვალობას, არამედ სერვისის რეალურ გაუმჯობესებას უზრუნველყოფს;
- უნდა გამარტივდეს ინფორმაციის მოძიების, შეკითხვების დასმისა და უკუკავშირის ელექტრონულად წარმოება. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, თუნდაც ვიდეოფაილების მეშვეობით, აიმაღლონ ინფორმაციის მოპოვების უნარები და ცოდნა. უნდა გაიზარდოს მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხი ინფორმაციის არსებულ წყაროებზე. ეს საქმიანობა მუნიციპალიტეტმა უნდა განახორციელოს სფეროს კვალიფიციურ ექსპერტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად;
- გამომდინარე იქედან, რომ მუნიციპალიტეტში 54 დასახლებაა, რომელთა 60%-ს, ოფიციალური სტატისტიკის შესაბამისად, ხელი არ მიუწვდება ონლაინ სერვისებზე, მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ განახორციელოს ადვოკატირება შესაბამის სტრუქტურებთან სოფლებში ინტერნეტ სერვისების მიწოდების მიმართულებით;

- რადგანაც კლასიფიცირებული ბიუჯეტი, ფინანსური ანგარიშები მნიშვნელოვანწილად გაუგებარია რიგითი მოქალაქისთვის, მნიშვნელოვანია, ისინი გამოქვეყნდეს ინფოგრაფიკების სახითაც;
- სერვისების ელექტრონული ფორმით გაცემის ეფექტურობის გასაზრდელად, აუცილებელია, მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს სრული ინფორმირების განხორციელების კონკრეტული გეგმა და, ამავდროულად, ელექტრონული მთავრობის მარტივი და ადვილად გასაგები პროგრამული უზრუნველყოფა. მოქალაქეების მიერ ელექტრონული მიმართვის ფორმების ცნობადობის გასაზრდელად, მნიშვნელოვანია მათთვის ამ სერვისის შესახებ ინფორმაციის აქტიური მიწოდება მერის წარმომადგენლებისა და ადგილობრივი მედიის გამოყენებით;
- მნიშვნელოვანია, შეიქმნას მუნიციპალიტეტის არსებული სოციალური პროგრამების საჯაროობის და დაშვებადობის ელექტრონული მხარდაჭერა;
- სავალდებულო უნდა გახდეს დასახლების საერთო კრებების რეგისტრაცია ყველა სოფელში. ეს ხარისხობრივად გაზრდის ანგარიშვალდებულებას და მონაწილეობას;
- მნიშვნელოვანია, კონკრეტულმა სპეციალისტებმა შეისწავლონ ადგილობრივი გადაწყვეტილებები, იპოვონ მათში კორუფციული ხვრელები და შექმნან შესაბამისი ანტიკორუფციული რეგულაციები;
- სერვისის გაუმჯობესებისთვის საჭიროა მოქალაქეთა მომსახურებით კმაყოფილების ხარისხის კვლევების პერიოდული ჩატარება;
- საჭიროა მეტი კომუნიკაცია საქართველოს თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან;
- საჭიროა, ჩამოყალიბდეს მერიის სამსახურების მონიტორინგის კონკრეტული გრაფიკი;
- აუცილებელია თანხების გამოძებნა მუნიციპალიტეტის შენობის პანდუსებით აღჭურვისათვის;
- აუცილებელია, მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მერიამ შეიმუშაონ მოსახლეობასთან შეხვედრების მკაცრად გაწერილი და შესრულებადი გრაფიკი, რაც ორიენტირებული იქნება როგორც მოსახლეობის წარმომადგენლების ჩართულობაზე, ასევე ხელისუფლების პერმანენტულ ანგარიშგებაზე კონკრეტულ დასახლებაში;
- მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობის, მოსალოდნელი შედეგების გააზრებისთვის და უნარ-ჩვევების მისაღებად უნდა განხორციელდეს საჯარო მოხელეების ტრენინგები, რაც გაზრდის მათ კომპეტენტურობას და უნარებს კომუნიკაციის, ფასილიტაციისა და პრეზენტაციის მიმართულებით;

- მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის მიერ ამოქმედდეს დასახლების საერთო კრებები. ეს კარდინალურად გაზრდის როგორც მოსახლეობის ჩართულობას, ასევე საჯარო სტრუქტურების ანგარიშვალდებულებას. უკვე არსებულ 4 დასახლების საერთო კრებასთან და მათ რჩეულებთან უნდა არსებობდეს პერმანენტული კომუნიკაცია, როგორც ეს თვითმმართველობის კოდექსითაა განსაზღვრული;
- უნდა შემუშავდეს მოსახლეობისთვის ონლაინ სერვისების გაწევის პლატფორმები და შესაძლებლობები;
- ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა გააგრძელონ მოსახლეობის ადვოკატირების პროექტები ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან;
- ადგილობრივმა ხელისუფლებამ ბიუჯეტის დაგეგმვისას მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს სოციალურ პროგრამებს, განსაკუთრებით, შშმ პირებისთვის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას;
- მნიშვნელოვანია, სამოქალაქო ბიუჯეტისთვის გამოყოფილი ასიგნებები 0,47%-დან გაიზარდოს 5%-მდე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) საგზაო რუკის განხორციელების მეორე მონიტორინგის ანგარიში

➢ შესავალი

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი მახასიათებელი საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებაა, რაც განაპირობებს დემოკრატიულ ქვეყნებში ბოლო წლებში ინფორმაციის თავისუფლების მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას.

სახელმწიფო ვალდებულია, ემსახუროს და ანგარიშვალდებული იყოს ხალხის წინაშე. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ მოქალაქეს ხელი მიუწვდებოდეს ნებისმიერ საჯარო ინფორმაციაზე და იცოდეს, თუ როგორ იხარჯება სახელმწიფოს ბიუჯეტი, როგორ ხდება სახელმწიფო ქონების განკარგვა, როგორ განისაზღვრება საჯარო პოლიტიკა. სწორედ ეს მისცემს საზოგადოებას შესაძლებლობას, თავად მონაწილეობდეს საჯარო პოლიტიკის შემუშავებაში.

საჯარო მმართველობის რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა (PAR). მისი მიზანია, ხელი შეუწყოს დეცენტრალიზაციის პროცესის გაუმჯობესებას და ადგილობრივ დონეზე უკეთესი მმართველობის უზრუნველყოფას. PAR-ის ახალი, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ორი მთავარი მიმართულებაა:

1. თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილების გაფართოება;

2. ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტში ელექტრონულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მონიტორინგის მიზანი

პროექტი „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“ გამიზნულია, დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის შექმნისა და გაძლიერების გზით, უზრუნველყოს საზოგადოების ჩართულობა და კონტროლი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და გურიის 8 მუნიციპალიტეტში, საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების მონიტორინგის პროცესზე.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია აღნიშნული მონიტორინგის ოთხ ეტაპად ჩატარება. პირველი ეტაპი ჩატარდა 2020 წლის იანვარ-თებერვალში, მეორე ეტაპი კი - ამავე წლის აგვისტოში.

ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის ხარისხის შესწავლა მოხდა პროექტის პარტნიორების მიერ, წინასწარ შემუშავებული მონიტორინგის მექანიზმისა და კითხვარების საფუძველზე, რომელიც შეფასების 32 სხვადასხვა კრიტერიუმს და ინდიკატორს აერთიანებდა. რეფორმის მიმდინარეობის შეფასება ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტების ოფიციალური ვებგვერდების მონიტორინგის, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან გამოთხოვილი სა-

ჯარო ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. ინფორმაციის მოძიებისა და გადამოწმების დამატებით საშუალებებად გამოყენებულ იქნა: მუნიციპალური ორგანოების წარმომადგენლებთან სატელეფონო კომუნიკაცია, პირადი შეხვედრები და ოფიციალური ონლაინ წყაროები, რომლებიც კონკრეტული საკითხის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციას შეიცავდა.

წინამდებარე ანგარიში ასახავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს, რომელიც ჩატარდა **„განათლებისა და თანასწორობის ცენტრისა“** და **„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“** მიერ კურატორი ორგანიზაციის - **იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირ „სპექტრის“** მხარდაჭერით.

მიღებული შედეგების ანალიზი

მონიტორინგის ინდიკატორები განხილული იყო სამი ძირითადი ელემენტის თანახმად: გამჭვირვალობა, ეფექტიანობა, ინკლუზიურობა.

➢ გამჭვირვალობა

პროექტის ფარგლებში ჩატარებული მონიტორინგის მეორე ეტაპის შედეგად გამოიკვეთა, რომ:

1. მოცემულ ეტაპზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მიერ გამოცხადებული ვაკანსიები ვებგვერდზე განთავსებული არ არის.
2. მერიის სტრუქტურის ცხრილში ზოგიერთი პოზიცია ვაკანტურია, თუმცა ვაკანსიების ველში ინფორმაცია არ იძებნება (https://matsne.gov.ge/ka/document/view/3646700?publication=0 http://ozurgeti.mun.gov.ge/?cat=86).
3. აღნიშნულ გვერდებზე უკვე სრულად არის შესაძლებელი მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის, საკონტაქტო პირების, მათი სატელეფონო ნომრების, ელექტრონული ფოსტის მოძიება, აღნიშნული ინფორმაცია წინა მონიტორინგის დროს არ ხერხდებოდა.

პირველი მონიტორინგის შემდეგ მიღწეული პროგრესი:

- გამოქვეყნებულია ე.წ. „სტრუქტურული ხე“ იერარქიის დასახელებებითა და ვიზუალური ხატულებით;

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე არსებობს ონლაინ საჩივრის ან წინადადების გაკეთების ფანჯარა. აღნიშნული სივრცე ქმედითია და მოქალაქეებს თავისუფლად შეუძლიათ სარგებლობა. თვალსაჩინო შედეგებია ონლაინ რეჟიმში სხდომების პირდაპირი ტრანსლაციების, ელექტრონული პეტიციების, „იყავი თანამმართველის“ პროცესში წინადადებების წარდგენის მხრივ. იგეგმება ვებგვერდზე ონლაინ საჩივრის წარდგენის მოდულის ჩაშენებაც (http://ozurgeti.mun.gov.ge/?da–image=173; http://petition.lsg.ge/ozurgeti/; https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSfO0L3newl3Q-m6NZLu-1W3qDHXRMiMZFP9Ix8OvXBGYZe-rQ/viewform; https://votes.oz.gov.ge/).

- მუნიციპალიტეტის გვერდებზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, შესყიდვების გეგმის და ანგარიშის შესახებ. ინფორმაცია ბიუჯეტის 3, 6, და 9 თვის შესრულების ანგარიშის შესახებ შესაძლებელია ინახოს შემდეგ ბმულზე: http://ozurgeti.mun.gov.ge/?cat=67. აღნიშნული ინფორმაცია ქვეყნდება კანონით დადგენილი ნორმებისა და ვადების დაცვით.

- ოზურგეთის მერიასა და საკრებულოში მუშაობს ცხელი ხაზი: +995 577309925.

1. მონაწილეობითი ბიუჯეტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში მონაწილეობითი ბიუჯეტის თანხა გაზრდილია და შეადგენს 300 000 ლარს. ვებგვერდზე მოქმედი პლატფორმის საშუალებით მოხდა მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობა, რაც გამოიხატა ცალკეულ პროექტებზე ელექტრონული ხმის მიცემით (იხილეთ ლინკი http://votes.oz.gov.ge/).

2. სოციალური ბიუჯეტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრულია ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, მოქმედებს ჯანდაცვის 15 პროგრამა. სოციალური და ჯანდაცვის 2020 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია 1 800 000 ლარით. საკრებულოს მიერ დამტკიცებულია დადგენილება 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

3. გენდერული ბიუჯეტი

მიმდინარე წლის ბიუჯეტით გენდერული პროექტებისთვის გამოყოფილია 20 000 ლარი. გასულ წელთან შედარებით გაიზარდა მოწყვლადი ჯგუფების დაფინანსება.

მიღწეული პროგრესი:

ინოვაციური პროექტი „იყავი თანამმართველი“ პირდაპირი დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფორმაა და ხორციელდება ოზურგეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში. პროექტი მიზნად ისახავს ხმის ელექტრონული ვაუჩერებით პროექტების დაფინანსებას. სპეციალურად ამ პროექტისთვის შეიქმნა პლატფორმა https://votes.oz.gov.ge/, სადაც ქალაქ ოზურგეთის საზღვრებში რეგისტრირებულმა ამომრჩევლებმა, ხმის ელექტრონული ვაუჩერებით ონლაინ კენჭისყრით, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება თავად მიიღეს (https://votes.oz.gov.ge/dadgenileba–2020–1.pdf; http://oz.gov.ge/pictures/dadgenileba–2020–1.pdf/dadgenileba–2020–1–dn.pdf).

2020 წლის იანვარ-თებერვალში ჩატარებული მონიტორინგის დროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარეობდა მუშაობა ანტიკორუფციულ დებულებასა და ფინანსურ რეგულაციებზე. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამტკიცებული იყო გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. საკრებულოს წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს მუშაობა

ანტიკორუფციულ გეგმაზე, დებულებებსა და ფინანსურ რეგულაციებზე. იხ. ბმული: http://ozurgeti.mun.gov.ge/ge/pages/view/sakrebulos-gankargulebebi-2?fbclid=IwAR3ehoTsnCEozH2zYg2fE4QxDvSOffRry0tKJX2Ir6C2xTynUNcxgqx–ft4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა, პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად, შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მოამზადა და საკრებულოს სხდომაზე დაამტკიცა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“. ასევე, USAID GGI მხარდაჭერით, შეიქმნა და დამტკიცდა სტრატეგიის მონიტორინგის ჩარჩო და შეფასების მეთოდოლოგია. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ჯერჯერობით პირველია, რომელსაც აქვს მსგავსი სახელმძღვანელო, ანტიკორუფციული დოკუმენტი. იხ. ბმულები: http://oz.gov.ge/pictures/gankarguleba–2019–90.pdf; http://oz.gov.ge/pictures/gankarguleba– 2019–90–dan.pdf

➢ ეფექტიანობა

მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის ეფექტიანობა რამდენიმე ინდიკატორის მიხედვით. საზოგადოებრივი ჩართულობის მაღალი ხარისხი განაპირობებს ადგილობრივი რესურსების სწორ და ეფექტურ ათვისებას.

მოქალაქეებთან კომუნიკაციის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსაზღვრულია დღეების რაოდენობა თვის მანძილზე მერიასა და საკრებულოში შეხვედრებისათვის: მერთან, მერის მოადგილესთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან, თავმჯდომარის მოადგილესთან, დეპუტატთან, დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან. 2019 წელს მიღებაზე მოსულ 4 000-ზე მეტ მოქალაქეს გაეწია მომსახურება. გარდა ამისა, მოქალაქეებს მერიის თანამდებობის პირებთან პირდაპირი კომუნიკაციის საშუალება კვირის ნებისმიერ დღეს აქვთ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ყოველწლიურად ამტკიცებს საკრებულოს წევრების მიერ მოქალაქეთა მიღებისა და შეხვედრის გრაფიკებს, რომლებიც გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში საინფორმაციო დაფაზე.

(http://oz.gov.ge/pictures/brzaneba–2020–2–dan.pdf; http://oz.gov.ge/pictures/brzaneba–2020–3.pdf

http://oz.gov.ge/pictures/brzaneba–2020–3–dan.pdf)

საჩივრებზე პასუხის მიღებისთვის დღეების საშუალო რაოდენობა 3-10 დღეა. მოქალაქეს აქვს საშუალება, ინფორმაცია მიიღოს როგორც ონლაინ რეჟიმში, ასევე პირდაპირი წესითაც.

ვებგვერდის მონიტორინგის შედეგად ჩანს ხელმისაწვდომი ელექტრონული მომსახურების ჩამონათვალი, არის განყოფილებები: მოითხოვე საჯარო ინფორმაცია, ყოველწლიური ანგარიში, სამართლებრივი აქტები, სხდომის ოქმები, საუწყებო არქივი, მუნიციპალური შესყიდვები, მუნიციპალური ქონება, მუნიციპალური პროგრამები, პრიორიტეტები, სამუშაო გეგმები და ანგარიშები, საზოგადოებრივი მომსახურება,

ცნობები, პეტიცია, ადმინისტრაციული საჩივრები, დასაქმებულ პირთა ოდენობა, ვაკანსიები.

აღსანიშნავია, რომ ვებგვერდზე დასაქმებულ პირთა შესახებ ინფორმაცია მოცემულია გენდერულ ჭრილში.

მუნიციპალიტეტში საქმიანობის ხარისხიანად წარმართვის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროსთან შეთანხმებით, დაინერგა პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების სისტემა, რომელიც ხორციელდება პროცედურების სრული დაცვით.

ტრენინგები ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის - შეზღუდვების გარეშე. გადამზადება გავლილი აქვს თანამშრომელთა 85%-ს, რაც წარმოადგენს 170 ადამიანს. პანდემიის პერიოდში, შეზღუდული მობილობის პირობებში ტარდება ონლაინ ტრენინგები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ეფექტური საქმიანობის წარმართვის მიზნით, დანერგილია და გამოიყენება სხვადასხვა ელექტრონული, ციფრული მექანიზმი. შიდა სამუშაო პროცესში გამოიყენება ელექტრონული საქმისწარმოება, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის ეფექტურობას დროისა და ხარისხის მიხედვით. აგრეთვე საკრებულოს აპარატში მოქმედი სამი განყოფილება კოორდინირებულად, სამუშაო შეხვედრებით უზრუნველყოფს მუშაობის გამართულ პროცესს.

მუნიციპალიტეტში ხდება მუნიციპალური მომსახურების შუალედური და საბოლოო შეფასება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამუშაო აღწერილობის მიხედვით განისაზღვრა თითოეული მოხელისათვის მასთან მისადაგებული კომპეტენციები და უნარები, მომზადდა სპეციალური ფორმები, რომლებიც მიეწოდა თითოეულ თანამშრომელს ელექტრონულად. HR-ის განყოფილებამ გაუწია კონტროლი შუალედურ და საბოლოო შეფასებებს.

მიღწეული პროგრესი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სხდომების ჩატარების წესს აწესრიგებს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N4 (იხ. ბმული http://ozurgeti.mun.gov.ge/?cat=10).

მუნიციპალიტეტში სამსახურების საქმიანობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიური და კვარტალური, ასევე ყოველწლიური ანგარიშგების სისტემის საშუალებით, რომლისთვისაც არსებობს სპეციალური ფორმა და განსაზღვრულია ვადები.

ოზურგეთის მერიის სამსახურების საქმიანობის მონიტორინგის ჩატარების ვადები და ფორმები დაწესებულია ანტიკორუფციული სტრატეგიის ფარგლებში.

➢ ინკლუზიურობა

მუნიციპალიტეტში არსებული ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფი შშმ პირების ჯგუფია. სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, გურიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 4 487 პირი ცხოვრობს. აქედან ყველაზე მეტი - 2119 ადამიანი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. შშმ ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინების ხარისხის შესასწავლად, მოცემული ეტაპისთვის მოხდა მერიისა

და საკრებულოს შენობის დათვალიერება. შენობას აქვს მხოლოდ გარე პანდუსი. ეტლით მოსარგებლეთათვის გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ პირველ სართულზე.

მოქმედი კანონმდებლობა (საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ) თვითმმართველობას ავალებს შშმ პირების საჭიროებაზე მორგებული კონკრეტული საკითხების დაკმაყოფილებას (კანონის მე-9 და მე-11 მუხლები). მუნიციპალიტეტის სოციალურ პროგრამაში განსაზღვრულია 213 900 ლარი შშმ პირთა გარკვეული კატეგორიისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ვებგვერდზე მოცემული გრაფა - „შშმ პირთა ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოწყობის სერვისი“ - ცარიელია. ის შედის ვებგვერდზე არსებულ განყოფილებაში „მნიშვნელოვანი მუნიციპალური სერვისები“, სადაც ასევე მითითებულია მომსახურება სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის, მაგ., „ბავშვებისა და მოხუცებისათვის სპეციალური ინფრასტრუქტურის მოწყობის სერვისი“, „უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფის სერვისი“, სადაც საძიებო სიტყვის შესაბამისი ჩანაწერები არ მოიპოვება.

ოზურგეთის მერიასა და საკრებულოში არის სხვადასხვა საბჭო: მრჩეველთა საბჭო, გენდერული საბჭო, შშმ პირთა საბჭო, რჩეულთა საბჭო, ახალგაზრდული საკრებულო, ახალგაზრდული გენდერული საბჭო. უნდა ითქვას, რომ მათი უმეტესობის შესახებ ვებგვერდზე ინფორმაცია არ არის.

მონიტორინგით გამოვლინდა, როგორია ოზურგეთის ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი. მერიაში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა 38%-ს შეადგენენ ქალები, 62%-ს კი - მამაკაცები. საკრებულოში 45% ქალია და 55% - მამაკაცი. აღსანიშნავია, რომ ვებგვერდზე არის გენდერის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები, როგორც მთლიანად, ასევე თანამდებობის პირთა შესახებ: მერიის 13 თანამდებობის პირიდან ქალი არის ერთი, საკრებულოს 13 თანამდებობის პირიდან ასევე ერთი ქალია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში ხელმძღვანელ, სამსახურის უფროსის თანამდებობაზე მხოლოდ ერთი ქალი მუშაობს - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსი მარინა ჯაფარიძე, სხვადასხვა განყოფილების თანამდებობებზე მუშაობს 12 ქალი. საკრებულოში კომისიას თავმჯდომარეობს 1 ქალი, საკრებულოს აპარატს ხელმძღვანელობს 1 ქალი, ხოლო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე მუშაობს 2 ქალი.

2020 წლის იანვარ-თებერვალში ჩატარებული მონიტორინგის მსგავსად, ოზურგეთში მცხოვრები არაქართულენოვანი მოქალაქეებისათვის თარჯიმნის მომსახურება ისევ არსებული პრაქტიკის მსგავსად არის ხელმისაწვდომი. მუნიციპალიტეტს ეს სერვისი, მართალია, არ აქვს, მაგრამ თანამშრომლობს სამხარეო ადმინისტრაციასთან, სადაც ეს მომსახურება არსებობს.

მოწყვლად ჯგუფებთან (ქალები, სოციალურად დაუცველები, იძულებით გადაადგილებული პირები, შშმ პირები (სმენის, მხედველობის, გადაადგილების პრობლემით) ურთიერთობისთვის საკონტაქტო პირია ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების განყოფილების უფროსი ნათია ვაშალომიძე (ტელ: 595 30 50 98).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში არ მოქმედებს ნორმატიული აქტი/რეგულაცია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლა-

დი ჯგუფების ჩართვის ან მათთვის საჯარო მომსახურების მიწოდების შესახებ, თუმცა უახლოეს პერიოდში განსაზღვრულია მისი ამოქმედება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ორგანიზაციებთან/სამუშაო ჯგუფებთან ურთიერთობებისთვის საკონტაქტო პირები არიან:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში სამოქალაქო ორგანიზაციებთან და სამუშაო ჯგუფებთან ურთიერთობისთვის: ეკატერინე მგელაძე (ტელ.: 599 06 82 00);

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სამოქალაქო ორგანიზაციებთან და სამუშაო ჯგუფებთან ურთიერთობისთვის: ნათია ზედგენიძე (ტელ.: 599 00 89 59).

➢ დასკვნა და რეკომენდაციები

1. საიტის საძიებო სისტემაში სიტყვა „ვაკანსია“ ან „ვაკანსიები“ არ იძებნება, რაც მომხმარებლისთვის არ არის მოსახერხებელი. სასურველია, თუ თავფურცელს დაემატება შესაბამისი გრაფა და განთავსდება ვაკანსიები.
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განახლებულ ვებგვერდს დაემატა ვიზუალური ბიუჯეტის ინოვაციური მოდელი, რომელიც გამართულად არ ფუნქციონირებს, რისთვისაც საჭიროა კონტენტის მასალების ოპტიმიზაცია, რაც ხელს შეუწყობს გვერდზე მონაცემების სწრაფად ჩატვირთვას.
3. მოქალაქეების მიღების დღე და საათები განსაზღვრულია მერიაში, თუმცა შესაძლებელია, რომ ეს სერვისიც ელექტრონული გახდეს და ვებგვერდის მეშვეობით მოხდეს შეხვედრის დაჯავშნა.
4. ვებგვერდზე საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გამოსათხოვად განთავსებულია სპეციალური ფორმა, რომელიც მოქალაქის მიერ საჭიროებს ჩამოტვირთვას, შევსებას და შემდეგ გაგზავნას მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე. კარგი იქნება, თუ აღნიშნულ სისტემას დაემატება ისეთი საძიებო ფილტრი, სადაც მომხმარებელს შეეძლება განსაზღვროს მიმღები ორგანო, წელი, თვე, საძიებო სიტყვა სათაურში, დოკუმენტის ნომერი და ა.შ. ამ ფუნქციის დამატება გაამარტივებს საჯარო ინფორმაციის მიღებას და კომუნიკაციაც გამარტივდება. ასევე მართებული იქნება, თუ მიეთითება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაციაც.
5. ცხელი ხაზის ნომერი საკონტაქტო ინფორმაციის კატეგორიაშია მითითებული. უმჯობესია, თუ გამოტანილი იქნება საწყის გვერდზე, ასევე - მთავარ მენიუში.

კითხვარი

პროექტის „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“ ფარგლებში სამიზნე მუნიციპალიტეტების მერიებსა და საკრებულოებში საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის რეალიზების მონიტორინგისთვის

გამჭვირვალობა	როგორ ჩატარდება მონიტორინგი/ რომელი დოკუმენტების შესწავლაა საჭირო?	პირველი მონიტორინგის მონაცემები/ მაჩვენებლები	მონიტორინგის შედეგად მიღებული ინდიკატორები/ მაჩვენებლები	მიღწეული პროგრესი პირველი მონიტორინგის შემდეგ თუ პროგრესი თვალსაჩინო არ არის, იგეგმება თუ არა ცვლილებები მოცემული მიმართულებებით? თუ კი, რა კუთხით?
1. ხელმისაწვდომია თუ არა ონლაინ განცხადებები ვაკანსიების შესახებ?	ვებგვერდების მიმოხილვა: - www.hr.gov.ge - მუნიციპალიტეტების ვებგვერდი - www.jobs.ge		დიახ/არა თუ არ არის ხელმისაწვდომი, მაშინ მიზეზებისა და იმის დადგენა, თუ როგორ ხდება ვაკანსიების შესახებ განცხადების განთავსება - შეიძლება წარვმართოთ ინტერვიუ	
2. დაცულია თუ არა ვაკანსიის გამოცხადების ვადები?	დოკუმენტების შესწავლა: - საქართველოს მთავრობის დადგენილება საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ; - მუნიციპალიტეტში საკადრო სტანდარტები/წესები (ამგვარის არსებობის შემთხვევაში)		დიახ/არა	

3. განთავსებულია თუ არა მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ორგანიზაციული სტრუქტურა საკონტაქტო პირებით, მათი სატელეფონო ნომრების, ელექტრონული ფოსტის მითითებით და განსაზღვრული მოვალეობების აღნიშვნით?	მუნიციპალიტეტის ვებგვერდის მიმოხილვა		დიახ/არა თუ არ არის, ინტერვიუს დროს უნდა გაირკვეს, როგორ შეუძლია მოქალაქეს საკონტაქტო პირთან დაკავშირება.	
4. არსებობს თუ არა ონლაინ რეჟიმში საჩივრის ან წინადადების გაკეთების/ წარდგენის მექანიზმი/ ფორმა?	ვებგვერდის შემოწმება		დიახ/არა თუ არ არსებობს, ინტერვიუს დროს უნდა დადგინდეს, რატომ არ არსებობს ასეთი მექანიზმი	
5. ქვეყნდება თუ არა ონლაინ ფინანსური ანგარიშები? - დამტკიცებული ბიუჯეტი - ბიუჯეტის შესრულების 3, 6, 9 თვის ანგარიშები, წლიური ანგარიში - შესყიდვის გეგმა და ანგარიში	მუნიციპალიტეტის ვებგვერდის მიმოხილვა		დიახ/არა ბოლო ანგარიშის თარიღი თუ არა, მაშინ ინტერვიუს დროს უნდა გაირკვეს, სად შეუძლია საზოგადოებას იხილოს აღნიშნული ანგარიშები. მაგალითად, გაზეთი, ტელევიზია, რადიო და სხვა	
6. მოიცავს თუ არა მუნიციპალიტეტის ვებგვერდი საჯარო ინფორმაციას? მაგ.: - თანამდებობის პირების ბიოგრაფიები; - საკრებულო/მერიის სხდომების დღის წესრიგი; - საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები; - დადგენილებები; - სხვადასხვა განყოფილების ანგარიშები	მუნიციპალიტეტის ვებგვერდის მიმოხილვა		დიახ/არა ბოლო ინფორმაციის თარიღი	
7. აქვთ თუ არა მოქალაქეების მიღების/ღია კონსულტაციების საათები: - მერს - მერის მოადგილეს - საკრებულოს თავმჯდომარეს - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს - დეპუტატებს - დეპარტამენტების მოადგილეებს და გამოქვეყნებულია თუ არა მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე?	1.მუნიციპალიტეტის ვებგვერდის მიმოხილვა 2.თვითმმართველობის ცხელ ხაზზე დარეკვა		დიახ/არა პერიოდულობა: კვირაში რამდენი დღე? რამდენი საათი?	

8. აქვთ თუ არა მუნიციპალიტეტებს: - მონაწილეობითი ბიუჯეტი? - სოციალური ბიუჯეტი? - გენდერული ბიუჯეტი?	1. ინტერვიუ მერიის წარმომადგენელთან (ფინანსური განყოფილება) 2.მუნიციპალიტეტის ვებგვერდის მიმოხილვა		დიახ/არა დიახ/არა დიახ/არა ბოლო ბიუჯეტის თარიღი საერთო ბიუჯეტიდან მონაწილეობითი/სოციალური/გენდერული ბიუჯეტების პროცენტი (%)	
9. მიღებულია თუ არა მუნიციპალიტეტში ანტიკორუფციული ზომები? ხელმისაწვდომია თუ არა ვებგვერდზე: - ანტიკორუფციული გეგმები, - ანტიკორუფციული დებულება, - ფინანსური რეგულაციები, - დებულება ეთიკური ქცევის შესახებ	ინტერვიუ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან		დიახ/არა დიახ/არა როდის განახლდა?	

ეფექტიანობა	როგორ ჩატარდება მონიტორინგი/ რომელი დოკუმენტების შესწავლაა საჭირო?	პირველი მონიტორინგის მონაცემები	მონიტორინგის შედეგად მიღებული ინდიკატორები/ მაჩვენებლები	მიღწეული პროგრესი პირველი მონიტორინგის შემდეგ თუ პროგრესი თვალსაჩინო არ არის, იგეგმება თუ არა ცვლილებები მოცემული მიმართულებებით?
1. დღეების რაოდენობა თვის მანძილზე მერიაში, საკრებულოში შეხვედრებისთვის: - მერთან - მერის მოადგილესთან - საკრებულოს თავმჯდომარესთან - თავმჯდომარის მოადგილესთან - დეპუტატთან - განყოფილებების ხელმძღვანელებთან	- ინტერვიუ მერიის, საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენლებთან - შეხვედრის დანიშვნა ცალკეული მოქალაქის სტატუსით		დღეების რაოდენობა (ფაქტობრივი)	

2. საჩივრებზე პასუხის მიღებისთვის დღეების საშუალო რაოდენობა	- ინტერვიუ მერიის, საკრებულოს წარმომადგენლებთან დღეების საშუალო რაოდენობის გარკვევის მიზნით - საჩივრის შეტანა ცალკეული მოქალაქისგან		დღეების რაოდენობა (ფაქტობრივი)	
3. ხელმისაწვდომი ელექტრონული მომსახურების რაოდენობა: - წერილების წარდგენა - პეტიციები - საჩივრები - შეხვედრაზე დარეგისტრირება - პასუხის მიღება და ა.შ.	- მუნიციპალიტეტების ვებგვერდზე ძიება - ინტერვიუ თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტთან		ელექტრონული მომსახურების რაოდენობა	
4. აქვთ თუ არა მუნიციპალიტეტებს თანამშრომელთა განვითარების გეგმა?	- მუნიციპალიტეტების ვებგვერდებზე მოძიება - ინტერვიუ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან		დიახ/არა	
5. ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა: - დეპუტატებისთვის, საკრებულოს, მერიის თანამშრომლებისთვის (სულ, ბოლო წლის მანძილზე) (რა თემაზე ჩატარდა ტრენინგები)	- ინტერვიუ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან		1. სულ ტრენინგების რაოდენობა 2. ტრენინგების რაოდენობა ბოლო წლის მანძილზე	

6. ტრენინგებში მონაწილე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების პროცენტული მაჩვენებელი (სულ და ბოლო წლის მანძილზე)	- ინტერვიუ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან		1. სულ მონაწილეთა პროცენტული მაჩვენებელი 2. ბოლო წლის მანძილზე ტრენინგებში მონაწილეთა %	
7. გამოიყენება თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ რაიმე სახის ინსტრუმენტი ან ტექნიკა საქმიანობის ხარისხიანად წარმართვისთვის (მაგალითად, ცოდნის მართვის კუთხით)? - ვორკშოპები, ტრენინგები - ანგარიშები, ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა განყოფილებასა და დეპარტამენტს შორის	- ინტერვიუ ადამიანური რესურსების სამსახურის წარმომადგენელთან		დიახ/არა - თუ დიახ, რა სახის ინსტრუმენტები და ტექნიკა არსებობს ადგილზე: რეგულარული შეხვედრები, ინფორმაციის გაცვლა განყოფილებებს შორის, ტრენინგები?	
8. შემუშავებულია თუ არა მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური მომსახურების შეფასებისთვის საჭირო ფორმები?	- ინტერვიუ მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან		დიახ/არა	
9. გასული წლის მანძილზე რამდენი შეხვედრაა ჩატარებული სხვა ადგილობრივ თვითმმართველობებთან საუკეთესო პრაქტიკის/გამოცდილების გაზიარების მიზნით?	- ინტერვიუ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან		შეხვედრების რაოდენობა	
10. აქვს თუ არა საკრებულოს კვარტალური/წლიური სამუშაო გეგმა?	მუნიციპალიტეტების ვებგვერდებზე არსებული ინფორმაციის მიმოხილვა ინტერვიუ მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან		დიახ/არა	
11. დაწესებულია თუ არა მერიის სამსახურების საქმიანობის მონიტორინგის ჩატარების ვადები და ფორმა?	ინტერვიუ მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან		დიახ/არა	

ინკლუზიურობა	როგორ ჩატარდება მონიტორინგი/ რომელი დოკუმენტების შესწავლაა საჭირო?	პირველი მონიტორინგის მონაცემები	მონიტორინგის შედეგად მიღებული ინდიკატორები/ მაჩვენებლები	მიღწეული პროგრესი პირველი მონიტორინგის შემდეგ თუ პროგრესი თვალსაჩინო არ არის, იგეგმება თუ არა ცვლილებები მოცემული მიმართულებებით?
1. არის თუ არა პანდუსები მერიის/საკრებულოს შენობებში?	დაკვირვება		დიახ/არა	
2. არის თუ არა არადისკრიმინაციული მუნიციპალიტეტის განცხადებები ვაკანსიების შესახებ?	ვაკანსიის შესახებ განცხადების ტექსტის შეფასება		განაცხადების წარმდგენი პირებისთვის შეზღუდვების რაოდენობა (მაგალითად, ასაკი, სქესი, სტატუსი და ა.შ.)	
3. როგორია ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი?	ინტერვიუ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან		%	
4. როგორია ადგილობრივ თვითმმართველობაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე (მერი, მერის მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარე, მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე) მყოფი ქალების პროცენტული მაჩვენებელი?	ინტერვიუ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენელთან		%	
5. ხელმისაწვდომია თუ არა არაქართულენოვანი პირებისთვის თარჯიმნის მომსახურება?	ინტერვიუ თვითმმართველობაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელთან		დიახ/არა	

6. არის თუ არა მუნიციპალიტეტში საკონტაქტო პირი ურთიერთობისთვის მოწყვლად ჯგუფებთან: - ქალები - სოციალურად დაუცველები - იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ) - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (სმენის, მხედველობის, გადაადგილების პრობლემით)	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი		დიახ/არა	
7. აქვთ თუ არა მუნიციპალიტეტში (მერიაში, საკრებულოში) ცოდნა ინკლუზიურობის შესახებ სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონმდებლობის შესახებ? - საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ - კანონდებლობა შრომის უფლებების შესახებ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია	ინტერვიუ მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან		დიახ/არა თუკი დიახ, დაასახელეთ დოკუმენტაციის, პროგრამის ჩამონათვალი	
8. მუნიციპალიტეტში მოქმედებს თუ არა ნორმატიული აქტი/რეგულაცია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის ან მათთვის საჯარო მომსახურების მიწოდების შესახებ? თუ არ მოქმედებს, არის თუ არა გათვალისწინებული/განსაზღვრული მისი დანერგვა?	ინტერვიუ მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან		დიახ/არა თუკი დიახ, მიუთითეთ პროგრამებისა და დოკუმენტების ჩამონათვალი	

9. არსებობს თუ არა ადგილებზე გენდერული ბიუჯეტირება/ცოდნა მისი ფუნქციონირების შესახებ?	ინტერვიუ თვითმმართველობის ფინანსური განყოფილების წარმომადგენელთან		დიახ/არა	
10. არის თუ არა ადგილობრივ თვითმმართველობაში საკონტაქტო პირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან/სამუშაო ჯგუფებთან ურთიერთობისთვის?	ინტერვიუ თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტთან		დიახ/არა	
11. დაზუსტდეს, ვინ არის დანიშნული საქალაქო ორგანიზაციებთან საკონტაქტო პირად	დაზუსტდეს ინტერვიუს ჩატარების დრო		მერი, ვიცემერი, მოადგილეები, სხვა	
12. არის თუ არა მერიაში და საკრებულოში: - მრჩეველთა საბჭო - გენდერული საბჭო - სხვა საბჭოები, სამუშაო ჯგუფები	ინტერვიუ ადამიანური რესურსების სამსახურის წარმომადგენელთან		 დიახ/არა დიახ/არა დიახ/არა	

შეხვედრა ვანის მუნიციპალიტეტში

შეხვედრა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში

შეხვედრა თერჯოლის მუნიციპალიტეტში

შეხვედრა ცაგერის მუნიციპალიტეტში

შეხვედრა ბაღდათის მუნიციპალიტეტში

შეხვედრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში

შეხვედრა ხონის მუნიციპალიტეტში

შეხვედრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში

ვანის მუნიციპალიტეტი

თერჯოლის მუნიციპალიტეტი



ბაღდათის მუნიციპალიტეტი

ხონის მუნიციპალიტეტი



ცაგერის მუნიციპალიტეტი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი